www.24saati.ge

24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ შაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი 29 სექტემბერი, 2009 წელი. №211 (2249) | ფასი 1 ლარი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
***2424**

გერმანიის არჩევნები "ქრისტიან-დემოკრატებმა" მოიგეს

A7



ძეგლი თუ კერპი?

A10



ყენია მაგათის გუნდის ლიდერი ხდება

A15



# მორღვეული კავკასიის ქედი

## როგორ დავიცვათ თავი ქართველებმა?

ვასილ რუხაძე
კენტის უნივერსიტეტის
(Kent State University, USA)
პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის დოქტორანტი

საუკუნეების განმავლობაში არსებობისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩართული ქართველი ერი და ქართული სახელმწიფო ერთ დიდ გეოგრაფიულ და სტრატეგიულ უპირატესობას ფლობდა, რომელმაც მრავალწილად განაპირობა ჩვენი, ქართველების, როგორც ეთნოსის, ფიზიკური გადარჩენა. ეს უპირატესობა კავკასიის ჩრდილოეთის ქედი და მთიანეთი გახლდათ, რომელიც ქართულ არმიებს და მოსახლეობას ზურგს უმაგრებდა და სამხრეთიდან შემოსეული მტრების პირობებში საშუალებას აძლევდა, ჩრდილოეთისაკენ დაეხია, გადაჯგუფებულიყო, ძალა მოეკრიბა და მტრის მიერ დაპყრობილი საქართველოს სამხრეთული მხარეების გასანთავისუფლებლად და მტრის გასანადგურებლად სამხრეთისაკენ ახალი ბრძოლები გაეჩაღებინა. მოკლედ რომ ვთქვათ, კავკასიის მთები ის ურყევი კედელი გახლდათ, რომელსაც ზურგმიბჯენილი საქართველო სამხრეთელ დამპყრობლებს გულდაჯერებული ებრძოდა. თუკი მე-8 საუკუნეში ჩრდილოეთიდან ხაზართა ხანმოკლე შემოსევას და მე-18 საუკუნის "ლეკიანობას" არ ჩავთვლით, ყველა მომხდური ძალა (რომაელები, ბიზანტიელები, ირანელები, არაბები, სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები და სპარსელები) საქართველოს სამხრეთიდან უტევდა, რაც ჩვენს ქვეყანას კავკასიის მთებისაგან ბოძებულ ბუნებრივ, გეოგრაფიულ და სტრატეგიულ უპირატესობას უნარჩუნებდა. კავკასიაში რუსეთის იმპერიის გამოჩენამ საქართველოს ეს დიდი უპირატესობა მოუსპო. რუსეთი პირველი დამპყრობელი გახლდათ, რომელიც ჩვენს ქვეყანას სწორედ ჩრდილოეთიდან უტევდა. რუსეთის მიერ კავკასიის ქედის გადმოლახვა საქართველოს დაცემას ნიშნავდა.

გაგრძელება A12 გვერდზე

# მერიის ახალი ინიციატივა სამშენებლო ბაზარს სტაბილურს გახდის

სოფო ჩიხლაძე

"ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე" - პროექტი, რომელსაც თბილისის მერია ახორციელებს, ექსპერტების განცხადებით, საქართველოში სამშენებლო ბაზარზე სერიოზულ პოზიტიურ ძვრებს გამოიწვევს. ამ მომენტისთვის კი შეიძლება ითქვას, რომ მან ქართული დეველოპერული კომპანიები და ისტორიულ უბნებში მცხოვრები საზოგადოება უკვე გამოაცოცხლა.

ახალი პროექტი მერიამ ეკონომიკური კრიზისის შემდეგ შეჩერებული მშენებლობების გასაგრძელებლად, სამუშაო ადგილების შესანარჩუნებლად და ქალაქის ისტორიულ უბნებში არსებული ავარიული საბინაო ფონდის გასაუმჯობესებლად ივნისის თვეში წარმოადგინა. პროექტის ფარგლებში სამშენებლო კომპანიები მოლაპარაკებებს მოსახლეობასთან და ბანკებთან აწარმოებენ. თანხმობის შემთხვევაში დეველოპერები მოსახლეობას საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და ახალ სახლებში გადასვლას სთავაზობენ.

პროექტში მონაწილეობისათვის მერიაში წინადადებების მიღების ბოლო ვადა 25 სექტემბერს ამოიწურა. პროცესში ჩართვის სურვილი თითქმის ყველა იმ დეველოპერულმა კომპანიამ გამოთქვა, რომლებიც დღეისათვის საქართველოში ოპერირებენ, სულ კონკურსში მონაწილეობას 13 სამშენებლო კომპანია იღებს. ესენია: შპს "ეუბე ჯორჯია"; შპს "ჯორჯიან ჰაუზი"; ამხანაგობა "მარსი"; ამხანაგობა "ვაკე პალასი"; ს.ს "პარაპლეისი"; ამხანაგობა "ოლიმპიური ვარსკვლავი"; აკადემქალაქი და ოქროს კვეთი; ამხანაგობა "აქსისი პალასი"; შპს "ტიფლის საბურთალო"; შპს "ნიკე"; შპს "ორთაჭალის ტურფა"; შპს "არსი ავლაბარი" და "არსი". სულ კომპანიებმა 26 ლოტზე გააკეთეს განაცხადი.

გაგრძელება A4 გვერდზე



# ირანი დასავლეთის ნერვებზე თამაშობს

ივა შილაკაძე

ურთიერთობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და დასავლეთის ქვეყნებს - ფაქტობრივად მთელ ცივილიზებულ სამყაროს შორის პერმანენტულად დაძაბულია, მაგრამ ამ ბოლო დროს დუღილის ტემპერატურამ სახიფათო ნიშნულს მიაღწია, ძირითადად შესაძლო ბირთვული საფრთხის გამო.

ირანის ბირთვული ობიექტების კონტროლი მუდმივი დაძაბულობის კერაა. ეს ქვეყანა ხან უშვებს თავის ბირთვულ ობიექტებზე "მაგატეს" - ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებს და ხან არა, თან ყოველთვის რაღაცას მალავს და ექსპერტებს სრულ ინფორმაციას არ აწვდის. დიდი შეფერხებებით მიმდინარეობს მოლაპარაკებებიც ამ ქვეყანასთან, რომელსაც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების "ექვსეული" (ბირთვული იარაღის მქონე, გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ხუთი ქვეყანა და გერმანია) აწარმოებს. ბარაკ ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამერიკამ მკაცრი და კატეგორიული ტონი ოდნავ შეარბილა და ირანთან მოლაპარაკებების სურვილი გამოთქვა.

გაგრძელება A8 გვერდზე



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვირის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ კვირის შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება. ჯალაღანიამ ჟურნალისტებს ჰაიდი ტალიავინის კომისიის დასკვნასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიცია გააცნო. საგარეო უწყებაში მიიჩნევენ, რომ ტალიავინის კომისიის ანგარიში მიუკერძოებელი და ობიექტური იქნება იმის მიუხედავად, რომ კომისიაში მომუშავე რამდენიმე ექსპერტი ობიექტურობით არ გამოირჩეოდა. ჯალაღონიას განმარტებით, "რა ნიუანსებს და დეტალებსაც უნდა შეიცავდეს დოკუმენტი, ფაქტი, რომ რუსეთი ოკუპანტია და საქართველოს რიგ ტერიტორიას ფლობს, ფაქტად დარჩება". ამასთან, მინისტრის მოადგილის თქმით, საქართველო თავად იყო აგვისტოს ომთან დაკავშირებით გამოკვლევის ჩატარების ინიციატორი და აღნიშნულ კონტექსტში, ჰაიდი ტალიავინის კომისიასთან აქტიურადაც თანამშრომლობდა.

მეორე საკითხი, რაზეც დავით ჯალაღანიმ ისაუბრა რუსეთის მიერ ე.წ. აფხაზეთის ტერიტორიული წყლების "დაცვის" მცდელობას ეხებოდა. ჯალაღანია აღნიშნავს, რომ იმის თქმა, თითქოს რუსეთი აპირებს აფხაზეთის ტერიტორიული წყლების დაცვას, არის ადვილი, რადგან აფხაზეთის ტერიტორიული წყლები ბუნებაში არ არსებობს. ეს საქართველოს ტერიტორიული წყლებია, რომელიც ისევე უკანონოდ აქვს დღეისთვის დაკავებულ რუსეთს, როგორც საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი.

გარდა ამისა, რუსეთის მცდელობას, საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთზე დამატებით რამდენი ხომალდის განთავსებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ადეკვატური შეფასებას მოჰყვება.

სააგენტო "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, დავით ჯალაღანია გასულ კვირას გაერო-ში გამართულ დებატებსაც გამოეხმაურა. როგორც მან აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლაში ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მიერ რუსეთის აგრესიის შემდეგ იმ გზებსა და გამოწვევების მიმართ პასუხი, რაც გამოიხატება მეტ დემოკრატიულ რეფორმებში, ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარებისთვის გამართულ ძალისხმევაში და აგრთვე აღინიშნა ის, რომ საქართველო მშვიდობით იგებს.

კიდევ ერთი თემა, რომელიც ბრიფინგზე მინისტრის მოადგილემ განიხილა, ავღანეთიდან საჭიროების შემთხვევაში, ქართულ სამხედრო კონტიგენტის გამოწვევა იყო. მისი განმარტებით, ჯარის გამოწვევის საშიშროება ჯერჯერობით არ არებობს, თუმცა ვითარების შესაბამისად საქართველო ავღანეთში მყოფ ქართულ სამხედრო პოტენციალს გამოიყენებს და ჯარისკაცებს გამოიწვევს, როგორც ეს აგვისტოს ომის დროს მოხდა.

საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ--ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მინისტრის მოადგილე აღნიშნული განცხადებით იმ ექსპერტებისა და საზოგადოების გარკვეული წრეების წარმომადგენელთა შეფასებებს გამოეხმაურა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ავღანეთში ქართული სამხედრო კონტიგენტის გაზრდა და სამხედრო პოტენციალის გაფანტვა აღარ უნდა მოხდეს, რადგან საქართველოს, იმის გამო, რომ არის ოკუპირებული, თავად აქვს სამხედრო პრობლემა. ამასთან, დავით ჯალაღონიას შეფასებით, ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის სამხედრო-ტაქტიკური უნარჩვევების გაუმჯობესება. **მაგდა ლეკიაშვილი**

## მოსახლეობისათვის საშეშე მერქანი ხელმისაწვდომი იქნება

საქართველოს რეკგიონების მოსახლეობას დამდეგ ზამთარს საშეშე მერქნის მოპოვებისას პრობლემები არ შეექმნება. როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვანო ჯანუყაშვილმა საინფორმაციო სააგენტო "მედიანიუსს" განუცხადა, მოსახლეობისთვის ტყეკაფების გამოყოფის პროცესი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე დასრულდა.

ტყეების ინვენტარიზაციის შემდეგ, საქართველოს მასშტაბით სულ 500 000 კვადრატული მეტრი ტერიტორია გამოიყო, სადაც ხეების მოჭრა გარემოსათვის ზიანის მიუყენებლად შეიძლება. მისივე თქმით, ადგილობრივ მკვიდრთა სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საშეშე მერქანი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. კერძოდ, ერთი კუბური მეტრი საშეშე მერქნის ფასი 2-დან 4 ლარამდე მერყეობს. ღირებულება ხის სახეობაზეა დამოკიდებული. წიწვოვანი მცენარის მექრანი ფოთლოვან მცენარისაზე იაფი ეღირება.

## ფოთში სახურავიდან გადმოვარდნის გამო 60 წლის მამაკაცი დაიღუპა

ფოთში საცხოვრებელი სახლის სახურავიდან 60 წლის მამაკაცი ზურაბ მორჩილაძე გადმოვარდა და დაიღუპა. უბედური შემთხვევა ჭანტურიას ქუჩაზე მოხდა. ზურაბ მორჩილაძე სამსართულიანი შენობის სახურავის შესაკეთებლად იყო ასული. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მას სველ თუნუქზე ფეხი დაუცურდა და წონასწორობის დაცვა ველარ შეძლო. "მედიანიუსის" ინფორმაციით, იგი ადგილზევე დაიღუპა. მისი დაღუპვის მიზეზი, სავარაუდოდ, ქალა-ტვინის ღია მოტეხილობა იყო.

# რუსეთმა მომხსენებლად "თავისი კაცი" დანიშნა

### ევროსაბჭო ცხარე დებატების მოლოდინში

*დღეს ევროსაბჭოში რუსეთ-საქართველოს შორის მწვავე და ხმაურიანი დებატები გაიმართება. მონაწილეები აგვისტოს ომის წლისთავისთვის მომზადებულ პროექტს განიხილავენ. 1 ოქტომბერს კი გაირკვევა, ამოქმედდება თუ არა რუსეთის მიმართ სანქციები რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.*

ნათია მსხილაძე

რამდენიმე კვირის წინათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამოცდათორმეტმა დეპუტატმა ხელი მოაწერა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევის ინიციატივას. ინიციატივის ავტორებს მიაჩნიათ, რომ რუსეთმა არ შეასრულა ოქტომბრისა და იანვრის რეზოლუციებით დაკისრებული ვალდებულებები.

გუშინ სტრასბურგში, მონიტორინგის კომიტეტის სხდომაზე, ევროპელი პარლამენტარების მიერ მომზადებული დოკუმენტის (რომელიც შეუსრულებელი ვალდებულებების გამო რუსეთისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებს) მომხსენებლად ანდრეას გროსი დაინიშნა.

ანდრეას გროსი ევროსაბჭოში რუსეთის ინტერესების ერთ-ერთ მთავარ დამცველად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, ევროპელი დეპუტატები დარწმუნებულები არიან, რომ გროსის დასკვნა ტენდენციური იქნება და რუსეთს ხმის უფლება არ ჩამოერთმევა. **"მონიტორინგის კომიტეტზე მომხსენებლად ანდრეას გროსი დაინიშნა. ამავდროულად ამავე კომიტეტზე გავრცელდა წერილი, რომლითაც ბატონი გროსი ძალიან არაკორექტულ საქციელში იყო მხილებული გასული წლის სექტემბრის თვეში ისევ რუსეთის უფლებამოსილების საკითხის გამო, როდესაც მან ორი დღის მანძილზე სრულიად გამომრიცხავი პოზიციები დააფიქსირა. კომიტეტის გარკვეულმა ნაწილმა ამ ფაქტის გამო შეშფოთება გამოთქვა და ისურვა, რომ გროსმა ამჯერადაც არ გაიმეოროს იგივე ქმედებები,"** - განაცხადა ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ევროპარლამენტში უკრაინის წარმომადგენელი ოლგა გერასიმენკო დარწმუნებულია, რომ რუსეთს ხმის უფლებას არ ჩამოართმევენ, რადგან შეფასებებში უკვე ორმაგი სტანდარტი ამოქმედდა. **"ერთ-ერთი ბატონის თქმით, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რუსეთის გარეშე ევროსაბჭო მოკვდება. ევროსაბჭო მართლაც მოკვდება, რადგან უპრინციპო და სულმოკლეა. აქ დიალოგი უკვე დიდი ხანია, აღარ იმართება. ახლა მოლაპარაკების მაგიდასთან დიქტატორი ზის, რომელსაც ბევრი აძლევს ბანს. რეზოლუცია საერთოდ არ განმაწყობს ოპტიმიზმით,"** - განაცხადა ოლგა გერასიმენკომ.

ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელ კონსტანტინ კოსაჩევის განცხადებით კი, ხმის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში რუსეთის დელეგაცია სრული შემადგენლობით დატოვებს ბრიუსელს. **"რუსეთის დელეგაცია არ დაბრუნდება, ვიდრე გადაწყვეტილება არ შეიცვლება. ეს უკვე სცილდება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეასა და რუსეთის ფედერაციის დელეგაციას შორის დაპირისპირებას და წარმოადგენს კონფლიქტს საპარლამენტო ასამბლეასა და საქართველოს დელეგაციასთან. ქართული მხარე ცდილობს, ასამბლეას თავზე მოახვიოს გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობას ჩაშლის და თავად ასამბლეას კუთხეში მოამწყვდევს,"** - განაცხადა კონსტანტინ კოსაჩევმა.

საშემოდგომო სესიის დაწყებამდე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ლუის მარია დე პუჩიმ პრესკონფერენციაზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებთან გამართული დახურული შეხვედრის რამდენიმე დეტალი გაახმაურა.

ლუის მარია დე პუჩიმ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს, ასევე პრემიერ პუტინს ასამბლეის წინაშე სიტყვით გამოსვლა და გასული წლის აგვისტოს კონფლიქტის შესახებ საკუთარი პოზიციების დაფიქსირება შესთავაზა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამ პირობას დათანხმდა, რუსულმა მხარემ კი კატეგორიული უარი განაცხადა. **"ჩემი ვიზიტის დროს თბილისსა და მოსკოვში პრეზიდენტებს და პუტინს პირადად შევთავაზე, ევროსაბჭოში ერთმანეთს შეხვედროდნენ. მიხეილ სააკაშვილს შეთავაზებაზე უარი არ უთქვამს, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ სააკაშვილს არაერთხელ უთქვამს სიტყვა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან. რაც შეეხება რუსეთის მმართველებს, ისინი ევროსაბჭოში სიტყვით არასდროს გამოსულან და აქ ჩამოსვლაზე უარს ამბობენ. რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგს რუსული მხარე აფერხებს,"** - აღნიშნა დე პუჩიმ.

რუსეთის წარმომადგენელმა ევროსაბჭოში სერგეი მარკოვმა ევროსაბჭოს "მარგინალი" უწოდა და რუსეთის მიმართ მიკერძოებულ პოზიციაში დაადანაშაულა. **"ყველამ იცის, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებში დამნაშავე სააკაშვილი და მისი რეჟიმია. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა კი, როგორც მარგინალი, რუსეთის კრიტიკას განაგრძობს. ვიდრე ასამბლეა ასეთ პოზიციაზე დგას, ნაკლებად სავარაუდოა, რომ რუსეთის პრეზიდენტი იქ სიტყვით გამოვიდეს. ეს მისი მხრიდან გმირობის ტოლფასი იქნებოდა,"** - განაცხადა სერგეი მარკოვმა.

ევროსაბჭოში ქართული დელეგაციის წარმომადგენლების თქმით, ქართული მხარე დიალოგისთვის ყოველთვის მზად არის, ოღონდ - გარკვეული პირობების გათვალისწინებით. **"ევროსაბჭოში ერთი წლის წინათ მიღებულ რეზოლუციაში ის მინიმალური პირობებია განსაზღვრული, რომლებიც რუსეთ-საქართველოს შორის დიალოგის დასაწყებად არის აუცილებელია. ეს პირობებია: რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა; სეპარატისტული რეგიონების აღიარების გადაწყვეტილების გაუქმება და დევნილების დაბრუნების უზრუნველყოფა. საქართველო აღნიშნულ საკითხებზე მოლაპარაკებებისთვის მზად არის, თუმცა რუსული მხარე ამ ვალდებულებების შესრულებას არ აპირებს, ამიტომ მედვედევი და პუტინი ევროსაბჭოში არ ჩამოვლენ,"** - განაცხადა საქართველოს პარლამენტის ვიცესპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა.

სტასბურგში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ლუის მარია დე პუჩის მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე თბილისიდან გამოეხმაურა. ბაქრაძემ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს საქართველოს მიმართ გულწრფელი განცხადებისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს მიერ დაყენებული პირობების გათვალისწინებით, საქართველო მზად არის რუსეთთან დიალოგის დასაწყებად. **"სამწუხაროდ, როგორც პრეზიდენტმა დე პუჩიმ დაადასტურა, ამ ტიპის დიალოგზე რუსეთის მხრიდან მზადყოფნა არ გამოთქმულა. ეს ადასტურებს, რომ რუსეთის მხარის რიტორიკა, თითქოს მას მხოლოდ საქართველოს ხელისუფლებასთან აქვს პრობლემა და სხვა ყველასთან გახსნილია, არ დასტურდება. რუსულ მხარეს ევროსაბჭოს ასამბლეასთანაც არ სურს დიალოგი, არც მის პრეზიდენტთან. რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკური დინების წინააღმდეგ მოძრაობს,"** - განაცხადა ბაქრაძემ. აქვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ ქართული დელეგაცია ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც წინა, მთელი შარშანდელი წლის განმავლობაში გამართული სხდომების დროს.

# უამინდობა საქართველოში

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმს. მაღალმთიან რეგიონებში მოთოვა. როგორც ჰოდრომეტცენტრში აცხადებენ, უამინდობა ჩრდილო-დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრითაა გამოწვეული.

ძლიერი წვიმების შედეგად, ლაგოდეხის რაიონის სოფლებში გიორგეთსა და კაბალში საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაიტბორა. ადიდებული მდინარე კაბალიდან წყალი ქუჩებში მიედინება. თითქმის ყველა მდინარე ადიდებულია ყვარლის რაიონშიც. კახეთის საინფორმაციო ცენტრს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი წვერავამ განუცხადა, რომ არსებობს საფრთხე მდინარიდან გადმოსული წყალმა კაბალის და გიორგეთის მოსახლეობას კვლავ დაუზიანოს საცხოვრებელი სახლები.

თოვა 27 სექტემბერს, დაახლოებით დღის სამ საათზე დაიწყო.

საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენის" ცნობით, ყაზბეგის რაიონში მოსული დიდი თოვლის გამო თითქმის მთელ რაიონს (1 900 აბონენტს) დენი არ მიეწოდება.

დაზიანდა ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები და ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიას საკუთრებაში არსებული 4 ფიდერი გაითიშა.

უამინდობის გამო, დენი ასევე არ მიეწოდება მარნეულის 3 000 და წალკის 4 000 აბონენტს.

მიუხედავად იმისა, რომ აღდგენითი სამუშაოების წარმოებას რთული კლიმატური პირობები აფერხებს, ს.ს. ენერგო-პრო ჯორჯიას სპეციალისტები საგანგებო რეჟიმში მუშაობენ.

თოვლის მაღალი საფარის გამო (20-25სმ ) თბილისი-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-სტეფანწმინდა-ლარსის მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა შეიზღუდა. გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია, ხოლო დანარჩენი სახის ტრანსპორტის გადაადგილება მოცურების საწინააღმეგო ჯაჭვების მეშვეობით არის ნებადართული.

თოვს ასევე მაღალმთიან გურიაში. ბახმაროში თოვლის საფარი 5 სმ-ს აღწევს.

სინოპტიკოსების ცნობით, ხვალ ცივი ამინდი შედარებით შესუსტდება და 30 სექტემბრიდან დათბება. თბილი ამინდები 5-6 ოქტომბრამდე გაგრძელდება და შემდეგ აცივდება.

*ნათია მაჭარაშვილი*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ახალი საკანონმდებლო ინიციატივები პარლამენტში

*საქართველოს პარლამენტი დღეს პრემიერ-მინისტრისგან ბიზნესის ე.წ. სტიმულირების გეგმის დეტალებს მოისმენს. შესაბამის კანონპროექტთა პაკეტს პარლამენტარები დახურულ კარს მიღმა განიხილავენ. ამ გეგმის შესახებ უფრო დაწვრილებით საკანონმდებლო ორგანოში ჯერჯერობით არ საუბრობენ.*

თამარ ივანიძე

ბიზნესის სტიმულირებისკენ მიმართული კანონპროექტები საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურ წარდგენამდე საკონსულტაციო ფორმატში განიხილება - პარლამენტის თავმჯდომარისა და დარგობრივი კომიტეტების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

პარლამენტში საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის შესვლამდე "ქრისტიან-დემოკრატები" ხელისუფლებას მოგების გადასახადის ინიცირებას სთავაზობენ. **"ამ გადაწყვეტილების მიღება, მართლაც, რევოლუციური იქნება. რეინვესტირება არ უნდა იბეგრებოდეს - ეს წარმოების განვითარებას შეუწყობს ხელს,"** - აცხადებს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე. ამასთან, "ქრისტიან-დემოკრატები" მთავრობას ახალ ეკონომიკურ პაკეტში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენის გათვალისწინებასაც სთავაზობენ. ვეფხვაძის თქმით, **"ლიბერალიზაცია სახელმწიფოზე უარის თქმას არ ნიშნავს და ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს."**

ნაკლებ სავარაუდოა, რომ ხელისუფლებამ მოგების გადასახადის გაუქმების ინიციატივა უახლოეს პერიოდში გაითვალისწინოს, მით უმეტეს, რომ ოპოზიციონერებს ამ თემაზე ხელისუფლებასთან "მოთელვა" ჯერჯერობით არ გაუვლიათ. ხოლო შევა თუ არა ახალ პაკეტში ანტიმონოპოლიური სამსახურის აღდგენა, უახლოესი მომავალი გვაჩვენებს.

მანამდე კი არასაკონსულტაციო, არამედ ოფიციალურ ფორმატში პარლამენტში უკვე დაწყებულია პრეზიდენტის ინიციატივის განხილვა, რომელიც მოსამართლეებზე ზეწოლის გამო სანქციების გამკაცრებას ითვალისწინებს. კერძოდ - პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ მოსამართლეებზე ზეწოლა სისხლის სამართლებრივი დანაშაული ხდება. პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი "საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ" და "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში" ცვლილებებს ითვალისწინებს. კანონპროექტით დგინდება როგორც გაზრდილი ფინანსური სანქციის, ისე პატიმრობის შეფარდება აღნიშნული დანაშაულისთვის. კერძოდ, პოლიტიკური თანამდებობის პირს, რომელიც კონკრეტულ საქმეზე მოსამართლეზე ზეწოლას განახორციელებს, დაახლოებით, 10 ათასი ლარით დააჯარიმებენ. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება 3 ან მეტი წლით პატიმრობის შეფარდებაც.

პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, კანონოპროექტის განხილვაში საზოგადოების წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტს დაავალა, ამ საკანონმდებლო პაკეტის შესახებ გაფართოებული შეხვედრები გამართოს როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ისე ადვოკატებთან და მოსამართლეებთან. მისი თქმით, კომიტეტმა საზოგადოების წარმომადგენლებთან გახსნილად უნდა იმუშაოს, რათა ეს ცვლილებები კარგად იქნეს გააზრებული.

ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ცვლილებები კარგად უნდა გაიაზროს როგორც საზოგადოებამ, ისე თავად პოლიტიკური თანამდებობების პირებმაც და ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ საკითხს პარლამენტი ნაჩქარევად არ განიხილავს.

აღნიშნული ცვლილებების მიმართ კითხვები უკვე გაუჩნდა საპარლამენტო ოპოზიციას. პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე მმართველი გუნდისგან იმის განმარტებას ითხოვს, თუ როგორ მუშაობს მოქმედი კანონი, რომელიც მოსამართლის საქმიანობაში ჩარევის შემთხვევაში თანამდებობის პირის ადმინისტრაციული წესით დასჯას ითვალისწინებს და ამ მხრივ როგორი სტატისტიკა არსებობს. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ვეფხვაძემ დასვა საკითხი, რომ პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტს თან დაერთოს სტატისტიკური მონაცემებიც, რომლებიც ასახავს, თუ რამდენ მაღალჩინოსანს დაეკისრა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოქმედი კანონის დარღვევის საფუძველზე. **"მთავარია არა კანონმდებლობის გამკაცრება, არამედ მისი შესრულება,"** - აცხადებს ვეფხვაძე.

# "7 ნოემბერი" სახალხო აჯანყებით იმუქრება

მარი ახსიაშვილი

გუშინ საქართველოს პარლამენტის შენობის წინ მოძრაობა "7 ნოემბრის" მიერ ორგანიზებული მიტინგი გაიმართა. აქცია, სახელწოდებით "გადავარჩინოთ სიცოცხლე", 17 საათზე დაიწყო. აქციის მონაწილეები სანდრო გირგვლიანის მკვლელების გათავისუფლებას აპროტესტებდნენ და გახმაურებული მკვლელობების საქმეების ხელახალ გამოძიებას ითხოვდნენ. ამ მიმართვით აქციის ორგანიზატორებმა პარლამენტის კანცელარიაში დეპუტატებისთვის პერსონალური წერილები შეიტანეს, სადაც სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვენ.

"პარლამენტის წევრებს მოვუწოდებთ დროებით საგამოძიებო კომისია შექმნან, რომელიც უდანაშაულო ადამიანების მკვლელობებს გამოიძიებს. ამისთვის კი, ხელისუფლებას ორკვირიან ვადას ვაძლევთ. ჩვენი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი გადამწყვეტ ზომებს მივიღებთ. ხალხს საერთო სახალხო აჯანყებისკენ მოვუწოდებთ", - განაცხადა მოძრაობა "7 ნოემბრის" წევრმა ჯაბა ჯიშკარიანმა. აქციის ორგანიზატორებმა იგივე განცხადებით მთავარ პროკურატურასაც მიმართეს.

არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების ლიდერებიდან პარლამენტის შენობის წინ "ეროვნული ფორუმის" ლიდერი გუბაზ სანიკიძე, საზოგადოებრივი მოძრაობის "დაიცავი საქართველო" ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან გაჩეჩილაძე, "კონსერვატიული პარტიის" წარმომადგენლები კახა კუკავა, ლაშა ჩხარტიშვილი, ბიძინა გუჯაბიძე, ასევე გოგა ხაინდრავა მივიდნენ. პარლამენტთან ასევე შეიკრიბნენ "საქართველოს გზისა" და "ეროვნული ფორუმის" ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები და მოძრაობის "რატომ?" აქტივისტები.

"ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთ ლიდერის, გუბაზ სანკიძის განცხადებით, პარლამენტის წინ გამართული საპროტესტო მიტინგი ფართომასშტაბიანი აქციების საწინდარი გახდება. მან აქციის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა, ხალხს გაერთიანებისკენ მოუწოდა და შეკრებილთ განუცხადა, რომ "ქვეყანას სააკაშვილისგან დღითიდღე უფრო მეტი საფრთხე ემუქრება".

"გუანტანამოს ციხის საქართველოში გადმოტანა საფრთხეს შეუქმნის მოსახლეობას. ჩვენ არ გვინდა, გვეშინოდეს ჩვენი შვილების ქუჩაში გაშვების", - განაცხადა სანიკიძემ. მისივე თქმით, გასული წლის აგვისტოს ომის მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის დასკვნა საქართველოსთვის არასახარბიელო იქნება.

აქციაზე მივიდა ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარიც. რუსთაველის გამზირზე შეკრებილმა მომიტინგეებმა ყოფილ ომბუდსმენს სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცეს. ისინი უკმაყოფილებას ყოფილი სახალხო დამცველის ირაკლი ალასანიას პარტიაში გადასვლის გამო გამოთქვამდნენ.

აქცია საათნახევარს გაგრძელდა. მას შემდეგ მონაწილეებმა ქაშუეთის ეკლესიაში გადაინაცვლეს, სადაც დაღუპული ახალგაზრდების ხსოვნას პატივი მიაგეს.

ოპოზიციის აქტივისტებმა დაჩი ცაგურიამ, ჯაბა ჯიშკარიანმა და ირაკლი კორძაიამ საპროტესტო აქციის გამართვისათვის ნებართვის მისაღებად მერიაში შეტყობინება 21 სექტემბერს შეიტანეს.

# რუსეთის პატრიარქის განცხადება

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული დამღუპველი პოლიტიკის შედეგია.

"დარწმუნებული ვარ, რომ ეს ომი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული დამღუპველი პოლიტიკის შედეგია. ამ განცხადებას მე ვაკეთებ ქართველი ხალხთან სიახლოვისა და ქართული ეკლესიის მხურვალე სიყვარულიდან გამომდინარე", - განაცხადა რუსეთის პატრიარქმა ბელორუსის ქალაქ ვიტებსკში.

პატრიარქმა კირილმა ასევე აღნიშნა, რომ გასულ წელს სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედებების დროს მუდმივად ტელეფონით უკავშირდებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს და გამოთქვამდა აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ ორივე ეკლესიას იმ დღეებში გარკვეული ძალისხმევის გაწევა სჭირდებოდა, რათა "საშინელი კატასტროფის შედეგები გადაელახათ, როდესაც ერთი მართლმადიდებელი ერის ადამიანები მეორე მართლმადიდებელი ერის ადამიანებს ესროდნენ".

პატრიარქ კირილის აზრით, საქართველოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიები არის ერთადერთი, რაც დღეს "ორ ქვეყანას ერთმანეთთან აკავშირებს".

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ორივე ქვეყნის ეკლესია "თავისი მოწოდების ერთგული დარჩა" და გარე ფაქტორების მიუხედავად გააკეთა ყველაფერი შესაძლებელი კონფლიქტის შეწყვეტისათვის.

*ინტერპრესნიუსი*

## ომალოში ავტომანქანა კლდიდან გადავარდა

ომალო-ხირსას საავტომობილო გზაზე გუშინ ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა: ავტომანქანა კლდიდან გადავარდა. ავტოავარიას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა გარდლიძეების ოჯახის დიასახლისმა ბეჭის მოტეხილობა, მისმა შვილებმა კი სხეულის მძიმე დაჟეჟილობები მიიღეს.

საინფორმაციო სააგენტო "პირველის" ინფორმაციით, უამინდობის გამო დაშავებულთა რაიონულ საავადმყოფოში გადაყვანა დროულად ვერ მოხერხდა.

"ადგილზე იმყოფებიან სოფლის ექიმი და ექთანი, დაზარალებულებს პირველადი დახმარება სწორედ მათ აღმოუჩინეს და ამ დრომდეც ისინი მკურნალობენ," - განაცხადა ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ. თბილისში ჯანდაცვის სამინისტრო მომხდარის შესახებ უკვე საქმის კურსშია ჩაყენებული, თუმცა უამინდობის გამო დამხმარე ჯგუფის ომალოში ჩასვლა ამ დრომდე ვერ ხერხდება.

## საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის ფილიალი საქართველოში დაიწყებს საქმიანობას

საქართველოს ხალხთა მსოფილოს კონგრესის ფილიალი საქართველოში დაიწყებს საქმიანობას. როგორც "ჯი-ეიჩ-ენს" კონგრესის პრესსამსახურიდან აცნობეს, ფილიალი რეგისტრაციაში გატარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი 30-ე მუხლის საფუძველზე და შეტანილია სახელმწიფო რეესტრში. კონგრესი რეგისტრაციაში ავსტრიაში 2009 წლის თებერვალში გატარდა, მისი შტაბბინა ვენაში მდებარეობს. 2009 წლის ივლისში კონგრესის ფილიალი გაიხსნა რუსეთში - სანკტ-პეტერბურგში.

როგორც კონგრესში აცხადებენ, "ამჟამად კი უკვე არსებობს მისი წარმომადგენლობა კონგრესის პრეზიდენტის, ქართული წარმომავლობის რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის ალექსანდრე ებრალიძის ისტორიულ სამშობლოში". კონგრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციში. აღნიშნულია, რომ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესი თავის მთავარ მიზნად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მიიჩნევს - ნათქვამია კონგრესის თბილისის ფილიალი იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის განუხრელად განხორციელების საფუძველზე და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ქართული დიასპორის აქტიურ მონაწილეობას სამშობლოს ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. შეგახსენებთ, რომ "ჯი-ეიჩ-ენი" იტყობინებოდა, საქართველოში კონგრესის საქმიანობის შეფერხებით დაწყებასთან დაკავშირებით, რომლის მიზეზიც კონკრესის ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან პირველი გახდა. ლევან პირველი შეეცადა კონგრესის მართვის სადავეები ერთპიროვნულად აეღო ხელში და მასში გაწევრიანებული პირები საკუთარი ინტერესების რეალიზებისთვის გამოეყენებინა. სწორედ ეს გარემოება გახდა კონგრესის ხელმძღვანელობისა და პირველის დაპირისპირების მიზეზი, რომელმაც კონგრესის აქტიური საქმიანობის დაწყებას ხელი შეუშალა.

აღნიშნული გარემოებების და გათვალისწინებით ლევან პირველი კონგრეისის რიგებიდან გარიცხეს.

## გიორგი ტუღუში და სოზარ სუბარი რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებს ხვდებიან

სახალხო დამცველის ოფისში ძველი და ახალი ომბუცმენები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების საბჭოების წარმომადგენლებს ხვდებიან. ტუღუშის განცხადებით ამ შეხვედრაზე ის გაეცნობა საქარეთველოში მცხოვრებ უმცირესობათა პრობლემებს და მათთან თანამშრომლობით ინტენსიურ მუშაობას განაგრძობს.

"უმცირესობათა საბჭოები გაიცობენ ახალ სახალხო დამცველს. ჩემი მხრივ გავეცნობი მათ პრობლემებს. იმედი მაქვს მუშაობა კვლავინდებურად ინტენსიური და შედეგიანი იქნება", - განაცხადა ახალმა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა. ყოფილი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის თქმით, გასულ წლებში უმცირესოიბათა საბჭოებთან ერთად ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა

"რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოსთან ვთანამშრომლობდით, გადაწყდა ძალიან ბევრი პრობლემა განათლების იუსტიციისა და ბევრ სხვა სფეროში," - აღნიშნა სოზარ სუბარმა შეგახსენებთ, რომ რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭო სახალხო დამცველის აპარატთან 2005 წლიდან ფუნქციონირებს. **ექსპრესნიუსი**

## ადვოკატთა ასოციაცია "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს

ადვოკატთა ასოციაცია "ადვოკატთა შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანას ითხოვს. ამ საკითხან დაკავშირებით ასოციაციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა სვანიძე იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს პავლე კუბლაშვილს და დეპუტატ ლაშა თორდიას შეხვდა და ასოციაციის მიერ მომზადებული წინადადებები გააცნო. ჯი-ეიჩ-ენის ინფორმაციით, მთავარი ცვლილება, რომლის მიღებასაც ადვოკატთა ასოციაცია ითხოვს ორგანიზაციის საერთო კრების შეკრებასთან და გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებულ ქვორუმს ეხება. როგორც გოჩა სვანიძე განმარტავს, კანონით დადგენილი ქვორუმი იმდენად მაღალია, რომ საერთო კრება სხდომის ჩატარებას პრაქტიკულად ვერ ახერხებს. კერძოდ, ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მოსაწვევად სიითი შემადგენლობის სახევარზე მეტია საჭირო. ორგანიზაცია, რომელიც 4 000 ადვოკატს ითვლის, 2 000-ზე მეტი წევრის მობილიზებას ვერ ახერხებს.

აღსანიშნავია, რომ გოჩა სვანიძის შენიშვნას მაღალ ქვორუმთან დაკავშირებით პავლე კუბლაშვილიც იზიარებს. როგორც დღევანდელ შეხვედრაზე გადაწყდა, ადვოკატთა ასოციაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი უახლოეს მომავალში პარლამენტში იურდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ იქნება ინიცირებული.

# მერიის ახალი ინიციატივა სამშენებლო ბაზარს სტაბილურს გახდის

პირველი გვერდიდან



როგორც მერიაში აცხადებენ, პროექტი ნებაყოფლობითია. თუკი რომელიმე სამშენებლო კომპანიის პირობები არ დააკმაყოფილებთ, თბილისის ისტორიულ უბნებში მცხოვრებ ადამიანებს შეუძლიათ, მასში მონაწილეობა არ მიიღონ, თუმცა თანხმობის შემთხვევაში ისინი ახალ საცხოვრებელ სახლებში გადასვლამდე ძველ სახლებზე საკუთრების უფლებას სრულად ინარჩუნებენ. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა დეველოპერებისგან ზუსტად იმდენ კვადრატულ მეტრ ფართს მიიღებს, რამდენსაც ისინი დედაქალაქის ისტორიულ უბანში ფლობენ. მათთან დეველოპერები მოლაპარაკებას უკვე 3 თვეა აწარმოებენ, ამავდროულად კი ისინი შეჩერებული მშენებლობების გასაგრძელებლად მოლაპარაკებებს საბანკო სფეროს წარმომადგენლებთან ახორციელებდნენ. დეველოპერებს ბანკთან გარანტად სესხის გაცემაზე სახელმწიფო უდგება, რაც რისკს მინიმუმამდე ამცირებს. ანუ კონკურსში კონკრეტული კომპანიის გამარჯვების შემთხვევაში, იმ ტერიტორიის ღირებულებას, სადაც მათ მოსახლეობასთან შეთანხმებას მიაღწიეს, სახელმწიფო გადაიხდის. **"ჩვენ ამ კონკურსში მონაწილეობისთვის ძირითადი ლოტი - "ოლიმპიური ვარსკვლავი" გავიტანეთ. მოლაპარაკებები გვქონდა ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ, ასევე ფიროსმანის და გოგოლის ქუჩების მოსახლეობასთან. მათი საცხოვრებელი ფართის საერთო რაოდენობა 4200 კვადრატულ მეტრს შეადგენს. ეს არის 50-მდე ოჯახი. კონკურსში მონაწილეობისთვის ჩვენგან შევიდა ორი ლოტი - ერთი განაცხადით, კვადრატული მეტრის ღირებულება 999 აშშ დოლარი, მეორეს მიხედვით - 1170. რა თქმა უნდა, გვაქვს წარმატების იმედი... დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს ბანკს, რომელიც ბოლომდე გამოგვყვა და გვერდში დაგვიდგა... რაც შეეხება პროექტს "ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", ეს არის თბილისის მერიისა და დეველოპერების საერთო პროექტი და ვფიქრობ, რომ მერიის მხარდაჭერა იყო ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ბანკი დეველოპერებთან თანამშრომლობაზე წამოვიდა... ჩვენს სექტორში იყო, ასე ვთქვათ, გამყინვარების პერიოდი, რომელიც 8 თვეზე მეტხანს გაგრძელდა. ახალი ინიციატივა ამ ყინულს აუცილებლად გაალღობს და სამშენებლო სექტორში ამჟამად არსებული მდგომარეობა ადგილიდან დაიძვრება. პროექტში მონაწილე ყველა სუბიექტს თავისი ინტერესი აქვს და ყველა მოგებულია. ეს არის იდეალური ვარიანტი, რაც შეიძლება ამ სექტორის წასახალისებლად დღევანდელ სიტუაციაში გაკეთდეს,"** - განაცხადა "24 საათთან საუბრისას "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტმა ზაზა რაზიკაშვილმა.

**"მთავარი პრობლემა იყო ის, რომ პოლიტიკური რყევების, აგვისტოს მოვლენებისა და მსოფლიო კრიზისის ფონზე, მოსახლეობას ჰქონდა მოლოდინი ბინების გაიაფებასთან დაკავშირებით და ამის გამო უძრავ ქონებას არ ყიდულობდნენ, რამაც სამშენებლო კომპანიებს სერიოზული დარტყმა მოგვაყენა. მერიის ახალი პროექტი კი ამ ბაზარს დაასტაბილურებს... ამ პროექტში მონაწილეობისათვის 10 ათას კვადრატულ მეტრზე გავაკეთეთ განაცხადი, რაც ასამდე ოჯახს შეადგენს. ეს მოიცავს საკმაოდ ბევრ უბანს: ავლაბარს, ოქროს უბანს, ხარფუხს და ა.შ. საერთო ჯამში ჩვენი კომპანია 45 ათას კვადრატულ მეტრზე იყო მოლაპარაკებული მოსახლეობასთან, მაგრამ დღეისათვის მათთან ნოტარიალურად 17 ათასი კვადრატულ მეტრზე გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული, დანარჩენი კი იმის გამო შეფერხდა, რომ მოსახლეობას საკუთრებასთან დაკავშირებით იურიდიული პრობლემა აქვს. ეს ძალიან დიდი პრობლემაა... ჩვენ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მერიაში სამი ლოტი შევიტანეთ. ფასს რაც შეეხება, ის კვადრატულ მეტრზე 900 დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამ ეტაპზე სესხის მიღებასთან დაკავშირებით შეთანხმებას "საქართველოს ბანკთან" და "თიბისი ბანკთან" მივაღწიეთ. საპროცენტო განაკვეთი სტანდარტულია - წლიური 18 პროცენტი,"** - აღნიშნა "არსისის" აღმასრულებელმა დირექტორმა თორნიკე აბულაძემ.

როგორც თბილისის მერიაში და დეველოპერულ კომპანიებში აცხადებენ, პროექტი სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკური პრობლემების დაძლევა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. **"ჩვენ ძალიან ვნერვიულობდით, ვინაიდან ეს არის მეტად ორიგინალური და, ამავდროულად, საქმიანი პროექტი, რომელიც მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ისტორიული უბნების რეაბილიტაციასა და ეკონომიკური აქტივობის ზრდას ითვალისწინებს. ყველა მოუთმენლად ველოდით, თუ რა მოცულობის პროექტები იქნებოდა წარმოდგენილი და მინდა აღვნიშნო, რომ პირველი ეტაპისთვის შედეგი იდეალურია,"** - განაცხადა დეველოპერებთან შეხვედრისას თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

თბილისის მერიაში სპეციალური კომისია უკვე შექმნილია, რომელსაც ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი ხელმძღვანელობს. კომისია მენაშენეთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს განიხილავს და გამარჯვებულ პროექტებს გამოავლენს. ეს ყველაფერი კი საბუთების მიღების დასრულების შემდეგ მოხდება. მამუკა ახვლედიანის განცხადებით, გამარჯვებულთა რაოდენობა შეზღუდული არ არის, შესაძლოა გამარჯვებული ცამეტივე კომპანია იყოს. **"სიმართლე გითხრათ, ჩვენ არ მოველოდით პროექტში სამშენებლო კომპანიებისა და ბანკების ასე ფართო მონაწილეობას. სამშენებლო კომპანიების მხრიდან განაცხადი 26 ლოტზე გაკეთდა, რაც ძველი თბილისის რაიონის ძალიან დიდ ტერიტორიას მოიცავს... თვითონ კომისიის საქმიანობა საკმაოდ შრომატევადია. ჩვენ უნდა განვიხილოთ თითოეული განაცხადის როგორც ტექნიკური, და ეს არის საკმაოდ მოცულობითი მასალა, ასევე ფინანსური მხარე. ამას რამდენიმე დღე დასჭირდება. უპირატესობა იმ პროექტს მიენიჭება, სადაც დაბალი ფასი იქნება და, ამასთანავე, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული უნდა იყოს,"** - ამბობს თბილისის ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი.

# საგარეო სავაჭრო ბრუნვა 34,7 პროცენტით შემცირდა

მანანა ვარდიაშვილი

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2009 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა (არაორგანიზებული ვაჭრობის გარეშე) 3483,2 მლნ. აშშ დოლარია. მიმდინარე წლის პირველი 8 თვის საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34,7 პროცენტით შემცირდა. 3483,2 მლნ. აშშ დოლარიდან ექსპორტზე 729,6 მლნ. აშშ დოლარი (შესაბამისად 31,7 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტზე - 2753,6 მლნ. აშშ დოლარი (35,4 პროცენტით ნაკლები) მოდის.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 2024,1 მლნ. აშშ დოლარია. უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 102 პარტნიორ

ქვეყანასთან დაფიქსირდა. ამ ქვეყნებთან სავაჭრო დეფიციტი 2140,0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ამავე პერიოდში საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი 21 ქვეყანასთან (115,9 მლნ. აშშ დოლარი) ჰქონდა. 2009 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს მილიონ აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა 8 ქვეყანასთან: კანადა (68,5 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (27,3 მლნ. აშშ დოლარი), ერაყი (6,4 მლნ. აშშ დოლარი), ანგოლა (3,1 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (2,9 მლნ. აშშ დოლარი) ბურკინაფასო (1,9 მლნ. აშშ დოლარი), უზბეკეთი (1,2 მლნ. აშშ დოლარი) და ეგვიპტე (1,1 მლნ. აშშდოლარი).

2009 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 969,3 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 32,8 პროცენტით ნაკლებია. აქედან ექსპორტი 148,4 მლნ. აშშ დოლარია (39,3 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 820,9 მლნ. აშშ დოლარი (31,5 პროცენტით ნაკლები). ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო

სავაჭრო ბრუნვის 27,8 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 20,3 პროცენტი და იმპორტის 29,8 პროცენტი. ამ ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 33,2 პროცენტი (2008 წლის იანვარ-აგვისტოში - 29,8 პროცენტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წლის იანვარ-აგვისტოში 1061,0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (2008 წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით 39,6 პროცენტით ნაკლები), აქედან ექსპორტი 270,6 მლნ. აშშ დოლარია (25,3 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი - 790,4 მლნ. აშშ დოლარი (43,3 პროცენტით ნაკლები). ამ ქვეყნების წილად მოდის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 30,5 პროცენტი, მათ შორის ექსპორტის 37,1 პროცენტი და იმპორტის 28,7 პროცენტი. ამ ქვეყნებზე მოდის სავაჭრო დეფიციტის 25,7 პროცენტი.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67,9 პროცენტს შეადგენს. უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ-ის 3 ქვეყანა და მათზე მოდის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 25,0 პროცენტი.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვის მიხედვით თურქეთი საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა 674,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 14,3 პროცენტით ნაკლებია. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 4,6 პროცენტული პუნქტით - 14,8 პროცენტიდან 19,4 პროცენტამდე - გაიზარდა.

თურქეთში ექსპორტი 164,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 79,3 პროცენტია. შემცირებულია შავი ლითონების ჯართის (59,4 მლნ. აშშ დოლარით), ალუმინის ჯართის (8,2 მლნ. აშშ დოლარით) და აზოტოვანი სასუქების (4,7 მლნ. აშშ დოლარით) ექსპორტი. თუმცა, გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი, როგორიცაა: ზეთოვანი კულტურების

თესლების ფქვილი (20,2 მლნ. აშშ დოლარით), ფეროშენადნობები (12,8 მლნ. აშშ დოლარით) და კოპტონი (4,4 მლნ. აშშ დოლარით). შემცირება (69,3 მლნ. აშშ დოლარი) ფიქსირდება თურქეთიდან საქართველოში განხორციელებულ იმპორტის ნაწილშიც. შემცირებულია შავი ლითონების ლითონკონსტრუქციების (6,7 მლნ. აშშ დოლარით), მერქან-ბურბუშელის ფილების (6,0 მლნ. აშშ დოლარით) და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (5,8 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. გაზრდილია ცემენტის (2,6 მლნ. აშშ დოლარით), ქაღალდისა და მუყაოს (1,9 მლნ. აშშ დოლარით) და სპილენძის ნაკეთობების (1,5 მლნ. აშშ დოლარით) ჯგუფების იმპორტი.

აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვა 365,3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლის 65,1 პროცენტია. ექსპორტი აზერბაიჯანში შემცირებულია 25,4 მლნ. აშშ დოლარით. უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია მსუბუქი ავტომობილები (29,9 მლნ. აშშ დოლარი) და ცემენტი (16,1 მლნ. აშშ დოლარი). აზერბაიჯანიდან იმპორტი შემცირებულია 170,1 მლნ. აშშ დოლარით და 244,7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 59 პროცენტია.

უკრაინა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილზეა. ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა 310,2 მლნ. აშშ დოლარია, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 58,7 პროცენტია. უკრაინასთან სავაჭრო ბრუნვის წილი 1 პროცენტული პუნქტით - 9,9 პროცენტიდან 8,9 პროცენტამდე შემცირდა. ექსპორტი შემცირებულია 40,5 მლნ. აშშ დოლარით, რაც ძირითადად ფეროშენადნობების (14,2 მლნ. აშშ დოლარით), ყურძნის ნატურალური

ღვინოების (5,4 მლნ. აშშ დოლარით) და მსუბუქი ავტომობილების (2,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის შემცირებითაა გამოწვეული. სპირტიანი სასმელების ექსპორტი 0,6 მლნ. აშშ დოლარითაა გაზრდილი და 19,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

უკრაინიდან იმპორტი 177,9 მლნ. აშშ დოლარითაა შემცირებული და 262,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ყველაზე მეტად რკინისა და ფოლადის წნელების (58,1 მლნ. აშშ დოლარით), ხორბლის ფქვილის (15,7 მლნ. აშშ დოლარით) და ქვანახშირის კოქსის (12,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტია შემცირებული. გაზრდილია მზესუმზირას თესლის (24,8 მლნ. აშშ დოლარით), ალაოს (2,8 მლნ. აშშ დოლარით) და ელექტრული ტრანსფორმატორების (2,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი.

სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია - მის წილად ექსპორტის 12,7 პროცენტი მოდის და 92,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. დაუმუშავებელი ან ნახევრადდამუშავებული ოქროს ექსპორტი 75,0 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც ექსპორტის 10,3 პროცენტია. მესამე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი 19,7 მლნ. აშშ დოლარითაა შემცირებული და 59,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი იმპორტში 11,4 პროცენტია და 313,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 171 მლნ. აშშ დოლარია, რაც იმპორტის 6,2 პროცენტია. მესამე ადგილი 101,9 მლნ. აშშ დოლარით კი სამკურნალო საშუალებებს უკავია.

# კორპორაციული მართვა ქართულ კომპანიებში

## IFC-მ ადგილობრივი ბაზარი ორჯერ შეისწავლა

ნინო ნატროშვილი

პოლიტიკური თუ კორპორაციული ხასიათის მცირე თუ დიდი მასშტაბის კორუფცია მსოფლიო პრობლემად იქცა. კორუფციასთან მიმართებაში მარტივი პასუხები არ არსებობს, კორუფციას მრავალი სახე და მოძრავი ნაწილი აქვს. ბიზნესი ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება იყოს კორუფციის წყარო, სხვა შემთხვევაში - მსხვერპლი. კერძო სექტორი შეიძლება იყოს ძალა კორუფციის პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შემუშავებაში, ხოლო კომპანიები მთელ მსოფლიოში მონაწილეობენ ამ პროცესში. კომპანიებში კორუფციის დაძლევის და გამჭვირვალე ბიზნესის განვითარების წინაპირობად მთელ მსოფლიოში ძლიერი კორპორაციული მართვის ინსტიტუტი მიიჩნევა. ჩვენს ქვეყანაში კი კორპორაციული მართვის ინსტიტუტი საკმაოდ სუსტადაა განვითარებული. ამ სფეროს საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC -ი 2004 წლიდან იკვლევს. სეგმენტის მეორე საფუძვლიანი კვლევა 2008 წელს ჩატარდა. როგორც IFC -ის კორპორაციული მართვის პროექტის მენეჯერი მაია თევზაძე განმარტავს, ქართულ კომპანიებში საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მიერ ჩატარებული კვლევა (კორპორაციული მართვის ძირითად კომპონენტებში) ბოლო ოთხ წელიწადში მიღწეულ მნიშვნელოვან პროგრესს ადასტურებს. "თუმცა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია და იმედი მაქვს, რომ IFC-ის სემინარები და კონსულტაციები ქართულ კომპანიებს კიდევ უფრო უკეთესი შედეგების მიღწევაში დაეხმარება," - ამბობს მაია თევზაძე.

IFC -ის მიერ შესწავლილი კომპანიების 77 პროცენტმა კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის კარგი ცოდნა აჩვენა. ამავე კვლევის თანახმად, ბევრ კომპანიას შეუძლია, ამ პრაქტიკის განხორციელებით თავისი საქმიანობა უფრო ეფექტური გახადოს.







2004 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც კორპორაციული მართვის მნიშვნელობას აღიარებს. კერძოდ, კორპორაციული მართვა ძალზე მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა 22 პროცენტმა. ეს მაჩვენებელი 2004 წელს 13,8 პროცენტს შეადგენდა.

გამოკითხული რესპონდენტების 30,7 პროცენტმა განაცხადა, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში კორპორაციული მართვა მათ კომპანიებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, ხოლო 27,3 პროცენტი მიიჩნევს, რომ კორპორაციული მართვის ხარისხი არ გაუმჯობესებულა. ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც დაინტერესებულია კორპორაციული მართვის საკითხებზე ინფორმაციის მიღებით ან გარე კონსულტანტების მომსახურებით. როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, იმ კომპანიების რიცხვმა, რომელმაც კორპორაციული მართვის საკითხებში გარე კონსულტანტების მომსახურებას მიმართა, 17,3 პროცენტი შედგინა, მაშინ როდესაც 2004 წელს რესპონდენტთა მხოლოდ 3,2 პროცენტმა განაცხადა ამის შესახებ.

კომპანიები ყველაზე ხშირად კორპორაციულ მართვას უკავშირებენ ისეთი ამოცანების გადაწყვეტას, როგორებიცაა:^ინვესტიციების მოზიდვა, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტურობის ამაღლება, აქციონერებსა და მმართველობით ორგანოებს შორის ურთიერთობების ეფექტურობის ამაღლება, კომპანიაზე ეფექტური ზედამხედველობის განხორციელება და შიდა კონტროლის ეფექტურობის ამაღლება. გამოკითხულთა შედარებით ნაკლებმა რაოდენობამ კორპორაციული მართვა ისეთ გარემოებებს დაუკავშირა, როგორებიცაა - მმართველი ორგანოების ანგრიშვალდებულების ამაღლება, კორპორაციული კონფლიქტების თავიდან აცილება და აქციონერთა უფლებების დაცვა, რადგან აღნიშნული ფაქტორები კარგი კორპორაციული მართვის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენს.

კითხვაზე, თუ რა არის ის ძირითადი ფაქტორები, რაც თქვენს კომპანიას კორპორაციული მართვის გაუმჯობესებისაკენ უბიძგებს, კომპანიების მიერ შემდეგი ფაქტორები დასახელდა: ფინანსური მაჩვენებლების გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და უცხოური ინვესტიციების გაზრდის სურვილი.

"კორპორაციული მართვის თემა საფონდო ბაზრის მოთხოვნებიდან წამოვიდა. კერძოდ, ამ თემის აქტუალურობა მცირე აქციონერების პრობლემებმა განაპირობა. რაც უფრო კარგად მუშაობს სააქციო საზოგადოება და ეფექტურია კორპორაციული მართვა, მით უფრო მეტი ინვესტიციების მოზიდვა ხდება საწარმოში. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, პრემიუმი მით უფრო მეტია კორპორაციულ მართვაში. მიმაჩნია, რომ ქვეყანაში ფულის მოზიდვა საფონდო ბაზრის მეშვეობით უნდა ხდებოდეს. უნდა მოხდეს საფონდო ბაზრის განვითარების სტიმულირება, რაც კარგი კორპორაციული მართვის შემთხვევაში, კომპანიებისათვის დამატებით კაპიტალს მოიზიდავს," - ამბობს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელი გოგი ლოლაძე.

კორპორაციული მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება დამოკიდებულია როგორც სახელმწიფოზე, ისე კერძო სექტორზე. თუ პირველის როლი შესაბამისი კორპორაციული მართვის ხელშემწყობი მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებაში გამოიხატება, მაშინ კერძო სექტორი შეიმუშავებს კორპორაციული მართვის ეფექტურ პრაქტიკას, რაც კომპანიების ცალკეულ შიდა დოკუმენტებში აისახება.

# საქართველოს საფონდო ბირჟის აქციათა 50 პროცენტს +1

თინა შავაძე

განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, მიმდინარე კრიზისის პირობებში, ტრანსნაციონალური კორპორაციების მთავარი სამიზნე გახდა. წინასწარმეტყველთა აზრით, შუა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები კრიზისიდან უკვე გამოდიან და მალე ისინი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები გახდებიან. "ბიბისი"-ს გუშინდელი ინფორმაციით, ცნობილი SHBC-ი სათაო ოფისის გადატანას ინგლისიდან ჩინეთში აპირებს. მართალია, საერთაშორისო წინასწარმეტყველები საქართველოს განვითარებადი ბაზრის შესახებ კონკრეტულს არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ მათი მხრიდან ჩვენი ქვეყნის იგნორირება სასოწარკვეთილებაში სულაც არ გვაგდებს. საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და მილიონერების ყურადღების მიქცევა ადგილობრივი ავანტურისტების ისტორიული ჰობია.

ვატო აბაშიძისა და ეროსი კიწმარიშვილის ვარდების რევოლუციისდროინდელი ოცნება ასრულდა. ტელეკომუნიკაციის მარეგულირებელი კომისიისა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის მაშინდელი თავმჯდომარეები აქტიურად საუბრობდნენ სს ელექტროკავშირის (საქართველოს ტელეკომი) აქციების NASDAQ-OMX-ისთვის შეთავაზების თაობაზე. ამ უპრეცედენტო, მაგრამ ავანტურისტულ წამოწყებას სათანადო მხარდაჭერა რომ ჰქონოდა, შესაძლებელი იყო ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოცოცხლება. NASDAQ-ელების მიმდევრები კვლავ გამოჩნდნენ - საფონდო ბირჟის აქციონერებმა NASDAQ-OMX-ისთვის აქციების ექსკლუზიურად შეთავაზების გადაწყვეტილება მიიღეს. აშკარაა, ამჯერად NASDAQ-OMX-თან პარტნიორობას პროფესიონალების გუნდი აპირებს, რომელიც, იმედია, საპასუხო საინვესტიციო წინადადებას მიიღებს.



საფინანსო ინსტიტუტებს შორის ერთ-ერთმა მთავარმა მოთამაშემ - სს საქართველოს საფონდო ბირჟამ გასული წელი 219874 ლარის წმინდა მოგებით დაასრულა. სს საქართველოს საფონდო ბირჟა თვითრეგულირებადი ორგანიზაციაა. ბირჟის საქმიანობის ძირითად მიზანს საქართველოში ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალე და ლიკვიდური ორგანიზებული ბაზრის ჩამოყალიბება, სიცოცხლისუნარიანი სავაჭრო მექანიზმის შექმნა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა წარმოადგენს. ბირჟის საქმიანობის საგანია: ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება; ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობის ორგანიზება საბირჟო წესების და პროცედურების შესაბამისად; საბირჟო ვაჭრობების შედეგების შესახებ და საფონდო ბაზართან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის გავრცელება.

საზოგადოება ფლობს 98.81% სს საქართველოს ფასიანი ქაღლადების ცენტრალური დეპოზიტარის აქციებში და 56.15% სს კავკასრეესტრში. საკუთარი კაპიტალი წარმოდგენილია სააქციო კაპიტალით (ჩვეულებრივი აქციებით) 46577 ლარი. შეუვსებელი კაპიტალი ასახავს შვილობილ სს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის გაუთავსებელ აქციებს (8800 ლარი), საემისიო კაპიტალია 128252 ლარი, გადაფასების რეზერვი წარმოადგენს არამატერიალური აქტივების გადაფასების თანხას - 74600 ლარი. საკუთარ კაპიტალში ცვლილებები დაკავშირებულია საანგარიშო პერიოდის მოგებასთან. საანგარიშო პერიოდის კონსოლიდირებულმა სააღრიცხვო წმინდა მოგებამ 219875 ლარი შეადგინა.

"24 საათი" საქართველოს საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გოგი ლოლაძეს ესაუბრა.

გოგი ლოლაძე: **23 სექტემბერს ბირჟის აქციონერთა კრებაზე მივიღეთ გადაწყვეტილება ახალი ემისიის გამოშვების შესახებ, რომლის შეთავაზებაც შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ NASDAQ-OMX-ისთვის მოხდეს.**

- აქციების პაკეტის ექსკლუზიური უფლებით შეთავაზება რატომ გადაწყვიტეთ?

**- ჩვენი მიზანია სტრატეგიული ინვესტორების შემოყვანა საქართველოს საფონდო ბირჟაზე. სასურველია, NASDAQ-OMX-ი ქართულ ბაზარზე შემოვიდეს, რაც საინვესტიციო ბაზრის ავტორიტეტის გაზრდას ხელს შეუწყობს.**

- რამდენიმე ხნის წინ NASDAQ-OMX-მა საქართველოს საფონდო ბირჟის აქციების შესყიდვის სურვილი გამოხატა, მაგრამ მაშინ ამ პროცესს ხელი შეეშალა. დაწყებულია თუ არა მოლაპარაკებები და ტრანსაქცია, სავარაუდოდ, როდის განხორციელდება?

**- ეს საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია. პარტნიორებთან პირდაპირი მოლაპარაკებები მიმდინარეობს და მათ შესაბამისი შეთავაზების წერილი უახლოეს პერიოდში წარედგინებათ. NASDAQ-OMX-ის დათანხმების შემთხვევაში ის საქართველოს საფონდო ბირჟის აქციათა 50 პროცენტს + 1 ხმის მფლობელი გახდება.**

- NASDAQ-OMX-**ის** ბირჟაზე შემოსვლა რას მოუტანს ადგილობრივ კომპანიებს.?

**- ის სააქციო საზოგადოებები, რომლებიც ცდილობენ, უცხოეთის საფონდო ბირჟებზე აქციები განათავსონ და გარკვეული სირთულეებს აწყდებიან, NASDAQ-OMX-ის ბირჟაზე შემოსვლის შემთხვევაში უკვე შეძლებენ, საერთაშორისო შეთავაზება ქვეყნის შიგნით განახორციელონ.**

- ბოლო ორი წლის მონაცემებით, გარე საბირჟო ვაჭრობის მოცულობა საფონდო ბირჟასთან შედარებით იზრდება, კომპანიების საკონტროლო პაკეტები ძირითადად გარე საბირჟო გარიგებების დროს გაიყიდა, არარსებულ ტენდენციას სხვადასხვაგვარად აფასებენ.. როგორია თქვენი მოსაზრება?

**- ვეთანხმები იმ ექსპერტებს, რომლებიც გარესაბირჟო გარიგებების მოცულობის გაზრდას ორი წლის წინ მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს უკავშირებენ. ვფიქრობ, ეს არის უარყოფითი ტენდენცია, რადგან გარესაბირჟო გარიგებების დროს უცნობია შეთავაზებული პაკეტის დეტალები და, ამდენად, გარიგება ბევრ ეჭვს ბადებს. რაც შეეხება საკონტროლო პაკეტს, ტრადიცულად, მისი გაყიდვა ბირჟის გარეთაც ხდებოდა და მსგავსი წესით ვაჭრობა მისაღებია.**

სატენდერო განცხადება

United Nations Development Programme

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

გამოაცხადოს ტენდერი

*Ref: FOSTER – CEB Rehabilitation #00063905-3/13*

იურიდიული დახმარების ბიუროს შიდა ქართლის ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ქ. გორში

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილ, დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 2 ოქტომბრის 17:00 სთ-მდე მისამართზე: თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა UNDP
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4; საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

# "უდოს" კომისია დაკომპლექტებულია

*სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა პატიმართა ვადაზე ადრე გათავისუფლების ე.წ. უდოს კომისიის შემადგენლობა საბოლოოდ დაასახელა.*

ახალი ცვლილებების თანახმად, ვადაზე ადრე გათავისუფლების ცხრაკაციანი კომისია სამინისტროს ექვსი, პარლამენტის ორი (ერთი უმრავლესობიდან და ერთი უმცირესობიდან) და არასამთავრობო სექტორის ერთი წარმომადგენლისგან შედგება.

კომისიის თავმჯდომარედ დიმიტრი შაშკინმა მისი ყოფილი მოადგილე ლევან ზარანდია დანიშნა. სამინისტროს დანარჩენი ექვსი წარმომადგენლის გვარები გუშინ არ დასახლებულა, თუმცა ჩვენი ინფრომაციით, მათი ვინაობა უკვე გარკვეულია. პარლამენტის ქვოტით კომისიის შემადგენლობაში უმრავლესობიდან - გია არსენიშვილი, ხოლო უმცირესობიდან დიმიტრი ლორთქიფანიძე იმუშავებენ.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, ცოტა ხნის წინ გამართული კონკურსიდან რამდენიმე კანდიდატი იყო შერჩეული, საიდანაც, საბოლოო არჩევანი თავად მინისტრს უნდა გაეკეთებინა. შაშკინთან შეტანილი სია ასეთი იყო - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი, "ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის" ხელმძღვანელი ლია მუხაშავრია, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" თავმჯდომარე მანანა კობახიძე, ორგანიზაცია "არ მკითხოს" წარმომადგენელი გია თევზაძე და ყოფილი ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე.

თუმცა, გუშინ დიმიტრი შაშკინმა კომისიის წევრად არასამთავრობო სექტორის წარმომადგელელი ნინო მესტუმრიშვილი დაასახელა. იგი როტაციის პრინციპით სამი თვის შემდეგ შეიცვლება.

როგორც გუშინდელ პრეზენტაციაზე დიმიტრი შაშკინმა განაცხადა, "უდოს" კომისიის პირველი სხდომა 30 სექტემბერს გაიმართება და 75 განაცხადი იქნება განხილული.

დიმიტრი შაშკინმა აღნიშნა, რომ არასამთავრობოებს 5 კანდიდატის წარმოდგენა შესთავაზა, თუმცა სამინისტროში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 24 განაცხადი შევიდა. მისივე განცხადებით, შაბათს მრჩეველთა საბჭომ იმსჯელა 5 კანდიდატის შესახებ და საბოლოო არჩევანი ახალგაზრდულ ორგანიზაცია "ეროვნული საბჭოს" წარმომადგენელ ნინო მესტუმრიშვილზე შეაჩერა, რომელიც, დიმიტრი შაშკინის თქმით, როტაციის პრინციპით სამ თვეში შეიცვლება.

კომისიის თავმჯდომარისა და შაშკინის მოადგილის ლევან ზარანდიას განცხადებით, კომისიის მუშაობის ფუნდამეტური პრინციპი და მიზანია, ყველაფერი იყოს გამჭვირვალე, დაიცვან პატიმართა უფლებები, უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგი.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის, ნინო მესტუმრიშვილის განცხადებით, მისთვის დიდი პასუხისმგებლობაა კომისიის წევრობა და პირობა დადო, რომ კომისიის მუშაობა ღია იქნება და კანონის ფარგლებში იმოქმედებენ.

პრეზენტაციას გია არსენიშვილი და დიმიტრი ლორთქიფანიძეც ესწრებოდნენ, რომლებიც კომისიაში პარლამენტის კვოტით შევიდნენ. დეპუტატების თქმით, კომისიის მუშაობაში პარლამენტის როლის შეტანა მნიშვნელოვანია.

*საკუთარი ინფორმაცია*

**Newspaper Advertisement**
**American Embassy, Tbilisi, Georgia**

**On October 3rd, 2009** the American Embassy in Tbilisi will hold an open bid Auction
of <u>used and damaged</u> household furniture and appliances.

- All presented items are sold **<u>"as is"</u>** without warranty of any kind.
- If required, the buyer is responsible for the Customs clearance and **<u>pays all Customs fees.</u>**
- The Lots' viewing and inspection will be available <u>only on Sale day.</u>
  <u>October 3rd, 2009</u> at 9:00 –11:00 AM.
- Auction (bidding) begins at 11:00 AM.

The auction will be held at:
#11 George Balanchine Street, US Embassy, Tbilisi.
For questions please call: 277000 or 899 563920.

**განცხადება**

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური გასცემს იჯარით საზღვაო ვაგზლის პირველი სართულის 213,6 კვ.მ. ფართს.
დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ მისამართზე:
შპს "ბათუმის საზღვაო ნავსადგური"
საქართველო, 6003, ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N 11
ელ.ფოსტა: bsport@batumiport.com
ან დაუკავშირდნენ საკონტაქტო პირს:
ბატონ ანდრეი პაშევკინს
ელ.ფოსტა: pashevkin@batumioilterminal.com
მობ: +995 (77) 20-27-51

შპს ბათუმის საზღვაო ნავსადგური

# საპროცესო შეთანხმება მუხროვანის ამბოხის მთავარ გმირთან

ხათუნა ჯანგირაშვილი

*მუხროვანის სამხედრო ამბოხის საქმის სასამართლო განხილვა, ამიერიდან, 13 განსასჯელის გარეშე წარიმართება. სასამართლო სხდომები კვლავ ბრალდებულების დაკითხვით განახლდება და 41 განსასჯელიდან პროცესებში მონაწილეობას მხოლოდ 28 მიიღებს. საქმე ისაა, რომ 13 განსასჯელის წინაღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნით და მოსამართლე ჯემალ კოპალიანის თანხმობით, ცალკე წარმოებად გამოიყოფა და მას სხვა მოსამართლე განიხილავს.*

განსასჯელები ვლადიმერ გულიკაშვილი, ილია ლამბრაშვილი, კახაბერ ჯოლბორდი, გიორგი სამადალაშვილი, კახაბერ დვალი, პაატა ხორხაშვილი, დავით ამირიძე, უჩა ჩოხელი, გელა გოგალაძე, დავით პეტრიაშვილი, დავით გვენცაძე და ზაზა მუშკუდიანი სასამართლო პროცესებს იმ უბრალო მიზეზის გამო აღარ დაესწრებიან, რომ მათთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმებას მიაღწია. სახელმწიფო ბრალმდებლებმა რობერტ გრიგალაშვილმა და დავით ბერეკაშვილმა შესაბამისი დოკუმენტაცია გუშინ მოსამართლე ჯემალ კოპალიანს წარუდგინეს. რა პირობებია ჩადებული 13 განსასჯელთან შეთანხმებულ საპროცესო გარიგებაში და რა სასჯელზე შეთანხმდნენ სახელმწიფო ბრალმდებლები და განსასჯელები, ჯერჯერობით უცნობია. საპროცესო გარიგებას სხვა მოსამართლე დაამტკიცებს.

ცნობილია მხოლოდ ის, რომ განსასჯელებმა, რომლებთანაც საპროცესო გარიგება შედგა, სასამართლოს უკვე მისცეს აღიარებითი ჩვენებები. დანაშაულის შეუტყობინებლობა, დანაშაულის დაფარვა, სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობა, - ასეთია იმ განსასჯელთა მიმართ წარდგენილი ბრალდებები, რომლებთანაც პროკურატურამ საპროცესო შეთანხმებას მიაღწია.

**"შემოვდივართ შუამდგომლობით, რომ ცამეტი განსასჯელის მიმართ, რომლებთანაც მივაღწიეთ საპროცესო შეთანხმებას, საქმის არსებითი განხილვის გარეშე დადგეს განაჩენი,"** - ასეთი იყო სახელმწიფო ბრალმდებლების მოთხოვნა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა. იმ განსასჯელთა სიაში, რომლებთანაც, პროკურატურამ საპროცესო შეთანხმებას მიაღწია, აღმოჩნდა მუხროვანის ამბოხის საქმის მთავარი მოწმე და შეთქმულების მოწყობასა და ხელისუფლების შეიარაღებული ძალით დამხობის მცდელობაში ბრალდებული გია ღვალაძეც, რომლის დაკითხვა გუშინაც გაგრძელდა და რომელსაც თითქმის ყველა განსასჯელის ინტერესების დამცველს უამრავი შეკითხვა ჰქონდა.

ისევე, როგორც ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდლის, კობა კობლალაძის ინტერესების დამცველებს, სხვა განსასჯელების ადვოკატებსაც ძირითადად ერთი და იგივე შინაარსის შეკითხვა ჰქონდათ განსასჯელ გია ღვალაძესთან.

ადვოკატები დაინტერესდნენ იმით, აქვს თუ არა გია ღვალაძეს მეხსიერების პრობლემა ავტოვარიის შედეგად მიღებული მძიმე ტრავმების ფონზე; რით აიხსნება წინააღმდეგობები, რომლებიც გია ღვალაძის მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებშია, ისევე, როგორც სასამართლოსთვის მიცემულ ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებში; რატომ ვერ იხსენებს ის ამბოხების ორგანიოზატორობაში ბრალდებულებთან შეხვედრის ზუსტ დროს და თარიღს, ასევე სხვა დეტალებს; რატომ ვერ ამბობს და ვერ აზუსტებს, რა როლი ეკისრებოდა თავად ამბოხების დროს და როგორ უნდა მოეხდინა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის ბლოკირება; რატომ არ იცის, საქმეში ძირითად ბრალდებულთაგან, ვის რა როლი ეკისრებოდა და რა უნდა მოემოქმედებინა ამბოხების დროს - ეს ის შეკითხვებია, რომლებსაც განსასჯელების ინტერესების დამცველები რამდენიმე საათის განმავლობაში გია ღვალაძეს უსვამდნენ. თუმცა, მისგან ამომწურავი და სრული პასუხი არც ერთ შეკითხვაზე არ მიუღიათ.

გია ღვალაძეს შეკითხვები განსასჯელებმა კობა კობლაძემ და კობა ოთანაძემაც დაუსვეს და მის მიერ მიცემულ ჩვენებებში არსებული წინააღმდეგობების ახსნა მოსთხოვეს.

**"ჩემს ჩვენებებში წინააღმდეგობები არ არის. უბრალოდ, დრო მქონდა საფიქრალი და ყველაფერი კარგად გამახენდა,"** - ასეთი იყო გია ღვალაძის პასუხები. მან ვერ ახსნა ის სქემა, რომლითაც, მისი თქმით, მეამბოხეებს უნდა ემოქმედათ და ვერც ის გაიხსენა, რას საუბრობდნენ საქმეში მთავარი ბრალდებულები კობა ოთანაძე, კობა კობალაძე, გია კრიალაშვილი ლევან ამირიძე მასთან შეხვედრისას მცხეთაში "ზეინაბას სახინკლესა" და რესტორან "არაგვში".

# საკადრო ცვლილება პროკურატურაში

თამარ კაციტაძე

*საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოულოდნელი საკადრო ცვლილება განხორციელდა. მთავარი პროკურორი მამუკა გვარმაია თბილისის პროკურორის თანამდებობაზე გადაიყვანეს, მისი ადგილი კი პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილე მურთაზ ზოდელავამ დაიკავა.*

მურთაზ ზოდელავა სოხუმში დაიბადა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. იგი 2000-2003 წლებში იყო შპს "სანდო, სააკაშვილი და კუკავა" საადვოკატო კომპანიის იურისტი.

შემდეგ მოღვაწეობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, საბჭოს წევრის თანაშემწის და უფროსი კონსულტანტის თანამდებობაზე.

2005-2007 წლებში საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იყო კადრების სამსახურის უფროსის მოადგილე, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის სამსახურის ანალიზისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი.

საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის თანამდებობამდე, საქართველოს პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსად მუშაობდა. 2008 წლიდან კი იგი საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრია. იგი საკანონმდებლო ორგანოში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გამარჯვებული საქართველოსთვის" ფრაქციას წარმოადგენს და იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილეა.

მურთაზ ზოდელავას მთავარი პროკურორის თანამდებობაზე დანიშვნას ქვეყნის პოლიტიკური სპექტრი არაერთგვაროვნად შეხვდა.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები თუ ზოდელავას მთავარ სამართველდამცველად დანიშვნას მიესალმება, ოპოზიცია კრიტიკულად შეხვდა.

იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი მურთაზ ზოდელავას მთავარ პროკურორად დანიშვნას სწორ საკადრო გადწყვეტილებად აფასებს.

კუბლაშვილის დახასიათებით, ზოდელავა კვალიფიციური კადრია და საკმაოდ კარგი გამოცდილება აქვს.

**"დარწმუნებული ვარ, ზოდელავა დაკისრებულ მოვალეობას წარმატებით შეასრულებს,"** - აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი კი საქართველოს მთავარი პროკურორის პოსტზე უმრავლესობის წევრ, დეპუტატ მურთაზ ზოდელავას დანიშვნას მკვეთრად უარყოფითად აფასებს. მომხდარ საკადრო ცვლილებას კი ასე ხსნის: **"მმართველ გუნდს მთავარ პროკურორ მამუკა გვარამიასთან ძალიან რთული ურთიერთობა და უთანხმოება ჰქონდა იმის გამო, რომ გვარამია მათ თხოვნებს არ ასრულებდა. გვარამიას ზოდალავათი ჩანაცვლებით "ნაციონალურმა მოძრაობამ" ეს პრობლემა მოაგვარა. მურთაზ ზოდელავა მათი მოთხოვნების საუკეთესო შემსრულებელი იქნება. სწორედ ამ ნიშნით შეარჩიეს იგი მთავარი პროკურორის თანამდებობაზე,"** - განაცხადა გია ცაგარეიშვილმა.

ახლად დანიშნული მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავა კი უკვე თავის სამომავლო გეგმებზე საუბრობს და აცხადებს, რომ მისთვის პრიორიტეტული მიმართულება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია და მძიმე დანაშაულთან ბრძოლა იქნება.

**"პრიორიტეტი იქნება სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაცია, მეტი გამჭვირვალობა და შიდასტრუქტურული ელემენტების გაძლიერება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ძირითად მიმართულებებს ვასუსტებთ. რა თქმა უნდა, ძირითად ფუნქციად რჩება დანაშაულთან, მათ შორის კორუფციასთან ბრძოლა,"** - განაცხადა ზოდელავამ.

საქართველოს გენერალური პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში დაქვემდებარების შემდეგ თბილისის პროკურორის მოვალებას მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ასრულებდა. დღეიდან კი ქვეყნის პირველი პროკურორი დედაქალაქის პირველი პროკურორი იქნება. რატომ მოხდა პროკურატურის საკადრო ცვლილება ამის თაობაზე ოფიციალურად ჯერჯერობით კომენტარი არ გაკეთებულა.

# გერმანიის არჩევნები "ქრისტიან-დემოკრატებმა" მოიგეს

მარიკა იაშვილი

გერმანიაში ბუნდესტაგის არჩევნები დასრულდა. პირველი ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მე-17 ბუნდესტაგში 622 დეპუტატი შევა, რომელთა უმრავლესობა "ქრისტიან-დემორატიული კავშირისა" და "ქრისტიან-სოციალური კავშირის" ბლოკის, აგრეთვე "თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენლები იქნებიან.

გერმანიის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ "გარდამავალი ხმების" საბოლოოდ დათვლის შემდეგ განაცხადა, რომ მანდატების გადანაწილებაში მცირედი ცვლილებების მიუხედავადაც, რაც შესაძლოა მომავალში მოხდეს, ძირითადი შედეგები არ შეიცვლება.

ამგვარად, უმსხვილესი ფრაქცია, რომელიც "ქრისტიან-დემოკრატიულ" და "ქრისტიან-სოციალურ" კავშირებს აერთიანებს, ბუნდესტაგში 239 ადგილს დაიკავებს (შესაბამისად 194/45), გერმანიის "სოციალ-დემოკრატიული პარტია" 146 მანდატს მიიღებს, "თავისუფალ დემოკრატებს" 93 მანდატი ექნებათ, "მემარცხენეებს" - 76, ხოლო "მწვანეებს" - 68.

"გარდამავალი მანდატები" ანუ "გარდამავალი ხმები" გერმანიაში იმის გამო წარმოიქმნება, რომ თითოეულ მოქალაქეს ორი ხმის უფლება აქვს. ერთ ხმას ისინი თავიანთი ოლქის კანდიდატს აძლევენ, ხოლო მეორეს - პარტიის სამხარეო სიის მიხედვით.

გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მეორე ხმას აქვს. პარტიამ გამარჯვებისთვის საარჩევნო ოლქთა უმეტესობაში უნდა მოიპოვოს უპირატესობა და 5-პროცენტიანი ბარიერი გადალახოს. გამარჯვების შემთხვევაში პარტია დამატებით "გარდამავალ ხმებს" იღებს, რაც ბუნდესტაგში დეპუტატთა რაოდენობის ცვლას განაპირობებს. სწორედ ამის გამო გერმანიის პარლამენტში, ჩვეულებრივ, კანონით გათვალისწინებულ 598-ზე მეტი დეპუტატი ხვდება.

ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, "ქრისტიან-დემოკრატებმა" გამარჯვება ბუნდესრატშიც მოიპოვეს - სამხარეო მმართველობების წარმომადგენლების ფედერალურ საბჭოში, რომელიც, ფაქტობრივად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის ზედა პალატაა.

ასეთი შედეგი განაპირობა "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირისა" და "თავისუფალი დემოკრატების" გამარჯვებამ ადგილობრივი კავშირების შლეზვიგ-ჰოლშტეინის ლანდტაგში (სამხარეო პარლამენტში).

შლეზვიგ-ჰოლშტეინის სამხარეო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელის მიერ გავრცელებული წინასწარი ოფიციალური მონაცემების თანახმად, "ქრისტიან-დემოკრატიულმა კავშირმა" ხმათა 31.4 პროცენტი მოიპოვა და ლანდტაგში 95-დან 34 ადგილს მიიღებს.

მათმა პარტნიორებმა კოალიციაში - "თავისუფალმა დემოკრატებმა" ხმათა 14.9 პროცენტი მიიღეს - ორჯერ მეტი, ვიდრე 2004 წლის არჩევნებში, ამიტომ ლანდტაგში მათ 15 ადგილი ექნებათ.

"გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ" სამხარეო არჩევნებში ხმათა 25.4 პროცენტი მიიღო, რაც მათთვის სამხარეო კავშირის არსებობის ისტორიაში ყველაზე ცუდი შედეგია, "მწვანეებს" მოსახლეობის 12.4 პროცენტმა დაუჭირა მხარი, "ეროვნულ უმცირეობათა გაერთიანებას" - 4.3 პროცენტმა (საუკეთესო შედეგი, რომელიც ოდესმე ჰქონიათ) და ამით ლანდტაგში ადგილი მოიპოვეს, რადგან სამხარეო არჩევნების კანონის თანახმად, ისინი 5-პროცენტიანი ბარიერისგან თავისუფალნი არიან. ისტორიაში პირველად შლეზვიგ-ჰოლშტეინის ლანდტაგში "მემარცხენეებიც" მოხვდნენ - ხმათა 6 პროცენტით.



ახლა უკვე "ქრისტიან-დემოკრატების", "ქრისტიან-სოციალური კავშირის" და "თავისუფალი დემოკრატების" კოალიციას შეიძლება დაემატოს შლეზვიგ-ჰოლშტეინის 4 ხმა და კიდევ 4 ხმა საქსონიიდან, სადაც პრემიერ-მინისტრმა სტანისლავ ტილიჰმა "თავისუფალ დემოკრატებთან" კოალიციაზე შეთანხმება როგორც იქნა შეძლო.

ამგვარად მმართველი კოალიცია ბუნდესრატში 65-დან 36 ადგილს მიიღებს და ახალი მოწვევის ბუნდესტაგის მიერ მიღებული კანონების დამტკიცებას შეძლებს, რაც მის საკანონმდებლო მოღვაწეობას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

გერმანიის "სოციალ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა თავისი პარტიის დამარცხება უკვე აღიარა. შეიძლება ითქვას, რომ შტაინმაიერის პარტიისთვის ეს არჩევნები 1949 წლის შემდგომ ყველაზე უიღბლო იყო.

წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა, რომელიც პოსტზე მეორე ვადით რჩება, განაცხადა, ამ დროისთვის მისთვის პრიორიტეტულია ევროპაში უმსხვილესი გერმანული ეკონომიკის აღდგენა.

საზეიმო გამოსვლაში მერკელმა აღნიშნა, რომ სურს, კრიზისის პერიოდში ყველა გერმანელის კანცლერი იყოს და სამუშაო ადგილების შექმნას და დაცვას თავის "უმაღლეს მიზნად" აქცევს.

"დღეს შეგვიძლია ვიზეიმოთ, მაგრამ ხვალიდან მძიმე სამუშაო გველის," - განაცხადა მერკელმა.

ექსპერტთა შეფასებით, კონსერვატორთა და "თავისუფალ დემოკრატთა დეპუტატების" ერთ პოლიტიკურ ძალაში გაერთიანება ბუნდესტაგში მყარი კოალიციის შექმნას განაპირობებს (ამ ორ პოლიტიკურ ძალას "უპატრონოდ" დარჩენილი 7 პროცენტის გადანაწილების შემდეგ, ერთობლივად, ხმების ნახევარზე მეტი დაუგროვდა), რაც სტაბილური მთავრობის ჩამაოყალიბებას შეუწყობს ხელს. ხოლო "გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია", რომელიც ამ დრომდე გერმანიის "დიდი კოალიციის" პარტნიორი იყო, ახალ მთავრობაში ველარ მოხვდება.

უფრო მეტიც, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ "თავისუფალი დემკორატების" მაღალი შედეგის გამო პარტიის ლიდერი გვიდო ვესტერველე ალბათ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრისა და ვიცე-კანცლერის პოსტს დაიკავებს, რომელსაც ამ დრომდე "სოციალ-დემოკრატების" ლიდერი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი ფლობდა.

48 წლის გვიდო ვესტერველე, რომელსაც საგარეო უწყების ხელმძღვანელობას უწინასწარმეტყველებენ, თავისი ლიბერალური შეხედულებებითა და არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით არის ცნობილი. ის მხარს უჭერს უფრო სამართლიანი საგადასახადო სისტემის შექმნას, უფრო ხელმისაწვდომ განათლებასა და მოქლაქეობრივი უფლებების პატივისცემას.

"ქრისტიან-დემოკრატები" და მათი ლიდერი ანგელა მერკელი სოციალისტების "მძიმე ტვირთისგან" თავისუფლდება და თავის პარტიასთან იდეოლოგიურად უფრო ახლოს მდგომ "თავისუფალ დემოკრატებთან" ქმნის კოალიციას. "თავისუფალი დემოკრატები" და "ქრისტიან-დემოკრატები" ტრადიციული პარტნიორები არიან. თავის დროზე "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერებს ჰანს-დიტრიხ გენშერსა და შემდეგ კლაუს კინკელს ძალიან დიდხანს ეკავათ საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.

გერმანიაში ხმის მიცემის უფლება დღესდღეობით 62.2 მილიონ ადამიანს აქვს. 2009 წლის საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ არჩევნებად აღიარეს - მის ჩატარებაზე 60 მილიონი ევრო დაიხარჯა.

# ანონიმური წერილები და ტყვიები ფრანგი მაღალჩინოსნებისთვის

*ფრანგმა სამართალდამცველებმა იმ მუქარის წერილების ნამდვილი ავტორი დააკავეს, რომელიც თვეების განმავლობაში ქვეყნის პირველ პირს, მუქარასთან ერთად, კონვერტით, ტყვიებსაც უგზავნიდა. საქმე ისაა, რომ თვეების განმავლობაში, ანონიმური წერილების ავტორის ადრესატები, პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის გარდა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი, კულტურის მინისტრი ფრედერიკ მიტერანი, იუსტიციის მინისტრი მიშელ ალიუ-მარი და სხვა მოქმედი ცნობილი პოლიტიკოსები იყვნენ.*



ცხრა თვის განმავლობაში, სამართალდამცველებმა 13-მდე ეჭვმიტანილი დააკავეს. თუმცა, როგორც მოგვიანებით ირკვეოდა, დაკავებულებს მუქარის შემცველ ანონიმურ წერილებთან საერთო არაფერი ჰქონდათ და ყველა მათგანი, ბრალის წაყენებამდე ტოვებდა წინასწარი დაკავების საკანს.

ფრანგი სამართალდამცელების ვერსიით, ხელისუფლების მაღალი პირებისთვის გაგზავნილი მუქარის ავტორი ყოფილი სამხედრო მოსამსახურე უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის საფუძველს გამოძიებას ის სამხედრო ტერმინოლოგია და გამონათქვამები აძლევდა, რომლებიც, მათი თქმით, მუქარის ყველა წერილში ერთნაირად იყო გამოყენებული.

ფრანგული პრესის მიერ ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედით, ქვეყნის პრეზიდენტისა და მოქმედი პოლიტიკოსების მისამართით გაგზავნილი მუქარის წერილების ავტორი ბოლოს და ბოლოს დააკავეს. სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, რომ მათ სწორად მიაგნეს მაღალჩინოსნებისთვის გაგზავნილი მუქარის წერილების ავტორს. თუმცა, როგორც ცოტა ხანში გაირკვა, სამართალდამცველები იძულებულები გახდნენ, დაკავებული გაეთავისუფლებინათ. ეჭვმიტანილი პროგრამისტი აღმოჩნდა. მისმა ყოფილმა მეგობარმა ქალმა სამართალდამცველებს განუცხადა, რომ მისთვის გაგზავნილი მუქარის წერილები, რომლებსაც ყოფილი მეგობარი მამაკაცისგან იღებდა, ქვეყნის პირველი პირებისთვის გაგზავნილი წერილების იდენტური იყო. თუმცა დაკავებული პროგრამისტის ინტერესების დამცველმა, შეძლო დაერწმუნებინა სამართალდამცველები, რომ ამ წერილებს ერთმანეთთან საერთო არაფერი ჰქონდა და ის ერთი და იმავე ადამინის დაწერილი ვერ იქნებოდა. ადვოკატს ამ პოზიციის გამყარებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფის დაკავების შემდეგ მომხდარი ფაქტიც დაეხმარა.

საქმე ისაა, რომ იდენტური მუქარის წერილი სენატორმა ჟაკ ბლანმა და სააგენტო AFP -მ, ეჭვმიტანილის დაკავებიდან მეორე დღესაც მიიღეს.

ანონიმური მუქარის წერილი ჯერ კიდევ 2009 წლის თებერვლის დასაწყისში პირველად პრეზიდენტმა სარკოზიმ და სენატორმა რეიმონ კუდერკმა მიიღეს. კონვერტში, წერილის გარდა, ტყვიებიც იყო მოთავსებული. ცოტა ხნის შემდეგ ანალოგიური გზავნილი მიიღო საფრანგეთის იუსტიციის მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა.

სამართალდამცველებმა დაადგინეს, რომ ყველა ანონიმური წერილი ერთი და იმავე ადამიანის ხელით იყო შედგენილი.

**"ამჯერად, ნამდვილ ეჭვმიტანილს მივაგებნით. მის დანაშაულებრიობას ადასტურებს დნმ-ის ანალიზი. ჩატარებულია ექსპერტიზა, რომელიც ადასტურებს, რომ მუქარის წერილები სწორედ დაკავებულს ეკუთვნის,"-** აცხადებენ ფრანგი სამართალდამცველები.

როგორც გაირკვა, ახალი ეჭვმიტანილი უმუშევარია. ის ინვალიდია. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს იმ კონვერტების იდენტური კონვერტები, რომლებიც საფრანგეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებს ტყვიებთან ერთად ეგზანებოდათ. ფრანგული გამოცემების ინფორმაციით, დაკავებულმა დანაშაული უკვე აღიარა.

## განცხადება 29.09.2009 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, საქართვლოს მთელ ტერიტორიაზე არსებული ვადაგასული და ხმარებისათვის უვარგისი პესტიციდების შეგროვების, ხელმეორედ შეფუთვისა და დროებით უსაფრთხო ადგილზე განთავსების მომსახურეობის შესყიდვაზე 2009 წლის 11 სექტემბერს გაზეთ 24 საათში გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შევიდეს ცვლილება და განცხადებაში მითითებულ “დამატებითი ინფრომაცია”-ს დაემატოს ერთი ინფორმაცია, კერძოდ:

**სამინისტროს არ აქვს პრეტენდენტებთან ისეთი მოთხოვნები, რომლებიც შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.**

## ჩრდილოეთ კავკასიაში მკვლელობები გრძელდება

მოსკოვში და დაღესტანში ხასავიურტის რაიონის ხელმძღვანელ ალიმსულტან ალხამატოვისა და სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის მოადგილის, პოდპოლკოვნიკ ალიმსულთან ატუევის მკვლელობა ერთსაათიანი ინტერვალით მოხდა.

როდესაც ალიმსულთან ატუევი და მისი ძმისშვილი, ასევე მილიციელი, მანქანაში ჩასხდნენ, მათ ლამის მიბჯენით ესროლეს. ორივე ადგილზე გარდაიცვალა. დამნაშავები მიიმალნენ. ატუევი სწორედ საკუთარ, კიზილიურტის რაიონში კურირებდა ბანდიტიზმთან ბრძოლას.

მოსკოვში უცნობმა პირებმა ალიმსულტან ალხამატოვი იმ სახლის სადარბაზოსთან ჩაცხრილეს, სადაც ის მოსკოვში ყოფნისას ცხოვრობდა ხოლმე. მას ოცზე მეტი ტყვია მოხვდა და საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. დაჭრილია მისი მცველიც, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება

ჩინოვნიკს ორმა ადამიანმა სხვადასხვა მხრიდან ესროლა. დამნაშავეები "მერსედესით" და "მიცუბიში პაჯეროთი" მიიმალნენ.

მოსკოვის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენლის განცხადებით, მკვლელობის მიზეზად მის კომერციულ ან სამსახურებრივ საქმიანობას მიიჩნევენ. "პაჯერო" სამართალდამცავებმა შორიახლოს მიგდებული ნახეს, "მერსედესი" მისი დაღესტნელი მძღოლითურთ დააკავეს.

ერთი დღით ადრე, შაბათს, ჩეჩნეთში, აჩხოი-მარტანის რაიონში ძველი აჩხოის ადმინისტრაციის უფროსი ალი არმატოვი და მისი 19 წლის შვილი ანზორი მოკლეს.

რუსეთის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ინფორმაციით, დანაშაული ადგილობრივი დროით 18:00 საათზე მოხდა. თვითმხილველთა განცხადებით, სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ორი შეიარაღებული ადამიანი ალი არმატოვის წაყვანას შეეცადა. ადმინისტრაციის უფროსმა მათ წინააღმდეგობა გაუწია და ის იქვე ჩაცხრილეს. შვილმა, რომელიც მამის პირად მცველად მუშაობდა, სასიკვდილო ჭრილობა მიიღო.

მკვლელები დანაშაულის ადგილიდან არმატოვის ავტომანქანით გაიქცნენ, შემდეგ კი მანქანა სოფლის განაპირას, ტყესთან მიატოვეს.

## რადიაქტიური ქარბუქი ავტრალიაში

ეკოლოგები შიშობენ, რომ ავსტრალიის აღმოსავლეთში მძვინვარე ქვიშის ქარბურქი შეიძლება რადიაქტიურ ნარჩენებს შეიცავდეს.

არსებობს მოსაზრება, რომ ქარს ავტრალიის ურანის საბადოებიდან, ქვიშის გარდა, მტვერიც მოჰყვება. თუმცა მეცნიერთა განცხადებით, შეშფოთებისთვის სერიოზული მიზეზი არ არსებობს. ავსტრიის ქალაქებს სიდნეის და ბრისბენს გასულ კვირას ბოლო 70 წლის განმავლობაში ყველაზე დიდმა ქარბურქმა გადაუარა. წითელი ქვიშის ღრუბელი პრობლემა გახდა ასთმიანებისა და სხვა სასუნთქი დაავადებების მქონე ადამიანებისთვის.

კინორეჟისორისა და ეკოლოგიური გარემოს დამცველ დევიდ ბრედბერის აზრით, ქვიშის ქარიშხალი ურანის მტვერს შეიცავს და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათოა. თუმცა კვისლენდის უნივერსიტეტის ტოქსიკოლოგ ბარი ტოლერის განცხადებით, სამხრეთ ავსტრალიაში მოპოვებადი ურანის მტვერის სახიფათო ნაწილაკები მძიმეა და დიდ მანძილებზე ვერ გადაადგილდება. "როდესაც ქარბურქი წარმოიქმნება, სხვადასხვა რეგიონების მტვერი და ქვიშა ერთმანეთში ირევა," - აღნიშნავს ბარი ტოლერი. მილიონობით ადამიანის მოწამვლის საშიშროებას მთავრობაც გამორიცხავს.

ქვიშის ქარბუქი, რომელმაც კვისლენდის შტატის რამდენიმე რეგიონს გადაუარა, ნელ-ნელა წყნარდება. მეტეოროლოგთა განცხადებით, ქარიშხალი მალე სხვა ტერიტორიაზე გადაინაცვლებს.

*მოამზადა გიორგი ქორიძემ*

27 სექტემბერს,
პირველი არხის ეთერში,
21 საათზე გამართული გათამაშების
"100 გამარჯვებული საქართველოს ბანკში"
გამარჯვებული ბილეთების ნომრები:

CDS1176095
CDS1418052
CDS1087203
CDS1425633
CDS1357911
CDS1226481
CDS1341518
CDS1426475
CDS1242904
CDS1378726

# საუდის არაბეთში თანამედროვე უნივერსიტეტი გაიხსნა

საუდის არაბეთში გაიხსნა მეცნიერებისა და ტექნიკის უნივერსიტეტი, სადაც ქალები და ვაჟები ერთად ისწავლიან. კომპლექსის მშენებლობა ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დაჯდა.




AFP © 2009

მეფე აბდულას უნივერისტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი სუპერ-კომპიუტერით ამაყობს. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი ხელს შეუწყობს საუდის არაბეთის კონსერვატიული საზოგადოების გათანამედროვებას. სწავლება ინგლისურ ენაზე იქნება.

ცნობილია, რომ უნივერისტეტი რელიგიური პოლიციისთვის დახურული იქნება. შენობის ტერიტორიაზე ქალებს მანქანის ტარების უფლება მიეცემათ, ასევე ლექციებზე ჩადრის გარეშე დასწრებას შეძლებენ. ყველაფერი ეს სერიოზული სიახლეა ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ისლამის უმკაცრესი კანონები მოქმედებს.

უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჩუნ ფონგ ში სასწავლებელს "თაობის შანსს" უწოდებს. **"ჩვენ მკვლევარებს სამეცნიერო საქმიანობაში სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ,** - ამბობს რექტორი. - **ჩვენ ქალებს და მამაკაცებს ჯგუფებში ერთად მუშაობის საშუალებას ვაძლევთ. ისინი შეძლებენ, იმუშაონ მაღალ იდეებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ექნებათ."**

საუნივერსიტეტო კომპლექსი წითელი ზღვის ნაპირზეა განლაგებული, ჯიდადან 80 კილომეტრზე. შუა უდაბნოში მის მშენებლობას 2 წელი დასჭირდა.

უნივერსიტეტმა უკვე მოიზიდა მკვლევარები და სტუდენტები მსოფლიოს 60 ქვეყნიდან. სტუდენტების 15 პროცენტი ქალია. ადრე ისინი განათლებას საუდის არაბეთის საზღვრებს გარეთ იღებდნენ.

საუდის არაბეთის კანონებთან შედარებით პროგრესული შიდა განაწესის მიუხედავად, განსხვავებული სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა ბოლომდე თავისუფალი მაინც არ არის. მაგალითად, კაცებს ქალების საერთო საცხოვრებელში გამოჩენა ეკრძალებათ.

საუდის არაბეთში თანამედროვე ინსტიტუტების შექმნის წინა მცდელობებს არაერთგვაროვანი რეაქცია და შედეგი მოჰყვა. ქვეყნის ზოგიერთი მცხოვრები მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტი მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრების წესის პარალელურ განზომილებაში იარსებებს. მსგავსი პრეტენზიები სამეფოს ბევრი ინსტიტუტისა და ორგანიზაციის მიმართ ისმის, რომელთა შორის არის სახელმწიფო ნავთობკომპანია "საუდი არამკო."'

უნივერსიტეტის გახსნა მეფე აბდულას მიერ განხორციელებული პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც ნავთობზე ქვეყნის დამოკიდებულების შემცირება აქვს მიზნად. გარდა ამისა, 2005 წელს ქვეყნის სათავეში მოსული მონარქი დასავლეთის თვალში ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას ცდილობს. მისი ასეთი ძალისხმევა სასულიერო პირებისა და კონსერვატორების ყველაზე რადიკალური ნაწილის გაღიზიანებას იწვევს.

უნივერსიტეტის გარშემო გაძლიერებულია უსაფრთხოების ზომები. უნივერსიტეტის გახსნის წინ "ალ კაიდას" წევრები, რომლებიც მეზობელ იემენში არიან განლაგებულნი, საუდის არაბეთის წინააღმდეგ მორიგი მუქარით გამოვიდნენ. აგვისტოში თვითმკვლელი ტერორისტი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, პრინც მუჰამედ ბენ ნაიეფის აფეთქებას შეეცადა.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ირანი დასავლეთის ნერვებზე თამაშობს

პირველი გვერდიდან

ნდობის მიღწევა ადვილად და სწრაფად არ მოხერხდა, ამ ყველაფერს ხელი შეუშალა ზაფხულის დასაწყისში ირანში არჩევნების გაყალბებამ და მაჰმუდ აჰმადინეჯადის ხელისუფლებაში დარჩენამ, რბილად რომ ვთქვათ, მეტად საეჭვო ვითარებაში. მაშინ დასავლეთის ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები ამერიკის პრეზიდენტს იმაშიც ადანაშაულებდნენ, რომ თეირანის არჩევნების შემდგომი არეულობების დროს ზედმეტად ფრთხილი იყო თავის შეფასებებში, თუმცა როდესაც ირანში ეს არეულობა მალე არ დამთავრდა და მსხვერპლიც გაიზარდა, დასავლეთის განცხადებებიც უფრო მკვეთრი და კონკრეტული გახდა. ამას ირანშიც "შესაბამისი" რეაქცია მოჰყვა და დასავლეთთან დიალოგზე ირანი მანამდე არ მიდიოდა, სანამ აჰმადინეჯადიმ ქვეყნის შიგნით პოზიციები არ გაიმყარა და პროტესტი საიმედოდ არ ჩაახშო.

ორიოდე კვირის წინ ირანი დასავლეთთან ფართომასშტაბიანი მოლაპარაკებების გამართვის ინიციატივით უკვე თვითონ გამოვიდა, მოლაპარაკებებიც 1 ოქტომბრისთვის დაინიშნა (ის სავარაუდოდ თურქეთში გაიმართება), მაგრამ მას შემდეგ მოვლენები ისე სწრაფად და "საინტერესოდ" წარიმართა, რომ დღეს ძალიან ძნელი სათქმელია რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს ამ მოლაპარაკებებს.

ირანმა თავიდანვე განაცხადა, რომ შეხვედრებზე თავისი ბირთვული პროგრამის განხილვას არ აპირებს, ამერიკამ - პირდად სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა კი დააფიქსირა, რომ მოლაპარაკებებს მისი ქვეყანა სწორედ იმ პირობით დათანხმდა, რომ ირანისგან კონკრეტული პასუხები სწორედ ამ ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით მიიღოს.

ამ ყველაფერს მოჰყვა ირანის პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადის საკმაოდ აგრესიული და ანტიამერიკული გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელზეც მან ისიც ოფიციალურად განაცხადა, რომ ირანი უკვე ამთავრებს ურანის გამამდიდრებელი მეორე ქარხნის მშენებლობას ქალაქ კუმთან ახლოს, ირანის "ისლამური რევოლუციის გუშაგთა" (ფაქტობრივად იდეოლოგიური სპეცსამსახურების) გასაიდუმლოებულ ბაზაზე. აქამდე "მაგატეს" თვალთახედვის არეში იყო მხოლოდ ურანის გამამდიდრებელი ქარხანა ნათანზში, სადაც უკვე მოქმედებს 4592 ცენტრიფუგა და კიდევ სამი ათასზე მეტი დაყენების პროცესშია, ურანის გადამამუშავებელი ქარხანა ისპაჰანში, მძიმე წყლის ქარხანა არაკში და ატომური ელექტროსადგური ბუშერში.

მსოფლიო თანამეგობრობა არ უარყოფს ირანის უფლებას - გამოიყენოს ბირთვული ენერგია მშვიდობიანი მიზნებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყანას ექნება ურანის გამამდიდრებელი ქარხნები, უკვე შეუძლებელი იქნება იმის გაკონტროლება, თუ რისთვის გამოიყენებს ირანი ამ ურანს, ატომური ელექტროსადგურისთვის თუ იარაღისთვის. წლების წინ რუსეთი თავისი კომპრომისული პოზიციის შესაბამისად ირანს გამდიდრებული ურანის გარანტირებულ მიწოდებას სთავაზობდა, მაგრამ ირანი გაჯიუტდა და საკუთარი გამამდიდრებელი ქარხნების და ტექნოლოგიების შექმნა დაიწყო.

საქმე ის არის, რომ დასავლეთის ქვეყნებს საკუთარი, მათ შორის კოსმოსური დაზვერვისსა და ირანის დისიდენტებისგან ჰქონდა შემოწმებული ინფორმაცია ირანის ამ ახალ მშენებარე ქარხანაზე ქალაქ კუმთან. ეს ინაუგურაციის შემდეგ ობამასაც მოახსენეს. ირანმა კი "მაგატეს" ინფორმაცია ამის შესახებ მხოლოდ წინა კვირაში გადასცა. ამას ბოლო ორი დღის განმავლობაში დაემატა ირანის მიერ ახლო და საშუალო სიშორის რაკეტების გამოცდის მთელი სერია. კვირას მათ გამოსცადეს მოდერნიზებული რაკეტა "შახაბ-3"-ც, რომელსაც გაზრდილი მოქმედების რადიუსი და უფრო ზუსტი დამიზნების სისტემა აქვს, ვიდრე ამ რაკეტების წინა ანალოგებს. ეს რაკეტები სხვადასხვა მონაცემებით 2000-2500 კილომეტრზე დაფრინავენ და შეუძლიათ დაემუქრონ ისრაელს, ამერიკის სამხედრო ობიექტებს სპარსეთის ყურეში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანასაც კი.

ამერიკამ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ირანის შესახებ ბოლო პერიოდში ყველა გავლენიან სახელმწიფოს მიაწოდა. დასავლეთის ტონი უკვე ძალიან მკაცრი გახდა. ამ ყველაფერს ძალიან საეჭვოდ ემთხვევა რუსეთის პოზიციების "შერბილება", ამერიკის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების პოლონეთსა და ჩეხეთში განლაგებაზე უარის თქმა (რაც რუსეთს ძალიან აღიზიანებდა), უკვე რუსულ, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად მედიაშიც ღიად დაფიქსირდა, რომ ირანის წინააღმდეგ სანქციების მიღებას მსოფლიო ალბათ ვერ გადარჩება და ამაში რუსეთმაც შეიძლება მიიღოს მონაწილეობა. სანამ სიტუაცია აქამდე გამწვავდებოდა, მედვედევმა შემრიგებლური პოზიციის დაკავებაც სცადა და განაცხადა, რომ ისრაელი ირანისთვის ომის დაწყებას არ აპირებს. თუმცა ისრაელმა ამის დეზავუირება მოახდინა და განაცხადა, რომ თავისი უსაფრთხოების დასაცავად საჭიროების შემთხვევაში არც ძალის გამოყენებას გამორიცხავს.

საინტერესოა რისი მიღწევა უნდა ირანს დასავლეთის აშკარა პროვოკაციითა და გალმა შედავების პოლიტიკით უშუალოდ მოლაპარაკებების დაწყების წინ. ეს ნამდვილად არ ჰგავს გულწრფელი და სამშვიდობო მოლაპარაკებეზე ორიენტირებული სახელმწიფოს ქმედებას.

# რევიუ



AFP © 2009

*მსოფლიო მედიის ყურადღება დღეს ერთმა გამოფენამ მიიპყრო. ჰორია დამიენის, ცნობილი მოქანდაკისა და მხატვრის გამოფენამ, რომელიც მის სამშობლოში, კონკრეტულად ბუქარესტის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა. დამიანი რუმინეთში დაიბადა 1922 წელს, თუმცა 24 წლის მერე სამშობლო მიატოვა და ამის შემდეგ მსოფლიოში აღიარებული მხატვარი გახდა. აღნიშნული გამოფენა მეორე პერსონალურია, რომელიც მხატვრის სამშობლოში იმართება.*

## რას გამოააშკარავებს ახალი რომანი?

1 ოქტომბერს საფრანგეთში გამოქვეყნდება სასიყვარულო რომანი, რომლის ავტორია რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ`ესტენი. წიგნი, სახელწოდებით "პრეზიდენტი და პრინცესა", ორი მთავარი პერსონაჟის რომანზე მოგვითხრობს. მათ სახეებში ადვილად ამოიცნობთ თავად ავტორსა და უელსის პრინცესა დიანას. ამის შესახებ The Guardian-ი წერს.

ჟისკარ დ`ესტენის წიგნის პერსონაჟს ჰქვია პატრიცია, კარდიფის პრინცესა, ან ლედი პატ. სიუჟეტის თანახმად, ავტორის ალტერ ეგო, საფრანგეთის პრეზიდენტი სახელად ჟაკ ანრი ლამბერტი (Jacques-Henri Lambertye), პრინცესას 1980-იან წლებში, ბუკინგემის სასახლეში, G7 სამიტის მონაწილეთა სადილის დამთავრების შემდეგ ხვდება. პატრიცია საკუთარი ქორწინებით იმედგაცრუებული და უბედურია, ამიტომაც მთელ დროს ქველმოქმედებას უთმობს. ის აღიარებს, რომ ქორწილიდან ათი დღის შემდეგ პრინცმა მას აცნობა, რომ მან მის ყოფილ საყვარელთან ურთიერთობის გაგრძელება გადაწყვიტა. თავდაპირველად ლამბერტი პატრიციას შეცდენას ნორმანდიაში მოკავშირეთა ჯარების გადასხმის იუბილეზე მიმავალ მატარებელში ცდილობს. პრინცესა მას აღარ ეწინააღმდეგება რამბიუს სასახლეში, სადაც პრეზიდენტი ნადირობს და სანადიროდ სხვებსაც ეპატიჟება.

წიგნში აღწერილია მრავალი გამოგონილი მოვლენა. მაგალითად, პერსონაჟების რომანი მხოლოდ მას შემდეგ მთავრდება, რაც ამაზე ლონდონის გაზეთი დაწერს, დასასრულს კი დედოფალი და მისი ვაჟი, კარდიფის პრინცი ავიაკატასტროფაში იღუპებიან. გარდა ამისა, თავად დ`ესტენისგან განსხვავებით, ლამბერტიეს უკვე მეორე ვადით აირჩევენ.

სხვათაშორის, იმის შესახებ, რომ რეალურ ცხოვრებაში დიანასა და ჟისკარ დ`ესტენს რომანი ჰქონდათ, აქამდე არავინ იცოდა. საფრანგეთის პრეზიდენტი უელსის პრინცესაზე 35 წლით უფროსია. უფრო მეტიც, იმ წელს, როდესაც დიანა ბრიტანეთის სამეფო ტახტის მემკვიდრეს, პრინც ჩარლზს გაჰყვა ცოლად, ჟისკარ დ`ესტენმა საპრეზიდენტო არჩევნები ფრანსუა მიტერანთან წააგო. ისტორიულად ცნობილია, რომ პრინცმა დიანა ცოლად 1981 წელს მოიყვანა, მათ ერთმანეთი ქორწინებამდე ოთხი წლით ადრე გაიცნეს. მას შემდეგ დიანა



*ვალერი ჟისკარ დ`ესტენი.*

უელსის პრინცესად იწოდება. წყვილს შეეძინა ორი ვაჟი: 1982 წელს პრინცი უილიამი, ხოლო 1984 წელს - პრინცი ჰენრი, უფრო მეტად ცნობილი, როგორც პრინცი ჰარი. ჩარლზსა და დიანას ურთიერთობა სტაბილური არ აღმოჩნდა, 1980-იან წლების შუა ხანებში პრინცმა უკვე თამამად განაახლა ძველი რომანი კამილა პარკერ ბოულზთან. ისინი ერთმანეთს ოფიციალურად 1992 წელს დაშორდნენ, ხოლო 1996 წელს მათი ქორწინება ოფიციალურად გაუქმდა. დიანამ უელსის პრინცესას ტიტული შეინარჩუნა და დაიწყო ქველმოქმედება. მისი და პრინცის ურთიერთობა მუდამ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო, შუქდებოდა მათი პირადი ცხოვრების სკანდალური დეტალები. 1997 წელს, პარიზში, პრინცესა ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი და ჟისკარის ურთიერთობას რაც შეეხება, გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით, აცხადებენ, რომ ისინი ერთად მხოლოდ ერთხელ - 1994 წელს ნახეს.

აღსანიშნავია, რომ "პრინცესა და პრეზიდენტი" ჟისკარ დ`ესტენის პირველი რომანი არ არის, 2003 წელს მისი წიგნი, სახელწოდებით Le Passage, გამოიცა.

## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009

საერთაშორისო პროგრამა

**30 სექტემბერი, ოთხშაბათი**
**უილიამ შექსპირი**
**"ქარიშხალი"**
**Teatr Nowy im. Tadeusza Lomnickiego, Poznan**
(ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი იანუშ ვიშნიევსკი
დასაწყისი 20:00 საათზე
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**3 ოქტომბერი, შაბათი**
გოეთე
**"ფაუსტი"** თეატრალური კომპანია "MENO FORTAS", ლიტვა (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ეიმუნტას ნეკროშიუსი
დასაწყისი 19:00 საათზე
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**4 ოქტომბერი, კვირა**
**"მოცეკვავე დერვიშები"** - Istambul SEMA GROUP OZ Productions, თურქეთი
**რიტუალური ცეკვა და მუსიკა**
დასაწყისი 20:00
ეროვნული მუსიკალური ცენტრი

**5 ოქტომბერი, ორშაბათი**
**"ნიღაბი"** - ბაქოს პანტომიმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, აზერბაიჯანი
რეჟისორი ბახტიარ ხანიზადე
დასაწყისი 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**6, 7 ოქტომბერი**
**სამშაბათი/ოთხშაბთი**

**So, So (ისე რა...)**
COMPAGNIE DES LOUPS. COPRODUCTEURS: EUROKAZ FESTIVAL and LA
COMMUNAUTE INAVOUABLE
Production Franco - Croatian
საფრანგეთი, ხორვატია (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ბრანკო ბრეზოვეჩი
დასაყისი 20:00
სასტუმრო Tbilisi Mariott

**8, 9 ოქტომბერი**
**ხუთშაბათი/პარასკევი**
**"ზიგმუნდის ოინები"** Company Philipe Genty, საფრანგეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი ფილიპ ჟანტი
დასაწყისი 20:00 საათზე
ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო დრამატული რუსული თეატრი, მცირე სცენა

**12 ოქტომბერი, ორშაბათი**
**"ჰეტეროფილი"** Weimer Theatre,
შვედეთი (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი კრისტინა ოზოუნიდისი
სასტუმრო RADISSON SAS IVERIA

**13 ოქტომბერი სამშაბათი**
უილიამ შექსპირის "ჰამლეტი"-ს მიხედვით
...და ნამდვილი ციხე
ერევნის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრი,
სომხეთი (ქართული სუბტიტრებით)
რეჟისორი აკოფ კაზანჩიანი
დასაწყისი 19:45 საათი
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, მცირე სცენა

---

თვალსაზრისი

# ძეგლი თუ კერპი?

პაატა იაკაშვილი

*"უზნეობა - საკუთარი თავის უარყოფაა"*
*აპულეიუსი.*



კერპად გადაქცეული სტალინი ქართულ სინამდვილეში არსებული პრობლემაა, ზნეობრივი საფუძვლის მქონე. . . თავად განსაჯეთ: ადამიანები განადიდებდნენ (და ზოგიერთი ახლაც ამას აკეთებს) იმას, ვინც 1921 წლის თებერვალში თანამოაზრეს, ორჯონოკიძეს მოუწოდა: "შეუტიე, დასტურია, აიღე ქალაქი". თანხმობა ლენინისაგან იყო მიღებული, ასაღები ქალაქი თბილისია, ხოლო მისი აღებით დაინტერესებული პირი კი სტალინი... საქმე იმაშია, რომ თუ საქართველოს არ დაიპყრობდა კომუნისტური რუსეთი, სტალინი მხოლოდ ემიგრანტი იქნებოდა ამ სახელმწიფოში და ამის გამო შეიძლება კარიერული ზეაღსვლისას რაიმე დაბრკოლებაც შეხვედროდა... მაგრამ თუ საქართველო კვლავ რუსეთის ნაწილად იქცეოდა, ამ შემთხვევაში ის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ხდებოდა და მის აღზევებას აღარაფერი შეუშლიდა ხელს...

არჩევანი სწრაფად გააკეთა და მსოფლიოს რუკიდან გაქრა კიდეც ჩვენი პირველი რესპუბლიკა.

სტალინმა კარიერას, სამშობლოს დამოუკიდებლობა შესწირა მსხვერპლად...

სუვერენიტეტთან ერთად საქართველომ ტერიტორიებიც დაკარგა და ამაშიც, ამა თუ იმ ფორმით სტალინია დამნაშავე. იმავე 1921 წლის ივნისში ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიულ საკითხების მომგვარებელი კომისიის სხდომაზე სომხეთის წარმომადგენელმა, სომხეთში სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის დამაბრკოლებლად ტერიტორიისა და და რესურსების სიმცირე მიიჩნია და: "ამ გარემოებათა გამო ამხ. ბეკზადიანს უაღრესად საჭიროდ მიაჩნია, რომ მეზობელ აზერბაიჯანის და საქართველოს რესპუბლიკებს ჩამოეჭრათ ტერიტორია სომხეთის სასარგებლოდ. როცა მოსკოვში ამხანაგებმა მიასნიკოვმა და ბეკზადიანმა ამხ. სტალინი ინახულეს, ამ უკანასკნელმა ეს თვალსაზრისი სავსებით გაიზიარა".

დიახ გაიზიარა, რადგან "ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარს" მისდამი რწმუნებულ საქმეთა მოგვარება კვლავ საქართველოს ხარჯზე სურდა, ისევ და ისევ კარიერისტული მოსაზრებების გამო...

სპობდა რა რუსეთის კომუნისტური იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მოწინააღმდეგეებს, ისინი კი ჩვენში ყოველთვის ბევრნი იყვნენ, სტალინმა საქართველოს დაატეხა პერმანენტული ტერორი და 1921, 1922, 1924, 1929-33, 1937, 1951 წლებში დახვრიტეს და გადაასახლეს ეროვნული ცნობიერების მქონე უამრავი ადამიანი. დამტკიცებული ფაქტია, რომ სტალინი თავად აწერდა ხელს დასახვრეტთა სიებს, მათ შორის ქართველებისაც. ასე მაგალითად, მისი სანქციით დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, სერგო ამაღლობელი, პეტრე ოცხელი და მრავალი სხვა...

მეორე მსოფლიო ომში სტალინმა 600 ათასი ქართველი გარეკა, ამათგან ნახევარი არ დაბრუნებულა... ამას რეპრესიების დროს დაღუპულებსაც თუ დავუმატებთ მივიღებთ რიცხვს, რომელიც ნათელჰყოფს იმას, რომ სტალინმა ქარველ ერს გენოციდი მოუწყო. . . მანვე დაჰყო საქართველო ავტონომიებად... და აი, რა არის გასაკვირი: ამდენი ბოროტების ჩამდენი, ნაქართველარი რუსი კომუნისტი დიქტატორი ქართველთა ნაწილმა კერპად აქცია და თაყვანისცემა დაუწყო...

ვისიმე გალმერთებას და გაბელადებას მაშინ იწყებს ადამიანი, როცა საკუთარ არარაობას შეიგრძნობს, მომდინარეს უილაჯობისაგან. ტრადიციულ ღირებულებებსაც მაშინ უარყოფს, როცა მათი დაცვის თავი აღარ აქვს. ჩვენს ასეთ ზნეობრივ მდგომარეობას თავისი წინაპირობა ჰქონდა: ქართველთა შორის პასიონართა (მგზნებარე, ალტრუისტული ეთიკის მქონე ადამიანების) რაოდენობის კატასტროფულად შემცირებამ ამ ორი საუკუნის წინ ის გამოიწვია, რომ ეროვნულ ენერგიას სათანადოდ ველარ ვავლენდით და შესაბამისად ქართული სახელმწიფოს დაცვა-შენარჩუნება ვეღარ შევძელით, ამიტომ ჯერ მონარქისტული და შემდეგ კი კომუნისტური რუსეთის კოლონიად ვიქეცით. 1918 წელს ნაპოვნმა და მალევე დაკარგულმა თავისუფლებამ ქართველობა დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ ფიქრისას უფრო ნიჰილისტურად განაწყო ვიდრე ოპტიმისტურად...

როგორც დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობას შეეფერება სხვის ნებაზე ვიმართებოდით, ამან შეანელა ერის შინაგანი განვითარების პროცესი, გააუცხოვა ის სახელმწიფოსაგან და გვაქცია უფლებაწართმეული ადამიანების ინფანტილურ მასად. . . აი, ამ დროს დამონებულ ქართველთაგან ერთი, ჩვენი დამპყრობი უზარმაზარი რუსული კომუნისტური იმპერიის სათავეში მოექცა. ეს ფაქტი ცოტათა მიერ იქნა კრიტიკულად შეფასებული, ბევრთაგან კი ბედისწერის გარდუვალობად იყო მიჩნეული... სტალინი, რომელიც გარემოებათა შედეგად აღზევდა - კერპად აქციეს, უზომოდ განადიდეს, როგორც ჩანს ამ გზით ცდილობდნენ უუფლებო ყოფისაგან მომდინარე ულირსებო არსებობის როგორმე კონპენსირებას... უხაროდათ, რომ მათი დამპყრობი ერის ლიდერი ქართველი იყო... ამ კერპთაყვანისმცემლობამ, რომელშიც სნობიზმიც ბევრია, იმდენი სისულელე ჩაადენინა და ათქმევინა ქართველებს, რომ ისინი არაერთხელ აღმოჩნდნენ უხერხულ მდგომარეობაში. აი ერთი ქართულ-სტალინური "სიბრძნის" ნიმუში. ჯერ კიდევ სტალინის სიცოცხლეში რუს შოვინისტს ქართველისათვის უთქვამს: "რუსის ჩექმის ქვეშ ხართო" - ქართველს "ნიშნისმოგებით" უპასუხია: "ის ჩექმა ხომ ქართველს აცვიაო..."

ამის გამგონემ არ შეიძლება არ იფიქრო, რომ სტალინის მიმართ ქართველთა კერპთაყვანისმცემლობა ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული მწვავე ზნეობრივი კრიზისის გამოხატულებაა. ეს ასეა და ამ მდგომარეობის კიდევ უფრო ნათელი მაგალითი 1956 წლის მარტის ამბებია, როცა ხრუჩოვის მიერ სტალინის დანაშაულებათა მხილება (ისიც ნაწილობრივ) და მისი პიროვნების კულტის დაგმობას, თბილისში სტალინისტთა გამოსვლა მოჰყვა, მიტინგები სტალინის ძეგლთან და ბოლოს მომიტინგეთა დახვრეტა სსრკ შინაგანი ჯარის მიერ. სტალინმა, სიკვდილის შემდეგაც "მაოხრებელ მკვდრად" ქცეულმა კვლავ ქართველთა სისხლი დაღვარა.

იმის მაგივრად, რომ გვესარგებლა მკვდარი დიქტატორის მხილებით და მის მიერ საქართველოსათვის მოყენებული ჭრილობები მოგვეშუშებინა, სტალინისტთა წყალობით ტყვიებიც ვიგემეთ და მსოფლიო თითქმის დავარწმუნეთ: საქართველო სტალინიზმის ბასტიონიაო...

მხოლოდ ოცდაათი წლის შემდეგ, ე.წ. "გარდაქმნის" დროს მოგვეცა საშუალება ღირებულებათა გადაფასებისა, მაშინ ჩვენი ძირითადი ამოცანა კომუნისტური რეჟიმის არსში წვდომა იყო. უნდა გაგვეცნობიერებინა, რომ სოციალიზმის რუსულ-ბოლშევიკური ინტერპრეტაცია არის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული **ანტისისტემა**, კაცობრიობის ისტორიაში ანალოგის არმქონე, სრულიად ხელოვნური მოვლენა, რომელმაც მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევრის ბუნებრივი განვითარების პროცესი დიდი ხნით შეაჩერა და დაამკვიდრა მმართველობის ძალადობრივი ფორმა, რომელიც აშკარა თუ ფარულ ტერორს იყენებდა, აუნაზღაურებელი შრომის პრაქტიკას აწესებდა, სპობდა სიტყვისა და შემოქმედებითი აზრის თავისუფლებას და ბოლოს - კომუნისტურ რეჟიმს მკვეთრად გამოხატული კრიმინალური ხასიათი ჰქონდა. სამწუხაროდ "გარდაქმნის" დროს დაწყებულ ღირებულებათა გადაფასების პროცესი ჩვენში უსისტემოდ წარიმართა, ხოლო შევარდნაძის "მეორედ მოსვლის" შემდეგ, როცა საქართველოში კვლავ დამკვიდრდა პარტოკრატიული, ბიუროკრატიული, კლეპტოკრატიული რეჟიმი, ის არსებითად შეჩერდა, რადგან ხელისუფლებაში მოსული ძველი კომუნისტები თავიანთი წარსულის კრიტიკას არ დაუშვებდნენ და ამიტომ არც სტალინის კულტის უარყოფა მომხდარა, პირიქით თავი წამოყვეს კომპარტიამ და საზოგადოება "სტალინმა", ამის გარდა სტალინს ერთი-ორი ძეგლიც დაუდგეს...

ცხადია ყველაფერმა ამან სტალინისტები გაათამამა. ამას წინათ ერთმა მათგანმა ტელევიზიით ასეთი აზრი გამოთქვა: საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, კიდევ რამდენიმე ხანს იყო ცოცხალი "ტროიკის" (სასიკვდილო განაჩენი სახელდახელოდ რომ გამოჰქონდათ) ორი წევრი და მათ ნამოქმედარზე პასუხი არავინ მოსთხოვაო, მასაშადამე ისინი მართლები იყვნენ ე.ი. ხალხს რომ დასახვრეტად გზავნიდნენო... ძნელია ამაზე ცინიკური განცხადება სადმე მოისმინო. ან კიდევ ერთი ქრისტიანული მიმართულების საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს სტალინი ქრისტიანული რელიგიის დამცველად მიაჩნია... ამ ბატონს უნდა შევახსენო ბიბლიაში ნათქვამი "არ გააკეთო კერპები..."

სტალინის ძეგლი, რომლის დემონტაჟის საკითხი მსჯელობის საგნადაა ქცეული, ძალიან ცუდ სამსახურს გვიწევს. საქმე ისაა, რომ რუსეთთან ომის დროს და შემდეგ აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ევროპის ბევრმა სახელმწიფომ მხარი დაგვიჭირა, ყველა ამათ კი სტალინმა რაღაც უბედურება დამართა: 30-იანი წლების დამდეგს უკრაინელთა პატრიოტული სულის გატეხვის მიზნით სურსათი მთლიანად გაიტანა ქვეყნიდან და შიმშილით ამოწყვიტა 7 მილიონი ადამიანი... ამას რეპრესიათა მსხვერპლნიც მიუმატეთ და ვნახავთ თუ რა დაუჯდა სტალინის დიქტატურა ამ ერს.

ფინელებს ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს სტალინი. მართლია ფინელებმა თავი დაიცვეს, მაგრამ მოსახლეობამ და არმიამ დიდი მსხვერპლი გაიღო, ამასთან ფინეთმა ტერიტორიებიც დაკარგა.

პოლონეთის წინააღმდეგ სტალინი ჰიტლერს გაურიგდა, ორივენი ომის გამოუცხადებლად პოლონეთში შეიჭრნენ და ეს სახელმწიფო შუაზე გაიყვეს, ამის შემდეგ სტალინმა ჯერ 20 ათასი პოლონელი ოფიცერი დახვრიტა კატინში, შემდეგ 1944 წელს შეგნებულად არ მიეშველა აჯანყებულ ვარშავას და ის გერმანელებს გაანადგურებინა, ბოლოს კი პოლონეთში კომუნისტური რეჟიმი დაამყარა.

1940 წელს სტალინმა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ოკუპაცია მოახდინა. გაანადგურა ამ ხალხების ინტელიგენცია და მესაკუთრეთა კლასი. ამ ქვეყნებში დიდი რაოდენობით რუსები ჩაასახლა და ახლა ამის გამო ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს პრობლემები აქვთ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფო კი უანგაროდ გვეხმარება, მათი პოლიტიკური ლიდერები ოფიციალური თუ სამუშაო ვიზიტებით გვსტუმრობენ. ისინი ხშირად ჩაჰყავთ გორში და იქ იმ სტალინის ძეგლი ხვდებათ, მათი ქვეყნები რომ ააოხრა.

არ ვიცი ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენელთაგან ვინმემ ამის გამო უხერხულობა თუ იგრძნო...

ესეც არ იყოს, სამშობლოს მოღალატეს ძეგლს არავინ უდგამს...

ვენეციაში ამ ქალაქის ყველა დამპყრობლის ძეგლი დგას, გარდა ნაპოლეონ ბონაპარტესი იტალიელს არ აპატიეს იტალიური ქალაქ-სახელმწიფოს საფრანგეთის სამფლობელოდ გადაქცევა...

ვინმემ შეიძლება თქვას, რომ სტალინის ძეგლის დადგმა, მისი მუზეუმის გახსნა და დედამისის ეკატერინე ჯუღაშვილის მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვა იმ დროს მოხდა, როცა ქართველებს ამას არავინ ეკითხებოდაო. დიახ, ეს ასეც არის, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ამ ორიოდე წლის წინ მთაწმინდის პანთეონში გადაუსვენებიათ სტალინის კარის კინორეჟისორი მიხეილ ჭიაურელი. როცა ეს გავიგე ვერ დავიჯერე, რადგან მას ეკუთვნის ქართული პატრიოტულად განწყობილი ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართული კინოპასკვილი "ხაბარდა", რომ არაფერი ვთქვათ მხატვრულ ფილმებში "არსენა" და "გიორგი სააკაძე" სრულიად ხელოვნურად ჩართული პრორუსული ხასიათის და ამის გამო ქართველთა შეურაცხმყოფელ ეპიზოდებზე...

ეს ფაქტი გვარწმუნებს იმაში, რომ ჩვენში ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვის როგორი პატივი უნდა მივაგოთ და რატომ.

ასე იმის გამო ხდება, რომ არ გაგვაჩნია ეროვნული იდეა ანუ ღირებულებების პრინციპებისა და ინტერესების ერთიანი სისტემა თუნდაც ზოგად ფარგლებში, რომ გავაცნობიეროთ რა წარმოადგენს ჩვენთვის ღირებულებას და რა კიდევ არა.

ჩემი აზრით, გორში სტალინის ძეგლის დემონტაჟი დროულად უნდა მოხდეს, ეკატერინე ჯუღაშვილი რევოლუციონერთა იმ სასაფლაოზე უნდა გადაასვენონ, სადაც გადაასვენეს ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სილიბისტრო თოდრია, სტალინის მუზეუმი კი უნდა გადაკეთდეს საბჭოური **ანტისისტემის** ისტორიის კვლევის ინსტიტუტად, ამ ინსტიტუტს უნდა დაექვემდებაროს "ოკუპაციის მუზეუმი" და ის ორთაჭალის ციხის ისტორიულ შენობაში უნდა განთავსდეს, იქ სადაც სტალინის რეჟიმის უამრავი მსხვერპლი იტანჯებოდა და დაიღუპა.

თუ ამ ნაბიჯს გადავდგამთ, მაშინ ბევრად გაგვიადვილდება ჩვენს ყოფაზე ანტისისტემის დამღუპველი გავლენის შედეგების აღმოფხვრა, რაც პირობაა იმისა, რომ ავაშენებთ სრულფასოვან დემოკრატიულ სახელმწიფოს და ჩამოვაყალიბებთ სამოქალაქო საზოგადოებას. აი მაშინ ადამიანები საკუთარ თავს არ უარყოფენ და ვისიმე ძეგლი კერპის ფუნქციას აღარ შეიძენს.

# კაცობრიობის ცხოვრების წიგნი

## "მარტოობის ასი წელიწადი" ყველაზე გავლენიანი აღმოჩნდა

თამარ კიკნაველიძე

"გაივლის წლები და დახვრეტის მოლოდინში კედელთან მდგომი პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია იმ შორეულ საღამოს გაიხსენებს მამამისმა ყინულის სანახავად რომ წაიყვანა პირველად", - ვიცი, კარგად გახსოვთ, რომ ასე იწყება რომანი, რომელიც კოლუმბიელ მწერალს, გაბრიელ გარსია მარკესს ეკუთვნის და რომელიც ბევრი ჩვენთაგანისთვის უსაყვარლესია.

მარკესსა და მის ნაწარმოებებზე ბევრი დაიწერა და მომავალში კიდევ დაიწერება, "მარტოობის ას წელიწადს" კი მკითხველი არასოდეს მოაკლდება... რატომ? ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ზედმეტია მათთვის, რომლებსაც ის წაუკითხავთ. მას კი, ვინც ამისთვის ჯერ ვერ მოიცალა, მხოლოდ იმას ვეტყვი, რომ წინ დიდი ბედნიერება ელოდება.

25 სექტემბერს მარკესი და მისი რომანი ყურადღების ცენტრში კვლავ მოექცა. ამ დღეს საერთაშორისო ლიტერატურულმა ჟურნალმა, სახელწოდებით Wasafiri, მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გაახმაურა - "მარტოობის ასი წელიწადი" დასახელდა ნაწარმოებად, რომელმაც ბოლო 25 წლის ლიტერატურაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ჟურნალმა 25 თანამედროვე მწერალი გამოკითხა და ყველაზე გავლენიანი წიგნების ჩამონათვალიც მათ მოსაზრებებზე დაყრდნობით გააკეთა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა შორის მოხვდნენ, ძირითადად ინდოელი მწერლები: ინდრა სინხა და ამიტ ჩაუდჰური, ინდოელი პოეტი ქალი - სუდჯატუ ბხატ, ასევე, ბრიტანელი მწერალი და სცენარისტი ბლეიკ მორისონი და ა.შ.

"მარტოობის ასი წელიწადი" აღმოჩნდა ერთადერთი რომანი, რომელიც "ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებად" ერთდროულად სამმა მწერალმა - ბხატმა, პარკერმა და ნიგერიული წარმოშობის ბელგიელმა მწერალმა ქალმა - ჩიკა უნიგვემ - დაასახელეს. გამოკითხულთაგან დანარჩენების მოსაზრებები ერთმანეთს არ დაემთხვა და მათი აზრები გაიყო.

მეორე ადგილისთვის "იბრძოდნენ": ვლადიმირ ნაბოკოვის "ლოლიტა", ბარაკ ობამას "მამაჩემის ოცნებები", სალმან რაშდის "სატანური ლექსები" და "შუაღამის შვილები", ვიდიატხარა ნაიპონას "სახლი მისტერ ბისვასისათვის", ლიუდვიგ ვიტგენშტეინის "ფილოსოფიური კვლევები" და კიდევ 17 წიგნი.

"ყველაზე გავლენიანი წიგნის" ავტორს რომ დავუბრუნდეთ, მარკესი ის მწერალია, რომელიც საუკეთესოთა შორის ყოველთვის ხვდება. მართალია, ზემოთ აღნიშნული გამოკითხვა მარტო თანამედროვე მწერლებს შორის ჩატარდა, მაგრამ იგივე შეკითხვით, რომ წიგნის მოყვარულთათვის მიემართათ, ვფიქრობ, იგივე შედეგს მივიღებდით. ეს რომანი მრავალ ენაზეა თარგმნილი და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში დაბადებული მკითხველისთვისაა ხელმისაწვდომი. მაგალითად, ციტატა, რომელიც წერილის დასაწყისში მოვიყვანე, აღებულია ელზა ახვლედიანის თარგმანიდან, რომელიც გამომცემლობა "სიესტამ" 2006 წელს წიგნად გამოსცა.



1967 წელს დაწერილ და გამოქვეყნებულ ნაწარმოებზე კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ის ლათინოამერიკული მაგიური რეალიზმის ნიმუშია. მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში შესული რომანი ბუენდიების ოჯახის ოთხი თაობის ისტორიას მოგვითხრობს. ეს არის კაცობრიობის ცხოვრების წიგნი და ადამიანური სიყვარულის ენციკლოპედია.

თუმცა, რომანის განსაკუთრებულობაზე წარმოდგენას ვერც ერთი მასზე დაწერილი პუბლიკაცია, წერილი თუ რეცენზია შეგიქმნით. ის თავად უნდა წაიკითხოთ იმისათვის, რომ კვლავ მიუბრუნდეთ და ყოველ ჯერზე განიცადოთ ის, რაც მხოლოდ ამ ნაწარმოების კითხვისას შეიძლება დაგეუფლოთ.

და მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გადაშლის შემდეგ რამდენიმე გვერდის ბოლომდე და გულდასმის ჩაკითხვაა საჭირო იმისათვის, რომ მისდამი ინტერესი გაგიჩნდეთ და ავტორის თხრობამ ჩაგითრიოთ, ისტორიამ დაგაინტერესოთ, ფაქტია, რომ რომანისადმი ინტერესი თანამედროვე მკითხველს, მათ შორის, ქართველ ახალგაზრდებს არ უნელდებათ. ამის დასტურია ქართულ ლიტერატურულ ვებ გვერდებზე ჩატარებული გამოკითხვები, რომლებშიც "თინეიჯერები" გაბრიელ გარსია მარკესის "მარტოობის ას წელიწადს" საყვარელ ნაწარმოებად ასახელებენ და მათ წაკითხვას სხვასაც ურჩევენ.

## პიანისტთა თბილისის მეოთხე საერთაშორისო კონკურსი

1 - 14 ოქტომბერს თბილისში ტარდება პიანისტთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსი, რომელიც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. კონკურსზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან თავს მოიყრიან ახალგაზრდა პიანისტები, ჟიურის წევრები და საპატიო სტუმრები - სახელგანთქმული მუსიკოსები, მენეჯერები, იმპრესარიოები, ჟურნალისტები.

კონკურსი დაარსდა 1997 წელს. მისი დამფუძნებლები არიან თბილისის მერია, საქართველოს კულტურის სამინისტრო და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. კონკურსი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის პატრონატით, 4 წელიწადში ერთხელ. 2002 წლიდან თბილისის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი მსოფლიო საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ფედერაციის წევრია, რაც ძალზედ საპატიო და საპასუხისმგებლოა. მსოფლიო საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ფედერაცია, რომელიც 1957 წელს დაარსდა, ამჟამად 118 წევრ-კონკურსს აერთიანებს 36 ქვეყნიდან, მათ შორის არის 98 ევროპული კონკურსი. ფედერაციის ძირითადი მიზანია მასში გაერთიანებული კონკურსების თანამშრომლობა, დახმარება და ხელშეწყობა. საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის და პიანისტთა თბილისის საერთაშორისო კონკურსის დირექტორია თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, საქართველოში მუსიკალური "კონკურსების მოძრაობის" სულისჩამდგმელი - პიანისტი, პროფესორი **მანანა დოიჯაშვილი**. კონკურსი ტარდება საქართველოს პრეზიდენტის, **მიხეილ სააკაშვილის** პატრონატით. კონკურსი ტარდება კონსერვატორიის დიდ დარბაზში.

*24 საათი*

## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

26 სექტემბერი - 18 ოქტომბერი, 2009

### საერთაშორისო პროგრამა

**13, 14, 15 ოქტომბერი**
**სამშაბათი/ოთხშაბათი/ხუთშაბათი**
ნიკოლოზ გოგოლი
**"შინელი"** - Gecko Company, დიდი ბრიტანეთი
რეჟისორი ამიტ ლაჰავი
დასაწყისი 20:00
კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**15 ოქტომბერი ხუთშაბათი**
**"ღია წრე"** - Theatre laboratory OPEN CIRCLE, ლიტვა
რეჟისორი აიდას გინიოტისი
დასაწყისი 20:00
თავისუფალი თეატრი

**15 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
გეორგ ბიუჰნერი
**ვოიცეკი** Sadari Movement Laboratory,
კორეა (ქართული და ინგლისური სუბტიტრებით)
რეჟისორი დო-ვან იმი
დასაწყისი 19:45
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, დიდი სცენა

**15 ოქტომბერი, ხუთშაბათი**
**PALLAE WOMANHOOD STORY**
JEONG-HO NAM & KNUA CHOREGRAPHY TROOP, კორეა
ქორეოგრაფი ნამ ჯოენგ-ჰო
დასაწყისი 18:00
შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

**18 ოქტომბერი, კვირა**
**INFINITA** - Company Family Floze, გერმანია
დადგმა: ჰაიო შულერი, მაიკლ ვოგელი
დასაწყისი 20:00 საათზე
სამეფო უბნის თეატრი

**ტრეინინგები, ვორქშოფები, გამოფენები**

**VICTORA & ALBERT MUSEUM - ბრიტანული თეატრის უკანასკნელი წლების ფოტოგამოფენა**

კრიტიკოსთა სემინარი - იენ ჰერბერტი, დიდი ბრიტანეთი
(4-12 ოქტომბერი)

ფოტოგრაფია თეატრში - ვორქშოფი - **VICTORA & ALBERT MUSEUM**
(14-15 ოქტომბერი)

ვორქშოფი სამსახიობო ოსტატობაში - ფილიპ ჟენტის მსახიობი ერიკ დე სარია
(10-11 და 12 ოქტომბერი) .
12 ოქტომბრის ვორქშოფი ტარდება სპეციალურად დევნილი ბავშვებისათვის

INTELLECT CENTER

# დიდი წარმატება, სწორი არჩევანით იწყება!

შპს "ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილნი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს "ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )
5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამა
7. ფინანსური მენეჯმენტი
8. საგადასახადო საქმე
9. სპეციალური ცხრათვიანი კომპლექსური კურსები
10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები

კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით.

შპს "ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ
ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს
და სრულ კომპიუტერულ სერვისს.

ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიმზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას.

დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი
www.intelc.ge
მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. ალმაშენებლის 133-ის კუთხეში
ტელ: 958112; 958113; 893618212;
www.intelc.ge
e-mail:intellectcenter@yahoo.com
ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი

# მორღვეული კავკასიის ქედი

პირველი გვერდიდან

ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთმა კავკასიის ქედი 1801 წელს უმტკივნეულოდ გადმოლახა და ზურგმოშლილი საქართველოც საკმაოდ სწრაფად, თანამიმდევრულად და, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულოდ დაიპყრო. ყველა წინა დამპყრობლისაგან განსხვავებით, რუსეთის სამხედრო კომუნიკაციების ხაზები და ძლიერების ცენტრები არა სამხრეთიდან, არამედ სწორედ ჩრდილოეთიდან, კავკასიის ქედის გავლით შემოდიოდა საქართველოში. როგორც იტყვიან, რუსეთმა კავკასიის ქედი კარგად აითვისა. საქართველომ ისტორიული, სამხედრო-გეოგრაფიული უპირატესობა დაკარგა. ეს გახლდათ ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ბარისამარადარჩენილი საქართველო რუსეთის იმპერიის საუკუნოვანი ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ ყველა შეიარაღებულ აჯანყებაში სასტიკად დამარცხდა.

რუსეთი კარგად ითვალისწინებდა და ითვალისწინებს, თუ რა დიდ სტარეტეგიულ უპირატესობას ფლობდა საქართველო კავკასიის ქედის სახით, ამიტომაც, "ცარისტული", საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა რუსეთი მუდამ თავდადებით ცდილობდა ამ ბუნებრივი ზღვარის მოშლას. მე-19 საუკუნეში ხევსურეთის დაპყრობა, ხევსურთა ფიზიკური განადგურება, მე-20 საუკუნეში ხევსურების დარჩენილი ნაწილის საქართველოს მთიანეთიდან ბარში გადასახლება, აფხაზეთიდან გამუსლიმანებული ქართველების თურქეთში განდევნა ("მუჰაჯირობა"), საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების შექმნა და იქ ექსტრემისტული სეპარატისზმის გაღვივება, იმ რუსული პოლიტიკის ნაწილი გახლავთ, რომელიც ცდილობდა, მოესპო საქართველოს, როგორც მთიანი ქვეყნის სტატუსი და მისი უაღრესად მნიშვნელოვანი ჩრდილოეთის მთიანი მხარეები ჩვენი ქვეყნისათვის მოეწყვიტა. 1990-1992 წლების სამაჩაბლოს და 1992-1993 წლების აფხაზეთის ომებმა ეს პროცესი დააჩქარა. რუსეთმა საქართველო აიძულა, ცხინვალში და აფხაზეთში ექსტრემისტულ-სეპარატისტული, მოსკოვის მარიონეტული რეჟიმები მიეღო. ამასთანავე, რუსეთმა საქართველოს თავს მოახვია "სამშვიდობო" ფორმატი, რომელიც რეგიონში რუსეთის გარდა ყველა საერთაშორისო ძალის მონაწილეობას გამორიცხავდა. სეპარატისტულ რეგიონებში ჩაყენებული რუსული ე.წ. სამშვიდობო ჯარები კი, პრომოსკოვურ კრიმინალურ რეჟიმებს უმაგრებდნენ ზურგს. საქართველომ, კოდორის ხეობის გამოკლებით, მთელს აფხაზეთზე, ასევე ჯავის რაიონზე და ქალაქ ცხინვალზე, შიდა ქართლის რეგიონში, იურისდიქცია დაკარგა. თუმცა ეს არ გახლდათ ის, რაც რუსეთს მთლიანად აკმაყოფილებდა. მოსკოვს სჭირდებოდა კავკასიის ქედზე კონტროლის გაფართოება და მის სამხრეთით მასშტაბური სამხედრო-პოლიტიკური პლაცდარმების შექმნა, რაც ქართული სახელმწიფოს სტრატეგიულ უსაფრთხოებას და მის ჩრდილოურ მიმართულებას ერთიანად მოაშიშვლებდა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები რუსეთისათვის დიდი წარმატება გახლდათ. რუსეთმა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის "დამოუკიდებლობის" აღიარებით დაასრულა ის პროცესი, რასაც აფხაზეთის და სამაჩაბლოს ომებით მთლიანად ვერ მიაღწია. რუსეთმა დამოუკიდებელ საქართველოს კავკასიის ქედის ჯავშანი მოუშალა. პირველად, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ჩვენმა მტერმა წარმატებით დაასრულა კავკასიის ქედის სამხრეთით, ჩვენს მიწაზე, ორი ვრცელი სამხედრო-პოლიტიკური დასაყრდენის შექმნა, ექსტრემისტულ-სეპარატისტული აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახით, რომელიც, ერთად აღებული, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის მეხუთედს შეადგენს. დავკარგეთ ის ბუნებრივი ჯავშანი, რომელიც ასე ერთგულად გვემსახურებოდა საუკუნეების განმავლობაში. საქართველოსთვის სამხედრო-პოლიტიკური რეალობა მთლიანად შეიცვალა. როგორც იტყვიან, რუსეთმა საქართველოს ზურგიდან დაარტყა.

რა ვქნათ ჩვენ, ქართველებმა, ამ ახალი რეალობის პირობებში? საუკუნეების განმავლობაში ხომ საქართველოს თავდაცვის სტრატეგია კავკასიის ქედის და მთიანეთის ირგვლივ იგებოდა — სამხრეთიდან შემოსეულ მტერს შებმულნი უკან, ჩრდილოეთში, მთებისკენ ვიხევდით და ნელ-ნელა, ბრძოლით მტერს სასიცოცხლო ძალებს ვაცლიდით მანამ, სანამ დაძა-

> *რუსეთის გეგმები ცხინვალზე და აფხაზეთზე გაცილებით შორს მიდის. ცხინვალი და აფხაზეთი, დანარჩენი საქართველოს ჩათვლით, მხოლოდ ნაწილი გახლავთ იმ დიდი რუსული სტრატეგიისა, რომელსაც კავკასიის ახლიდან დაპყრობა-ასიმილაცია და სამხრეთისაკენ ხმელთაშუა ზღვაზე და სპარსეთის ყურეში გაჭრა აქვს დასახული მიზნად.*

ბუნებული და სისხლისგან დაცლილი მომხდური საქართველოს დატოვებას არ გადაწყვეტდა. ახლა კი, კავკასიის ქედის სამხრეთში, საქართველოს მთიანეთში, ჩრდილოეთში და ჩრდილო-დასავლეთში მტერია მყარად დაბანაკებული, ათეულ-ათასობით ჯარისკაცით, ტანკებით, არტილერიით და ავიაციით, რომელსაც საქართველოს ნებისმიერ კუთხეს, დედაქალაქის ჩათვლით, შეუძლია ნახევარი საათის მონაკვეთში მძიმე სამხედრო დარტყმები მიაყენოს. ჩვენი ზურგი კი, არა ჩრდილოეთი და კავკასიის ქედი, არამედ სამხრეთის ზეგნები და სომხეთის საზღვრებია.

აფხაზეთის და შიდა ქართლის დაბრუნებას, რა თქმა უნდა, ალტერნატივა არა აქვს. ამ ძირძველი ქართული კუთხეების გარეშე, საქართველო ვერასოდეს აღიდგენს საკუთარ ბუნებრივ, სტრატეგიულ უსაფრთხოებას. საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი კავკასიის ქედზე გადის და არა ენგურზე და ცხინვალ-ახალგორზე. აფხაზეთის და შიდა ქართლის გარეშე ქართული სახელმწიფო და ქართველი ერი მუდამ მომაკვდინებელი საფრთხის წინაშე იდგება. რუსეთმა მშვენივრად უწყოდა და უწყის და ჩვენც მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ კავკასიის ქედის ბუნებრივი ზღუდის გარეშე, საქართველო მხოლოდ უხერხემლო ლომია, რომელსაც საკუთარ ბუნაგში ყველა ტურა ადვილად გაგლეჯს. ჩვენი და ქართველთა მომავალი თაობის უპირველესი მორალური და პოლიტიკური ამოცანა აფხაზეთის და შიდა ქართლის დაბრუნებაა, მაგრამ ამ დიდი მიზნის მიღწევამდე საქართვე-

> *ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ვიყოთ ის თაობა, რომლის დროსაც საქართველო მთლიანად და საბოლოოდ დაეცა.*

ლოს სჭირდება თავდაცვის გეგმა და სტრატეგია. ცხადზე უცხადესია, რომ რუსეთის გეგმები ცხინვალზე და აფხაზეთზე გაცილებით შორს მიდის. ცხინვალი და აფხაზეთი, დანარჩენი საქართველოს ჩათვლით, მხოლოდ ნაწილი გახლავთ იმ დიდი რუსული სტრატეგიისა, რომელსაც კავკასიის ახლიდან დაპყრობა-ასიმილაცია და სამხრეთისაკენ ხმელთაშუა ზღვაზე და სპარსეთის ყურეში გაჭრა აქვს დასახული მიზნად. შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ რუსეთს საქართველოს მხოლოდ დაპყრობა აკმაყოფილებს. გავადევნოთ თვალი ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას: აფხაზეთის ოკუპაცია და ქართველთა სრუ-

> *კავკასიის ქედის ბუნებრივი ზღუდის გარეშე, საქართველო მხოლოდ უხერხემლო ლომია, რომელსაც საკუთარ ბუნაგში ყველა ტურა ადვილად გაგლეჯს.*

ლი ეთნიკური წმენდა, შიდა ქართლის ოკუპაცია და იქაც ქართველთა სრული ეთნიკური წმენდა, 1991-2003 წლებში აჭარაში თითქმის დამოუკიდებელი, რუსეთის მფარველობაში მყოფი ფეოდალის უშფოთველი თორმეტწლიანი მმართველობა, 1992-1993 წლების სამოქალაქო ომის დროს რუსეთის მიერ საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებად გაყოფის მცდელობა. კიდევ უამრავი მსგავსი ფაქტი არსებობს საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიიდან, რომელსაც არათუ ეს პატარა სტატია, არამედ მრავალი წიგნი ვერ დაიტევს. ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთს საქართველოს არა მხოლოდ დაპყრობა, არამედ საქართველოს როგორც სახელმწიფოს და ქვეყნის დაშლა-დანაწევრება და პოლიტიკური რუკიდან წაშლა სურს? ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთი ქართველი ერის, როგორც ეთნოსის, თანამიმდევრულ აღმოფხვრას ახდენს? რუსეთმა კარგად იცის, რომ ქართული სახელმწიფოს არსებობა და წარმატება მოსკოვის გავლენის ან პირდაპირი მმართველობის ქვეშ მყოფი,

> *ქართული სახელმწიფოს არსებობა და წარმატება კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ერებისათვის მუდამ მისაბაძი მაგალითი იქნება. ეს კი მოსკოვის ბატონობას არა მარტო სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც მუდამ მომაკვდინებელ საფრთხეს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, რუსეთის დღის წესრიგში დგას საკითხი, ადრე თუ გვიან, დაშალოს ქართული სახელმწიფო და მოახდინოს მისი ლიკვიდაცია.*

კავკასიის თავისუფლებისმოყვარე და განვითარებისათვის მებრძოლი ერებისათვის მუდამ მისაბაძი მაგალითი და შთაგონების წყარო იქნება. ეს კი მოსკოვის გავლენასა და ბატონობას არა მარტო სამხრეთ, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაშიც მუდამ მომაკვდინებელ საფრთხეს შეუქმნის. აქედან გამომდინარე, რუსეთის დღის წესრიგში დგას საკითხი, ადრე თუ გვიან, დაშალოს ქართული სახელმწიფო და მოახდინოს მისი ლიკვიდაცია, რითაც კავკასიაში მოსპობს წარმატებული სახელწიფოებრიობის პრეცენდენტს; მოსკოვის წინააღმდეგ მებრძოლ ერებს, ისევ როგორც მის მორჩილ ეთნიკურ ჯგუფებს, ჩააგონებს რუსეთის "უძლეველობას" და თავისუფლებისათვის ბრძოლის "უშედეგობას" და ამ რეგიონში აღმოფხვრის ანტირუსული წინააღმდეგობის კერებს. მრავალი მიამიტი, ჩვენი თანამემამულე ქართველისაგან განსხვავებით, უამრავი დასავლელი პოლიტოლოგი, სოციალური მეცნიერი, ისტორიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე და უბრალო მოქალაქე მიხვდა, რომ რუსეთს ომი საქართველოში და კავკასიაში მხოლოდ გავლენის აღსადგენად არ სჭირდებოდა. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ყველაზე ზომიერნიც კი, ახლა, ომის შემდეგ, აღიარებენ, რომ რუსეთი ემუქრება თვით ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას, რათა რუსი ხალხისათვის და კავკასიაში მისი მორჩილი რამდენიმე ეთნიკური ჯგუფისათვის საცხოვრებელი გეოგრაფიული სივრცე მოათავისუფლოს და კავკასიის პრობლემა საბოლოოდ და წარმატებით გადაჭრას. ხომ არ მოვიდა დრო, რომ ჩვენ, ქართველებმაც, სრულად აღვიქვათ საფრთხე და შესაბამისი სტრატეგია დავსახოთ მაშინ, როცა მტერმა ჩვენი ბუნებრივი ჩრდილოური საფარი შემოგვაცალა. და მაინც, რა უნდა გავაკეთოთ ქართველებმა ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი, როგორც ერის, არსებობის გადასარჩენად? ეს სტატია სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა და ქართულ მთავრობას და მთელ ქართველ საზოგადოებას შესაბამის მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო რეკომენდაციებს და რჩევებს სთავაზობს.

პირველი, აბსოლუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ, საქართველოს ძირითადი სამხედრო ინფრასტრუქტურა თანდათანობით საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, თურქეთთან ახლოს, კერძოდ, აჭარაში, გურიაში და სამცხე-ჯავახეთის დასავლეთ ნაწილში გადაიტანოს. ეს საშუალებას მისცემს ქართულ ჯარს განმეორებითი, ძლიერი რუსული შეტევის შემთხვევაში, ჩრდილოეთიდან თურქეთისკენ დაიხიოს, ზურგიდან საფრთხის გარეშე ამ მიმართულებით გამაგრდეს და მომარაგების ხაზი სრულად შეინარჩუნოს.

მეორე, ქართულმა მთავრობამ ქვეყნის ჩრდილოური საზღვრის გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გააკეთოს საქართველოს ჩრდილოეთის, არაოკუპირებული მთიანი რეგიონების, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, რაჭისა და სვანეთის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის გაზრდაზე. სახელდობრ:

ა) ამ სამივე რეგიონში უნდა დაარსდეს მსუბუქად შეიარაღებული სამთო-მოიერიშე და სამთო-სადესანტო ბატალიონების მცირე სამხედრო ბანაკები, რომლებიც პროფესიონალ ჯარისკაცებთან ერთად ამ რეგიონების ლანდშაფტისა და გეოგრაფიული თავისებურებების კარგად მცოდნე ადგილობრივ მოსახლეობასაც გაწვრთნის საბრძოლოდ სამთო პირობებში.

ბ)აღნიშნული სამხედრო ბანაკები სურსათით უნდა მომარაგდეს ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით, რაც წაახალისებს მეცხოველეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებას ამ რეგიონებში, დაამაგრებს და მოიზიდავს მთიდან ბარად გადასახლებულ ადგილობრივ მოსახლეობას და ხელს შეუწყობს საქართველოს ამ სასაზღვრო კუთხეების გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას და აღორძინებას.

მესამე, აუცილებელია ქართულმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის ახალი ალტერნატიული სატრანსპორტო-საკომუნიკაციო მაგისტრალის მშენებლობაზე. აგვისტოს ომის დროს რუსულმა არმიამ საქართველოს დასავლეთ-აღმოსავლეთის ავტომაგისტრალის ბლოკირებით ძალიან სწრაფად და ადვილად მოწყვიტა ქვეყნის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები ერთმანეთს. რუსეთის მომავალი სამხედრო ინტერვენციის საფრთხის გათვალსიწინებით, აბსოლუტურად აუცილებელია შეიქმნას ახალი ავტომაგისტრალი, რუსეთის მიერ ოკუპირებული შიდა ქართლისგან მოშორებით, კერძოდ, სამხრეთში, რომელიც ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და აჭარის გავლით ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს დასავლეთ რეგიონებს დააკავშირებს, რუსეთის არმიის სწრაფი შეტევის და თბილისი-გორი-ქუთაისის ავტომაგისტრალის დაკავების შემთხვევაში.

მეოთხე, ქართულმა უმაღლესმა მთავარსარდლობამ უნდა გადააფასოს და გაითვალისწინოს, რომ რუსეთთან კონვენციური ომის წარმოება საარმიო ფორმირებებით, ტანკებით, ავიაციითა და არტილერიით ძნელია, მტრის დიდი რიცხობრივი უპირატესობის, ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის გამო. შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს ურბანულ და სამთო-სატყეო პირობებში ხანგრძლივი პარტიზანული ბრძოლის წარმოებაზე, რომელიც რიცხობრივად უპირატეს და კარგად შეიარაღებულ მტერს თანდათან დააძაბუნებს. აქედან გამომდინარე საჭიროა:

ა) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიქმნას პარტიზანული მოძრაობის კარგად დამუშავებული გეგმა და სქემა, რომელიც მტრის შემოჭრის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ამოქმედდება.

ბ) პარტიზანული ბრძოლებისათვის აუცილებელი დიდი რაოდენობით მსუბუქი იარაღის შეძენა, როგორიცაა ერთი მეომრის მიერ ხელით იოლად გადასატანი ჰაერსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღდეგო იარაღები, ხელყუმბარები, ტანკსაწინააღდეგო ნაღმები და ა.შ.

გ) საქართველოს ურბანულ ცენტრებში და არაოკუპირებულ მთიან რეგიონებში, კერძოდ, თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მთიან აჭარაში, გურიაში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთსა და ზემო სამეგრელოში შეიქმნას საიდუმლო თავშესაფრები, ტყის საფორტიფიკაციო ნაგებობები და იარაღის იატაკქვეშა, საიდუმლო საწყობები, რომელიც მტრის შემოჭრის შემთხვევაში, საქართველოს წინააღმდეგობის არმიისთვის აბსოლუტურად აუცილებელი იქნება.

დ) ქართული საჯარისო ფორმირებები და მოხალისეები დაექვემდებარონ ინტენსიურ წვრთნას, საქართველოს ტერიტორიაზე განმეორებით შემოჭრილი მტრის მიერ ოკუპირებული და კონტროლირებადი სამხედრო-სამრეწველო ინფრასტრუქტურის, სამხედრო ტექნიკის და ცოცხალი ძალის განადგურების ოპერაციების მომზადებაში.

მეხუთე, ქართულმა მთავრობამ აქტიური მუშაობა უნდა გასწიოს ქართული საზოგადოების დარაზმვის და თვრამეტწლიანი სამხედრო დამარცხებების შედეგად საკმაოდ დაცემული საბრძოლო მორალის ამაღლების კუთხით. ამ მხრივ, პასუხისმგებლობა ასევე ეკისრება თავად ქართველ ხალხს. კერძოდ:

ა) მთელმა ჩვენმა საზოგადოებამ, მთელმა ერმა უნდა გაისიგრძეგანოს ის საფრთხე, რომელსაც რუსეთი საქართველოს უქმნის. თითოეულმა ქართველმა უნდა აღიქვას, რომ ავტორიტარული, რევანშისტული, ულტრა-ნაციონალისტური და ფსევდოქრისტიანული იდეოლოგიით შეიარაღებული რუსეთი ემუქრება არა მარტო საქართველოს სახელმწიფოებრიობას და ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ თითოეული ჩვენგანის პიროვნულ და ეროვნულ თავისუფლებას, ჩვენი და ჩვენი ოჯახების ღირსებას და თვით ფიზიკურ არსებობას.

გაგრძელება A13 გვერდზე

# მორღვეული კავკასიის ქედი

A12 გვერდიდან

რუსეთის საბოლოო გამარჯვება მთელ ქართველ ერში ჩაკლავს თავისუფალ აზრს და მომავალ თაობებს გადააქცევს გადაგვარებულ, დეგრადირებულ, უსამშობლო სუბიექტებად, რომელთა ხედვის და აზროვნების დიაპაზონი პროგრესის და თავისუფლების თანამედროვე და მომავალ ეპოქაში რუსულ სამყაროს ვერ გასცილდება.

ასევე უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ საქართველოს დაცვა არის ჩვენი წმიდათა-წმიდა ვალი და პასუხისგებლობა იმ მილიონობით ქართველის წინაშე, რომელთაც ჩვენი ხანგრძლივი და დრამატული ისტორიის მანძილზე, საქართველოს თავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ ჩვენ ქართველებად დავბადებულიყავით, უანგაროდ გასწირეს თავი. ასევე უნდა გვახსოვდეს ჩვენი უზარმაზარი ვალი მომავალი თაობების წინაშე, მათი თავისუფლებისა და ბედნიერების წინაშე. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ ვიყოთ ის თაობა, რომლის დროსაც საქართველო მთლიანად და საბოლოოდ დაეცა.

ბ) ასევე მნიშვნელოვანი გახლავთ, რომ მთელმა ქართულმა საზოგადოებამ გაათვითცნობიეროს, რაოდენ დაუნდობელი და უმოწყალოა ჩვენი მტერი. სოლომონ დოდაშვილიდან მოყოლებული, დღევანდელობამდე, გავიხსენოთ ყველა ქართველი ეროვნული გმირი, რომელთაც "ცარისტული" და საბჭოთა რუსეთის ოკუპაციის პერიოდში ბუნებრივი სიკვდილი არ ღირსებიათ. გავიხსენოთ, ცარიზმის დროს ტომრებში ძალადობრივად დამხრჩვალი პატრიოტი ქართველი სამღვდელოება, გაძარცული და თეთრადგადაღებილი ქართული ტაძრები (რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნისტურ საეკლესიო ტერორზე) და მივხვდებით, რომ რუსეთის და მისი ქართველი სატელიტების პროპაგანდა "ერთმორწმუნე რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან ძმობაზე" ვერაგი მტრის თვალთმაქცური პროპაგანდაა. გავიხსენოთ შიდა ქართლსა და აფხაზეთში ნაწამები, დახოცილი და ყელგამოჭრილი ჩვენი და-ძმები, ჩვენი სისხლი და ხორცი ქართველები და ყველა დავინახავთ, რომ მრავალთა მიამიტური წარმოდგენა მეგობრულ, უწყინარ რუსეთზე მხოლოდ მწარე ილუზიაა. დაე, კარგად ვიცნობდეთ ჩვენს მტერს და ნურავინ მოელის მისგან დანდობასა და შეწყალებას.

გ) ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეწყვიტოს არაბუნებრივად და არარეალურად დიდი იმედების დამყარება საერთაშორისო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკურ და დიპლომატიურ დახმარებასა და მათ დეკლარაციებზე. უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთმა, საერთაშორისო საზოგადოების სიტყვიერი და წერილობითი მოწოდების მიუხედავად, ფეხქვეშ გათელა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსთან დაკავშირებით. დასავლური, ცივილიზებული სამყარო ჩვენი მეგობარი და მოკავშირეა, მაგრამ ის ფაქტი, რომ თბილისისკენ რუსული შეტევა 2008 წლის აგვისტოში დასავლეთის ჩარევის საფუძველზე შეჩერდა, არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი ახალ შეტევას საქართველოზე, დასავლეთის დიპლომატიურ-პოლიტიკური ზეწოლის შედეგად, კვლავ შუა გზაში შეაჩერებს. თუკი რუსეთმა დანარჩენი საქართველოს დაპყრობა განიზრახა და შეტევა დაიწყო, მას ისიც გადაწყვეტილი ექნება, რომ დასავლეთის პოლიტიკურ და დიპლომატიურ ჩარევას ყურადღება აღარ მიაქციოს.

*ჩვენი თავისუფლება და ღირსება თავად ჩვენ, ქართველებმა, უნდა დავიცვათ და არა უცხო ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა. რეალურ საგარეო დახმარებასაც მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ.*

გარდა ამისა, უნდა გვახოვდეს, რომ დასავლეთი და საერთოდ უცხო ქვეყნები, იმ ერებს და ქვეყნებს ეხმარებიან, რომლებიც თავიანთ თავისუფლებას და არსებობას საკუთარი ბრძოლით და სისხლით იცავენ, იმ ერებს, რომლებიც მსოფლიოს აჩვენებენ, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლა და თავგანწირვა ძალუძთ. ჩვენი თავისუფლება და ღირსება თავად ჩვენ, ქართველებმა, უნდა დავიცვათ და არა უცხო ქვეყნებმა და ორგანიზაციებმა. რეალურ საგარეო დახმარებასაც მხოლოდ ამის შემდეგ მივიღებთ.

ზემოთ აღნიშნულ რეკომენდაციებს, სავარაუდოდ, სკეპტიკოსები გამოუჩნდებიან. კერძოდ, რუსეთის უძლეველობის მითით დაზაფრული ზოგიერთი ადამიანი, ალბათ, ამ სტატიის სტრიქონებს ბოლომდე არც ჩაამთავრებს, მაგრამ ფაქტი ერთია: რუსეთმა საქართველოს კავკასიის დამცავი ქედი მოუშალა. სანამ ქართველები ჩვენს ძირძველ მიწას, აფხაზეთს და შიდა ქართლს არ დავიბრუნებთ, ჩვენი სტრატეგიული უსაფრთხოება არ აღდგება. ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები, საქართველოს ნაწილობრივი ოკუპაციის პირობებში, თავდაცვის ახალი სტრატეგიის შეთავაზების მცდელობა გახლავთ. მე მტკიცედ მჯერა, რომ რუსეთის მიერ დანარჩენი საქართველოს ოკუპაციის ხელმეორე მცდელობის შემთხვევაში, საქართველოს და ქართველ ხალხს თავგანწირული ომის გარდა სხვა აღარაფერი დარჩენია. თუკი ჩვენი, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება, ღირსება და საქართველოს მომავალი რამედ გვიღირს, განა შეიძლება სხვაგვარად იყოს?! თავგანწირვა და სიმამაცე ყველა დაბრკოლებას ლახავს. ევროპის ახალ ისტორიაში თავისუფლების მოყვარულმა ერებმა დაამტკიცეს, რომ თავგანწირული ბრძოლა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ უაზრობა სულაც არ გახლავთ. და თუ მათ გადაარჩინეს თავიანთი თავისუფლება და მომავალი, ჩვენ რატომ ვერ შევძლებთ?!

ზემოთ განხილული, ხუთ პუნქტად ჩამოყალიბებული რეკომენდაციები იმ თავდაცვითი სტრატეგიის ნაწილი გახლავთ, რომელიც ჩვენ, ქართველებმა, ქართულმა მთავრობამ და მთელმა ქართველმა საზოგადოებამ დაუყონებლივ უნდა განვახორციელოთ, თუკი ქართველი ხალხი ახალი რუსული შემოტევის შემთხვევაში დანებებისა და კიდევ ორსაუკუნოვანოვანი მონობის ნაცვლად, თავისუფლებისათვის წმიდათა-წმიდა ბრძოლას გადაწყვეტს. ეს არის ერთადერთი გზა წყვდიადიდან - რუსული დესპოტიზმისა და დეგრადაციისაგან, თავისუფლებისაკენ, ევროპისა და პროგრესისაკენ. არჩევანი ქართველ ერზეა!


## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართი: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული; ტელ/ფაქსი: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, E-mail: info@hpic.ge, htp://www.hpic.ge) აცხადებს ტენდერს ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული "პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდამჭერი პროექტის" ფარგლებში მომსახურების შესყიდვის მიზნით **სამედიცინო პერსონალისათვის მოკლევადიანი სასწავლო კურსის "ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია" ორგანიზება და ჩატარების უზრუნველყოფისათვის** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს ("საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონით და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი პუნქტის "უ" ქვეპუნქტის თანახმად, "პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტი (ევროკავშირი)", მიეკუთვნება ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებს და გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან).

2. დაფინანსების წყარო: საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრები (ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული პროექტი).

3. შესყიდვის ობიექტია:

**სამედიცინო პერსონალისათვის მოკლევადიანი სასწავლო კურსის "ელექტროკარდიოგრამის ინტერპრეტაცია" ორგანიზება და ჩატარება;**

4. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა:
2009 წლის 26 ოქტომბერი - 2009 წლის 24 დეკემბერი;

(შენიშვნა: მომსახურების გაწევის ვადებთან და პირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მითითებული იქნება სატენდერო დოკუმენტაციაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ადგილზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას);

5. დაინტერესებულ პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (ერთ დალუქულ კონვერტში) ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად (1 ორიგინალი, 2 ასლი) უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 20 ოქტომბრის 12:00 სთ-დან 21 ოქტომბრის 17:00 სთ.-მდე** შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი N23ა, II კორპუსი, მე-5 სართული, სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი". სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება აღნიშნულ მისამართზე **2009 წლის 21 ოქტომბერს 17:00 სთ-ზე.** (ტენდერში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრნენ სატენდერო წინადადების გახსნას).

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა მოიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1. იურიდიული პირისათვის:

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი;
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) საჯარო სამართლებრივი შეზღუდვა არ არის;
- ცნობა სასამართლოდან ან იუსტიციის სამინისტროდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

6.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა შსს-დან, რომ უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის;
- ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება;

6.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- **შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, E- Mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;**
- **სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მომწერისათვის გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში);**
- **ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ;**
- **ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის საჭირო სათანადო კვალიფიკაციისა და რაოდენობის პერსონალის შესახებ;**
- **ინფორმაციას სუბკონტრაქტორების მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ და მათთან დადებული ურთიერთვალდებულებათა შესახებ ხელშეკრულებების ნოტარიალურად დამოწმებულ ასლებს (არსებობის შემთხვევაში).**

7. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება;

8. პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ტენდერის შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად;

9. პრეტენდენტის მიერ მე-6 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, 3 (სამ) ეგზემპლარად (მათ შორის: ერთი ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და 2 (ორი) ასლი).

10. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის თუ პრეტენდენტი მე-5 პუნქტით დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-6 პუნქტით დადგენილ დოკუმენტებსა და ინფორმაციას, რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება ან ვერ დააკმაყოფილებს აღნიშნულ პუნქტებში დადგენილ მოთხოვნებს;

11. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე მსურველ პირებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდგომ (სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის" (საიდ. კოდი: 211327580) ანგარიშზე: "ბანკი რესპუბლიკა" (საბანკო კოდი: 220101757, ანგარიშის ნომერი: 23408000189, დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი);

12. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე გაიცემა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის 20 ოქტომბრის 12:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23ა, II კორპუსი, V სართული.

13. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

14. ტენდერში გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული;

15. ტენდერში ალტერნატიული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება;

16. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნატო დვალი (შესყიდვების უფროსი სპეციალისტი), მარინე მუქერია (ცენტრის ფინანსური სპეციალისტი) სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" (მისამართზე: ქ.თბილისი, 0160, ალ.ყაზბეგის გამზ. N23 II კორპუსი, მე-5 სართული; ტელ/ფაქსი: (995 32) 388-210, (995 32) 388-220, E-mail: info@hpic.ge ).

## დინამოელი - მსოფლიო ჩემპიონატზე

ეგვიპტეში მიმდინარეობს ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. როდის ითამაშებს საქართველოს ნაკრები ამ დონის ფორუმზე, ძნელი სათქმელია, თუმცა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთი ფეხბურთელი რომ ეგვიპტეში ასპარეზობს, ეს ფაქტია.

კამერუნის ნაკრების შემადგენლობაში მოხვდა "დინამოს" ფორვარდი დონალდ ჯუისი. აფრიკელებმა ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში კორეის ნაკრები დაამარცხეს 2:0. დინამოელი მოედანზე მატჩის 63-ე წუთზე გამოჩნდა. ჯუისი, მის თანაგუნდელებთან ერთად, მომდევნო თამაშს დღეს გამართავს აშშ-ის ნაკრების წინააღმდეგ.

## "პალერმოს" მეკარეებს ტაიბი გაწვრთნის

"მანჩესტერისა" და "მილანის" ყოფილი მეკარე მასიმო ტაიბი "პალერმოს" მეკარეთა მწვრთნელად დაინიშნა.

სამუშაოს დაწყების წინ ტაიბიმ ახალი შეგირდებიც შეაფასა და გუნდის ბრაზილიელი მეკარის, რუბინიოს კრიტიკოსთა გასაგონად განაცხადა, რომ ამ ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად დრო სჭირდება. "რუბინიოს მისამართით ბევრი კრიტიკა ისმის. თუმცა, მისი თამაში მინახავს და ვთვლი, რომ ის კარგი მეკარეა. უბრალოდ, საჭიროა, დრო მივცეთ," - აღნიშნა ტაიბიმ. ახლა ტაიბი 39 წლისაა. საფეხბურთო კარიერა 1987 წელს დაიწყო, ბოლოს კი 2007 წელს ითამაშა კლუბ "ასკოლის" შემადგენლობაში.

## ოთხთვიანი იძულებითი შესვენება

პრიმერა დაივზიონის მორიგ ტურში "ტენერიფე" "რეალთან" 0:3 დამარცხდა. ამ მატჩში კუნძულელებმა, სამ ქულასთან ერთად, მცველი მარკ ბერტრანიც დაკარგეს. ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო და, ექიმების თქმით, უახლოესი ოთხი თვე დასჭირდება ტრავმის მოსაშუშებლად.

შეხვედრის 37-ე წუთზე ბერტრანმა მადრიდელთა ჰოლანდიელ ლეგიონერ როისტონ დრენტესთან შეჯახების დროს წვივის ძვალი დაიზიანა და ამის გამო დიდხანს მოუწევს უქმობა.

## კოლოჩინის ნაცვლად - დემიკელისი

10 და 14 ოქტომბერს არგენტინის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ორი უმნიშვნელოვანესი მატჩი აქვს გასამართი, ჯერ - შინ, პერუს ეროვნულ გუნდთან, შემდეგ კი სტუმრად - მონტევიდეოში, ურუგვაის ნაკრებთან, ამ ორი მატჩის წინ მარადონას პრობლემებს ისიც დაემატა, რომ დაშავდა გუნდის ერთ-ერთი ძირითადი მცველი ფაბრიციო კოლოჩინი - მან "ნიუკასლისა" და "იფსვიჩის" მატჩში მიიღო ტრავმა.

მარადონამ გადაწყვიტა, კოლოჩინი მიუნხენის "ბაიერნის" მცველ მარტინ დემიკელისით შეეცვალა. "რეკორდმაისტერის" 28 წლის მცელი "ალბისელესტეს" შემადგენლობაში 2005 წლიდან გამოდის და 20 მატჩი გამართა.

## 300 ათასი ევრო - რუსული არმიის ძლევისთვის

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მორიგ ტურში მოსკოვის ცსკა თურქულ "ბეშიქთაშს" უმასპინძლებს. თუ თურქული გუნდი მოსკოვში სამ ქულას აიღებს, კლუბის ხელმძღვანელები ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს, პრემიის სახით, 300 ათას ევროს გადაუხდიან.

## მოურინიოსგან მოგებას ითხოვენ

ჩემპიონთა ლიგის მორიგ ტურში "ინტერი" ყაზანის "რუბინს" შეხვდება. ამ თამაშის მოგება "ნერაძურის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ კატეგორიულად მოითხოვა.

გასულ და მიმდინარე სეზონში მოურინიოს ხელმძღვანელობით მილანელებმა ევროასპარეზზე ორი მატჩი მოიგეს, ოთხი ფრედ დაასრულეს და სამჯერ დამარცხდნენ, რის გამოც "ინტერის" მეპატრონე უკმაყოფილოა.

პორტუგალიელი სპეციალისტის მილანურ კარიერაში გასული კვირა ერთ-ერთი წარუმატებელი აღმოჩნდა - კონფლიქტი ჟურნალისტებთან და ორი წარუმატებელი თამაში იტალიის ჩემპიონატში. ახლა მოურინიოს ყაზანში ელის გასვლითი მატჩი. თუ გუნდი იქაც დამარცხდება, შესაძლოა, მორატი იმაზეც კი დაფიქრდეს, რამდენად მიზანშეწონილია მოურინიოს მუშაობა მის გუნდში.

## "არსენალი" რეკორდულ ფინანსურ მოგებაზე გავიდა

"არსენალის" მესვეურებმა კლუბის ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნეს და ამბობენ, რომ "მეთოფეთა" ისტორიაში ეს ყველაზე მომგებიანი წელი იყო ფინანსური თვალსაზრისით. საფეხბურთო ატრიბუტიკის, მატჩზე დასასწრები ბილეთებისა და ტელეტრანსლაციების უფლებების გაყიდვის შემდეგ კლუბმა, სუფთა მოგების სახით, 35 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო. შემოსავლის გაზრდაზე იმანაც იქონია გავლენა, რომ "არსენალს" ამ ზაფხულს ხმაურიანი ტრანსფერი არ განუხორციელებია.

## რონი და პატო საუკეთესოები არიან

იტალიის პრემიერ-მინისტრმა და "მილანის" პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ რონალდინიო და პატო საუკეთესოები არიან თავიანთ პოზიციებზე. დონ სილვიომ პატარა რჩევა ლეონარდოსაც მისცა, უთხრა, რომ პატოს გამოყენება მეორე ფორვარდად ჯობს. პატარა ამონარიდი მისი კომენტარიდან: "არც მეტი, არც ნაკლები, პატო კაკას არაფრით არ ჩამოუვარდება." ბერლუსკონიმ ასევე განაცხადა, რომ, რონის ასაკის მიუხედავად, ის მაინც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და მას არც ერთ მსოფლიო ვარსკვლავზე არ გაცვლიდა.

# შერმადინის სერბული ფიესტა



ევროპის საკლუბო ჩემპიონმა კალათბურთში, ბერძნულმა "პანათინაიკოსმა" სერბეთში წინასასეზონო მზადების პროგრამით გათვალისწინებული შეკრება დაასრულა. როგორც იცით, ევროპული კალათბურთის გრანდის რიგებს იცავს ახალგაზრდა ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი, რომელიც "პანათინაიკოსში" გასულ სეზონში ჩაირიცხა და ახლა ამ გუნდში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს.

თუ სერბული შეკრებით ვიმსჯელებთ, გიორგი ობრადოვიჩს გუნდში ფეხის მოკიდება არ გაუჭირდება. ბალკანეთში გამართულ საწვრთნელ შეკრებაზე გიორგი თავისი გუნდის საუკეთესო კალათბურთელი იყო.

სერბული შეკრების ბოლო ორ მატჩში გიორგიმ 48 ქულა მიითვალა. "პანათინაიკოსმა" ჯერ ბელგრადის "ბუდუჩნოსტი" დაამარცხა - 84:70. ამ თამაშში გიორგი ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო იყო. 20 წლის ქართველმა ცენტრმა 21 ქულით დაასრულა მატჩი. კიდევ უფრო შთამბეჭდავი თამაში აჩვენა ქართველმა სერბული შეკრების ბოლო მატჩში. "პანათინაიკოსმა" სამშობლოში წასვლის წინ ბოლო ამხანაგური მატჩი ითამაშა. კრუშევაცის "ნაპრედაკთან" ბერძნული და, საერთოდ, ევროპული კალათბურთის გრანდმა 92:76 გაიმარჯვა, შერმადინმა კი შთამბეჭდავი თამაში უჩვენა და 27 ქულა დააგროვა.

ობრადოვიჩმა შერმადინი 26 წუთს ათამაშა. 27 ქულასთან ერთად, გიორგიმ 10-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი და ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო შედეგი აჩვენა. ამ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია "პანათინაიკოსის" ძირითად ცენტრს ნიკოლა პეკოვიჩს, რომელმაც წინა მატჩში ტრავმა მიიღო.

"პანათინაიკოსი" დღეს ბელგრადიდან ათენში დაბრუნდება, ოქტომბრის დასაწყისში კი მოსკოვში ჩავა და ალექსანდრ გომელსკის სახელობის ტურნირში იასპარეზებს.

ოთხთა ტურნირის ნახევარფინალში შერმადინის კლუბი რუსულ "ტრიუმფს" ეთამაშება, გამარჯვების შემთხვევაში კი, ფინალში, მოსკოვის ცსკა-სა და ლიტვურ "ლიეტუვას რიტასს" შორის გამარჯვებულს გაუმართავს ბრძოლას საუკეთესოს ტიტულისთვის.

# უეფა ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ

ჩაწყობილი თამაშების წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. სულ ცოტა ხნის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უეფა იძიებს 40 საეჭვო მატჩის საქმეს. ყველა ეს მატჩი გასულ სეზონებში გაიმართა, თუმცა, არც წლევანდელი სეზონი იყო გამონაკლისი - 40 შეხვედრას კიდევ 8 დაემატა. მათში ეჭვმიტანილნი არიან რუსეთის, უნგრეთის, საბერძნეთისა და უკრაინის კლუბები. რაც შეეხება იმ 40-ს, მათ თითქმის მთელი ღმოსავლეთ ევროპა მოიცვეს.

"ასეთი მატჩების პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. ჩვენ ამას ვხედავთ და გვსურს პრობლემის მოგვარებაში აქტიურად ჩავრთოთ ეროვნული ფედერაციები," - აცხადებს უეფას დისციპლინარული კომიტეტის თავკაცი პიტერ ლიმახერი.



*ჩაწყობილი მატჩების პრობლემა კვლავ დღის წესრიგშია*

ლიმახერის თქმით, ეჭვმიტანილი კლუბების უმეტესობა ტოტალიზატორზე თამაშობს, განსაკუთრებით კი - სუსტი გუნდები.

"მათ იციან, რომ ჯგუფურ ეტაპზე ვერ გავლენ. ამიტომ კვალიფიკაციურ მატჩებში ცდილობენ მაქსიმალური მოგების ნახვას", - აცხადებს უეფას მაღალჩინოსანი.

ახალი რვა შემთხვევა აღმოჩენილია სულ რაღაც სამი თვის შემდეგ, რაც უეფამ დაიწყო მაქინაციების წინააღმდეგ ახალი სისტემის გამოყენება, რომელშიც ჩართული არიან ადვოკატები, დეტექტივები და მთელი ქსელი ინფორმატორებისა ევროპის მასშტაბით.

განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არიან აღმოსავლეთ ევროპის კლუბები, სადაც ფეხბურთელები გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე საუკეთესო ლიგების კლუბებში.

თუ აქამდე საუბარი იყო მხოლოდ ჩემპიონთა ლიგისა და უეფას ევროპული ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებზე, ახლა საქმე ეხება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპს. გავრცელებული ხმების თანახმად, უეფა იძიებს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველი წრის მატჩს კიევის "დინამოსა" და ყაზანის "რუბინს" შორის.

სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, კლუბები, რომლებიც ჯგუფში "ბარსელონასთან" და "ინტერთან" მოხვდნენ, ერთმანეთს გაურიგდნენ. ორივე კლუბის მესვეურებისთვის ცხადია, რომ ორ ევროპულ გრანდთან თამაშში მათ შანსი არა აქვთ. ამავე დროს არსებობდა იმის დიდი ალბათობა, რომ მათ ურთიერთშეხვედრები ფრედ დაესრულებინათ. ამიტომ "დინამოსა" და "რუბინის" მესვეურებმა მოილაპარაკეს. ქულათა მაქსიმუმის აღების მიზნით, მათ თამაშები გაცვალეს. კიევში მოიგო "დინამომ", ყაზანში კი "რუბინი" იმარჯვებს.

ჩაწყობილი თამაშების თემა მუდამ ფიგურირებს ფიფასა და უეფას მოხსენებებში. მარტო გასულ სეზონში, უეფას განცხადებით, 25 ჩაწყობილი მატჩი გაიმართა. "ჩვენ კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით უნდა მივუდგეთ ამ პრობლემას. გვყავს კვლევითი ჯგუფი, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას ნებისმიერ საეჭვო მატჩზე. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუ შესაძლებელია თამაშის ყიდვა, მაშინ საერთოდ რა საჭიროა ფეხბურთის თამაში, - ამბობს უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი, - განსაკუთრებით მაშფოთებს, როდესაც მატჩს ფეხბურთელი ყიდის. თუ ასეთ რამეში ფეხბურთელს გამოვიჭერთ, მას სიცოცხლის ბოლომდე მივცემთ დისკვალიფიკაციას. არავითარი დანდობა".

თუმცა, რა უნდა ვილაპარაკოთ უეფასა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩებზე, როცა, გერმანულ გამოცემა "შპიგელის" ინფორმაციით, ჩაწყობილი მატჩები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც კი ყოფილა. კერძოდ, საუბარია 2006 წლის მუნდიალზე. მაშინ ბრაზილიამ 3:0 დაამარცხა განის ნაკრები და ითქვა, რომ ეს იყო ჩაწყობილი შედეგი. მატჩის შედეგზე გავლენა იქონია აზიურმა ტოტალიზატორებმა.

# ყენია მაგათის გუნდის ლიდერი ხდება

ჩაიარა უქმეებმა და ისევ ქართულ საფეხბურთო ლეგიონზე ვსაუბრობთ. როგორც ჩანს, საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ლიდერი ლევან ყენია ამ სეზონში არ მოგვაწყენს. ფელიქს მაგათი ენდო ქართველს და ლევანმაც გაამართლა მწვრთნელის ნდობა. ზედიზედ მესამე მატჩია, ყენია "შალკეს" ძირითადში თამაშობს და სამივე მატჩში თავი გამოიჩინა.

გერმანიის ბუნდესლიგის მე-7 ტურის შეხვედრაში "შალკეს" შემადგენლობაში ქართველთაგან მხოლოდ ყენიამ ითამაშა და ძალიან აქტიურიც იყო.

მაგათის გუნდის 18 წლის ქართველმა პლეიმეიკერმა წამოიწყო შეტევა, რომელმაც "შალკეს" დორტმუნდის "ბორუსიასთან" გასვლით მატჩში გამარჯვება მოუტანა.

სტუმართა კონტრშეტევის დროს ყენიამ ბურთი მოედნის ცენტრში მიიღო, ტემპი აკრიფა და, საჯარიმოსთან მისულმა, ალტინტოპს გადააწოდა. ამ უკანასკნელის გადაცემის შემდეგ კი ფარფანმა გამარჯვების გოლი გაიტანა. საგოლე კომბინაციის გარდა, ქართველი ფეხბურთელი სხვა ეპიზოდებშიც აქტიურობდა, თუმცა მაგათმა ის 58-ე წუთზე მაინც შეცვალა. რაც შეეხება კობიაშვილს ის ამ მატჩში არ გამოჩენილა.

სეზონში მესამე გამარჯვება იზეიმა დავით თარგამაძის გარეშე მოასპარეზე "ფრაიბურგმა". რობინ დუტის შეგირდებმა "ბადენოვაშტადიონზე" "გლადბახი" 3:0 დაამარცხეს და 24 ათასამდე ქომაგი შინ გახარებული გაუშვეს. ქართველი ნახევარმცველი სათადარიგოთა სკამიდან არ წამომდგარა.

სამწუხაროდ, შეწყდა ალექსანდრე იაშვილის საგოლე და "კარლსრუეს" მოგებათა სერია.

მეორე ბუნდესლიგის მორიგ ტურში "კარლსრუე" "კაიზერსლაუტერნს" ეწვია და 0:2 დამარცხდა. კაპიტნის სამკლაურით მოთამაშე ქართველმა მატჩი სრულად ჩაატარა, მაგრამ თავი არაფრით გამოუჩენია.

მათე ღვინიანიძის "მიუნხენ 1860" "ალიანს-არენაზე" "პადერბორნს" უგოლოდ დაშორდა, ჩვენებური კი სათადარიგოთა შორის იყო. საერთოდ, ვერ მოხვდა საკუთარი გუნდის განაცხადში ოთარ ხიზანეიშვილი, რომლის "აუგსბურგი" "კობლენცს" დაუზავდა.

სასიხარულო ამბავი მოვიდა აპენინებიდანაც. როგორც იქნა, გამოკეთდა ლევან მჭედლიძე და სერია ა-ს მორიგ ტურში საგოლე პასის გასაკეთებლად მას მხოლოდ ორი წუთი დასჭირდა.

ქართველი ფორვარდის "პალერმომ" რომში "ლაციოსთან" 1:1 ითამაშა, ჩვენებური კი მინდორზე 73-ე წუთზე გამოჩნდა და ორ წუთში კავანი საგოლე პასით უზრუნველყო. 85-ე წუთზე რომაელებმა სარატეს შედეგიანი დარტყმით ანგარიში გაათანაბრეს.

რთული დღეები უდგას კახა კალაძის "მილანს", რომელმაც მორიგ ტურში საკუთარ მოედანზე "ბარი" ვერ დაამარცხა. "როსონერი" ამ შეხვედრაში ნულოვან ფრეს დასჯერდა, კალაძემ კი მოედანზე მთელი 90 წუთი გაატარა.

ამ უქმეებზე შედგა ზურაბ ხიზანიშვილის დებიუტი "ნიუკასლის" შემადგენლობაში. "კაჭკაჭებმა" შაბათს "იფსვიჩი" დაამარცხეს - 4:0, ზურა კი მთელი 90 წუთის განმავლობაში გაისარჯა.

რუსულ პრემიერლიგაში ქართველი ფეხბურთელები ერთმანეთის პირისპირ დადგნენ გროზნოში, სადაც "ტერეკმა" "ლოკომოტივს" უმასპინძლა და 2:1 გაიმარჯვა. კავკასიური გუნდის შემადგენლობაში გოგიტა გოგუა 83-ე წუთზე გამოჩნდა და მსაჯის მიერ დამატებულ დროში ყვითელი ბარათიც მიიღო.

გოგუას მინდორზე შესვლა მოჰყვა "ლოკომოტივის" მიერ გატანილ ერთადერთ გოლს, რომლის შემოქმედიც მალხაზ ასათიანი გახდა. ქართველმა მცველმა ბურთი მასპინძელთა საჯარიმოს სიახლოვეს მიიღო და გამჭოლი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა როდოლფო, რომელმაც ანგარიშში ჩამორჩენა შეამცირა. ასათიანმა 90 წუთს ითამაშა, დავით მუჯირი კი მოსკოველთა განაცხადში არ ყოფილა. ყაზანის "რუბინმა" 23-ე ტურის პირველ მატჩში პერმის "ამქარს" უმასპინძლა და 1:2 წააგო. "რუბინის" განაცხადში ორი ქართველი ფეხბურთელი იყო - ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე, მაგრამ მინდორზე არც ერთი არ გამოჩენილა.

მოსკოვის "სპარტაკმა" "ტომი" 5:0 დაამარცხა. მასპინძელთა შემადგენლობაში ჯანო ანანიძე არ გამოჩენილა.

დასარჩენად ბრძოლას განაგრძობს ნალჩიკის "სპარტაკი", რომელმაც "როსტოვთან" მატჩში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება იზეიმა. ნალჩიკელთა შემადგენლობაში ალექსანდრე ამისულაშვილმა შეუცვლელად ითამაშა, დავით სირაძე კი სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

პირველი გოლი გაიტანა თავისი ახალი გუნდის შემადგენლობაში დიმიტრი ტატანაშვილმა. ზაფხულში "კლადონში" გადასულმა ქართველმა ფორვარდმა გამბრინუს ლიგის მორიგ ტურში "ბოჰემიანსის" კარში გაიტანა გოლი, თამაში კი ტატანაშვილის გუნდმა 3:2 მოიგო.

უნგრეთის უმაღლეს ლიგაში თავი გამოიჩენა რატი ალექსიძემ, რომელიც ტრავმის შემდეგ ნელ-ნელა ფორმაში შედის. "ნიირედიჰაზა სპარტაკუსთან" გასვლით მატჩში ჩვენებურის "დიორ ეტომ" 3:1 გაიმარჯვა, რატი კი სტუმართა სასტარტო შემადგენლობაში იყო და მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე გოლიც გაიტანა.

გრაცის "შტურმის" შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა ილია კანდელაკმა, მისმა კლუბმა კი ავსტრიის ბუნდესლიგაში "სუპერფუნდთან" გასვლით მატჩში 1:0 გაიმარჯვა.

დანიის პირველ დივიზიონში "AB კოპენჰაგენთან" გასვლით მატჩში უგოლო ყაიმს დასჯერდა გიორგი ფოფხაძის "ვიბორგი". ქართველმა მცველმა, ტრადიციულად, სასტარტო შემადგენლობაში იასპარეზა.


*ფარფანი, ყენია და რაფინია გამარჯვების გოლს ზეიმობენ*

## განცხადება

**"საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე"**

გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო დასაკავებლად შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

ა) ბიოლოგიური ჟანგვის ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 4 საშტატო ერთეული;
ბ) მეორეულ ნაერთთა ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
გ) ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში:
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;
დ) აზოტის ფიქსაციისა და ასიმილაციის ლაბორატორიაში:
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 6 საშტატო ერთეული;
ე) ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული;
ვ) მცენარეული სუბსტრატების ბიოკონვერსიის ლაბორატორიაში:
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
მეცნიერი თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადება თან უნდა დაურთოს;

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
ე) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
ვ) მეცნიერ თანამშრომელს - 1, უფროს მეცნიერ თანმშრომელს - 2, და მთავარ მეცნიერ თანამშრომელს - შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელქტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);
ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);
თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია).

სამეცნიერო თანმდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას შეიძლება გათვალისწინებული იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);
ბ) პატენტები;
გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;
დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის საერთაშორისო თემატიკაში;
ე) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი მუშაობის ორგანიზების გამოცდილება.

საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 4 წლის ვადით.

საბუთების მიღება იწარმოებს ს.ს.ი. სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტში.

მისამართი: 0159 დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 29 ოქტომბერი.

10. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 30 ოქტომბერს;
11. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: www.dibb-georgia.org
e-mail: vazhat13@hotmail.com ტელ: 52-80-26; 52-87-80; 899 14-19-01
პასუხისმგებელი პირი ვაჟა ტაბიძე

# ყველაფერი კარგი გადამდებია

ზურაბ თალაკვაძე

წელს ჩოგბურთში ძალიან საინტერესო ამბების მომსწრენი გავხდით და, სიმართლე გითხრათ, ისიც არ გამიკვირდება, რომელიმე "მასტერსზე" ჯიმ კურიე, მიხაელ შტიხი, ტომას მუსტერი (ირაკლი ლაბაძეც) ან სულაც ბორის ბეკერი ან პიტ სამპრასი რომ გამოვიდნენ. ენატრება დიდ ხალხს დიდი ჩოგბურთი და ამას ვერაფერი დაუპირისპირდება. დედა გახდა და, დაბრუნდა თუ არა, ეგრევე სლემის ტურნირი მოიგო კიმ კლაისტერსმა. ჭორფლიანი ბელგიელის მაგალითი გადამდები აღმოჩნდა მისი უფრო ტიტულოვანი თანამემამულის - ჟუსტინ ენინისთვის, რომელმაც ასევე მოინდომა პრო-ტურზე დაბრუნება. ვნახოთ, რამდენად წარმატებული გამოდგება მისი მცდელობა.

ჟუსტინი რომ ფორმაში იყო, რა შარაპოვა, რომელი უილიამსი და სადაური კლაისტერსი მოუგებდა ამ არაჩვეულებრივ მოთამაშეს. ამ მცირე, მაგრამ საინტერესო ინტერვიუში ჟუსტინი დაბრუნების მიზეზებსა და გეგმებზე საუბრობს.

**- რამდენად განაპირობა თქვენი დაბრუნება კიმის ფენომენალურმა გამოსვლამ ამერიკაში?**

- კიმის ასეთ დონეზე თამაში ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა გახდა. ჩემს გადაწყვეტილებასთან კი ამას არავითარი კავშირი არ ჰქონია. აქტიურად ვარჯიში კლაისტერსის ჩემპიონობამდე გაცილებით ადრე დავიწყე. უბრალოდ, მომენატრა იმ ოჯახში დაბრუნება, სადაც ცხოვრების გამორჩეული პერიოდი მაქვს გატარებული. ეს არის და ეს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი დაბრუნება კლაისტერსის დარი, სუპერწარმატებული იქნება, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ დროის მოსაკლავად გავაკეთე. იმის თქმაც შემიძლია, რომ უილიამსებს, ამდენ რუსს, სხვა ძლიერ მოთამაშეებს პრობლემებს შევუქმნი. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

**- რამდენად მზად ხართ სეზონში 12-15 ტურნირის ჩასატარებლად?**

- ამდენს, ალბათ, ვერ ვითამაშებ, მაგრამ ვეცდები, დიდი სლემის ყველა ტურნირსა და ბევრ "მასტერსზე" გამოვიდე. ვხედავ, რომ ჩოგბურთში გაიზარდა კონკურენცია, თითქმის ყველა ტურნირზე ახალი სახე იკვეთება, მაგრამ ამისთვის მზად ვარ. მაგალითად, "როლან გაროსზე" მომეწონა რუმინელი კირსტეა, რომელმაც მომენტებში ფენომენალური ჩოგბურთი შემოგვთავაზა. ამერიკაში ძალიან კარგი იყო კაროლინ ვოზნიაცკი, კიმზე კი არაფერს ვიტყვი. რა უნდა ვთქვა მოთამაშეზე, რომელიც ყოველთვის საუკეთესოთა შორის გამოირჩეოდა და მსოფლიოს პირველი ჩოგანი გახლდათ?

**- კიმის ფონზე ოდნავ დაიჩრდილა კიმიკო დატეს დაბრუნებაც (ეს ინტერვიუ დატეს წინა კვირის ტრიუმფამდე შედგა, ავტ.).**

- ეს მართლაც სასწაულია. რამდენი სეზონი გამოტოვა? 15, არა? მარტინა ნავრატილოვამ ან შტეფი გრაფმაც რომ მოინდომონ დიდ ჩოგბურთში ძალების ხელმეორედ ცდა, არც ეს გამიკვირდება (იცინის). არ ვხუმრობ, ნურც ამას გამორიცხავთ. დიდი მოთამაშე ყოველთვის ახერხებს საკუთარ თავში დამატებითი ენერგიის პოვნას, რაც მას ძველებურად ათამაშებაში ხელს უწყობს. ამისი არაერთი მაგალითი გვინახავს და კიმის საჩემპიონო გამოსვლამ ამას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი.

**- მოგწონთ ამერიკელი ოდენის თამაში?**



- კი, ნამდვილად მომწონს. თუ ვოზნიაცკის მანამდეც ბევრი დიდი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული, ოდენისგან ამერიკის ღია პირველობაზე ასეთი თამაში უმეტესობისთვის მოულოდნელობა გახდა. ძალიან კარგად კითხულობს თამაშს, აქვს არაჩვეულებრივი ბექჰენდი, დროულად და სახიფათოდ გადის ბადესთან და, რაც მთავარია, არავითარი რიდი, მეტოქის კომპლექსი არა აქვს. ოდენს დიდი მომავალი აქვს. მთავარია, საკუთარ თავზე მუშაობა არ შეწყვიტოს. ასევე მომწონს ვიკმაიერი, რომელსაც პრო-ტურზე ერთ-ერთი უძლიერესი მოწოდება აქვს.

**- ძველ დონეზე დაბრუნებას ცდილობს მარია შარაპოვაც.**

- მარია სულით ჩემპიონია. მან ტრავმების გამო დიდი დრო გამოტოვა, მაგრამ, ხომ ხედავთ, რამდენად ადვილად ფარავს დისტანციას პირველ ათეულთან? დარწმუნებული ვარ, მარია სულ მალე კვლავ პირველი ჩოგნობისთვის იბრძოლებს. ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენი გენერაციის მოთამაშეებიდან შარაპოვა ყველაზე ნიჭიერი იყო, თუმცა ამ ნიჭს გაფრთხილებაც უნდა. მარია ძალიან დიდ დროს ხარჯავს არასაჩოგბურთო ნიუანსებზე. თუმცა, ცხადია, ეს მხოლოდ მისი საქმეა.

**- პირადი ცხოვრება თუ ჩოგბურთი?**

- ჩოგბურთი ჩემთვის პირადი ცხოვრებაცაა და ამაზე გაცილებით მეტიც. მიუხედავად იმისა, რომ კიმის ჩემპიონობას ჩემს დაბრუნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაინც უნდა ვთქვა, რომ ყველაფერი კარგი გადამდებია. ვეცდები, უახლოეს დიდ ტურნირებზე კიდევ ერთი ბელგიელი ჩემპიონი გაგახსენოთ.

# კობის ხმა მაიკლს

ზურაბ თალაკვაძე

ამერიკელებს უყვართ სხვადასხვა რეიტინგების, მჯობნთა მჯობნების სიების გამოქვეყნება და ხშირად მართლა საინტერესო რაღაცებს გვთავაზობენ, ისეთს, როგორსაც ახლა, როდესაც ჟურნალი "სლემი" კობი ბრაიანტს მიადგა და ყველა დროის ათი საუკეთესო მოთამაშე დაასახელებინა. საინტერესო სიაა, რომელშიც საეჭვო, ალბათ, არავინაა. თუმცა, მაინც თქვენ განსაჯეთ.

**1. მაიკლ ჯორდანი**

**კობი:** მეცინება, როდესაც ამბობენ, აგერ, ახალი ჯორდანი კობიაო. ან კიდევ, თუ კობი არ მოგწონთ, ლებრონი აქვე არ არისო? კარგით რა... ჩვენ მაგარი ბიჭები ვართ, მაიკლი კი მეფე იყო. უბრალოდ, ვერ ვხვდები, როგორ აკეთებდა ეს ადამიანი იმ ყველაფერს, რამაც ყველა დროის უდიდეს კალათბურთელად და ერთ-ერთ უდიდეს სპორტსმენად, ნამდვილ მოვლენად აქცია. სიცხიანი, ტრავმირებული, შეუძლოდ მყოფი - მაიკლი ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერი ოპონენტის წინააღმდეგ საუკეთესო იყო. უმაგრესი ნერვების, ურყევი ფსიქიკისა და ყველა დროის ყველაზე სახიფათო ტყორცნის მქონე იყო ჯორდანი და, საერთოდაც, მიკვირს, როდესაც მაიკლს რომელიმე რეიტინგში ასახელებენ. ალბათ, მეც არ უნდა შემეყვანა. მაიკლი უკონკურენტოა. დღემდე ვიხსენებ კრეიგ ილოს ან ჯეფ ჰორნაჩეკის წინააღმდეგ ნასროლებს. მაიკლი ჰაერში ნაბიჯებს დგამდა. წარმოგიდგენიათ? და თქვენ მას კობის ან ლებრონს ადარებთ? სასაცილოა, მაგრამ იუმორიც ხომ უნდა დავაფასოთ.

**2. ბილ რასელი**

**კობი:** რასელს უფრო მეტი საჩემპიონო ბეჭედი აქვს, ვიდრე - ორივე ხელზე თითი. ლეგენდა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა და ვის წინააღმდეგაც თვით უილტ ჩემბერლენიც კი ბევრს ვერაფერს აკეთებდა. ამბობენ, დღევანდელი მაღალი მოთამაშეები დაცვითი არსენალით ბილს ბევრით ჩამოუვარდებიანო. ვერ გეტყვით, მაგრამ ის კი ვიცი, რომ თითქმის 15 წლის განმავლობაში უმაღლეს დონეზე სათამაშოდ მართლაც არაჩვეულებრივი ვინმე უნდა იყო. ბილის "სელტიქსი" ყველა დროის უდიდესი საკალათბურთო გუნდი იყო, ბილის გარეშე კი თუნდაც ერთი საჩემპიონო ტიტულის მოგებაც გაუჭირდებოდათ.

**3. უილტ ჩემბერლენი**

**კობი:** 100 ქულა ერთ მატჩში. მიდი და დააგროვე, თუ მართლა არანორმალური ნიჭისა და ფიზიკური მონაცემების პატრონი არ ხარ... რასელის უნივერსალიზმი, მისი დაცვა და ძალიან მკაცრი სათამაშო დისციპლინა უილტს მის სტაბილურ საშუალო მონაგარს თითქმის უნახევრებდა, მაგრამ ჩემბერლენი იყო ქულებისა და მოხსნების მანქანა, რომელიც შეტევაში პრაქტიკულად ყველა არსებული რეკორდის მფლობელია. თანაც, ისეთი რეკორდებისა, რომელთა გაუმჯობესებაც ურთულესი, თითქმის არარეალური იქნება ნებისმიერისთვის.

**4. მეჯიქ ჯონსონი**

**კობი:** ორი სიტყვა: ფენომენალური, შეუდარებელი. წავედით შემდეგზე.

**5. ლარი ბერდი**

**კობი:** ბერდის თამაშებს რომ ვუყურებდი, მიკვირდა, ასეთი ზანტი, თითქოს ზარმაცი მოთამაშე ამდენის გაკეთებას როგორ ახერხებდა-მეთქი. უბრალოდ, ლარის თამაშის ასეთი სტილი ჰქონდა. რაც მთავარია, მისტერ ბერდი უდიდეს საკალათბურთო ინტელექტს ფლობდა. ცოტა ხნის წინ ვიხსენებდი, მინახავს თუ არა ლარის სლემ-დანქი და, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიხსენე. მიუხედავად ამისა, ბერდი ყველა დროის უდიდესი თეთრკანიანი მოთამაშე იყო. ამაში, წესით, ყველა უნდა დამეთანხმოს.

**6. ქარიმ აბდულ ჯაბარი**

**კობი:** ნახევარკაუჭი, რომლითაც ქარიმის ყველა გუნდი ყველაფერს იგებდა. ახლაც მახსოვს, როგორ გააცილეს ჯაბარი დიდი კალათბურთიდან. "ჰარლი დევიდსონზე" წამოსკუპებული ქარიმი მაგარი სანახავი იყო. კი, მას ჰყავდა მეჯიქი, მაგრამ მეჯიქსაც ხომ ჰყავდა ქარიმი? ამდენი სეზონი ასეთ დონეზე თითქმის არავის უთამაშია.

**7. ჯერი უესტი**

**კობი:** ლიგის ლოგოტიპი, მაგრამ ვეჭვობ, რომ ჯერი მხოლოდ ამის გამო ყოფილიყო ასეთი პოპულარული. ყველა დროის საუკეთესო, დასამახსოვრებელ ეპიზოდებში ჯერის ისეთი არაჩვეულებრივი შესვლები, პასები მაქვს ნანახი, რომ მისი თამაშის არმოწონება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. უესტი ნამდვილი კაპიტანი, ლიდერი იყო და, რამდენჯერაც მასთან გასაუბრების შანსი მომეცა, ყოველთვის რაღაც ახალს ვიგებდი. ყველა მატჩში, სულ მცირე, 30 ქულის დაგროვება ადვილი ვერ იქნებოდა, ჯერი კი ამას თითქმის ყოველთვის ახერხებდა. რაღა დაგიმალოთ, ლოგოც ძალიან მაგარი გამოვიდა.

**8. სკოტი პიპენი**

**კობი:** მაიკლი საუკეთესოა, მაგრამ სკოტი ჯორდანს უდიდეს სივრცეს უთავისუფლებდა. სკოტი, მაიკლთან ერთად, ყველა დროის უძლიერეს დაცვით ტანდემს ქმნიდა. დღესაც ხშირად ვუყურებ პიპენის მონაწილეობით გამართული მატჩების ვიდეოჩანაწერებს. სკოტის შეეძლო, გამთამაშებლიდან დაწყებული, ცენტრით დამთავრებული, მოწინააღმდეგის შემადგენლობაში ყველა ამპლუის მოთამაშის განეიტრალება. პიპენის წინააღმდეგ არაერთხელ მითამაშია და იმ შეხვედრის ბოლომდე დასრულება ყოველთვის უდიდესი ენერგიისა და ნერვების ფასად მიჯდებოდა.

**9. ტიმ დანკანი**

**კობი:** ჩემი მეგობარია, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ. იშვიათია პიროვნება, რომელიც მოედანზე მხოლოდ გუნდის ინტერესებს იცავს და საერთოდ არ აინტერესებს პირადი სტატისტიკა. არადა, დარწმუნებული ვარ, ტიმის რომ მოენდომებინა, ბევრად მეტ ქულა-მოხსნას დააგროვებდა. გუნდი, გუნდი და კიდევ ერთხელ გუნდი - ეს არის დანკანის პრინციპი. სწორედ ამან მოაგებინდა დევიდ რობინსონს ორი, ხოლო მთლიანად "სან ანტონიოს" ოთხი საჩემპიონო ტიტული. ალბათ, ყველა დროის უდიდესი მძიმე ფორვარდი, თუმცა მას ბევრით არც კარლ მელოუნი ჩამოუვარდება. უბრალოდ, "ფოსტალიონს" (ანუ მელოუნს, ავტ.) გვერდით ჰყავდა ჯონ სტოქტონი და ჯეფ ჰორნაჩეკი.

**10. შაკილ ო`ნილი**

**კობი:** უზარმაზარი კაცი, ჩემი დიდი ხნის თანაგუნდელი, პიროვნება, ვისაც უდიდეს პატივს ვცემ. თუ დანკანი "სან ანტონიოს" სიმბოლოდ იქცა, შაკს შეეძლო "ლეიკერსის" ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მოთამაშე გამხდარიყო, მაგრამ კარიერის სხვაგან გაგრძელება ამჯობინა. მე და შაკს ნებისმიერი შეხვედრის მოგება შეგვეძლო და, სიმართლე გითხრათ, მასზე დომინანტ ცენტრს ვერც კი ვიხსენებ. შაკსაც ვუთხარი, როდესაც "ფინიქსის" შემადგენლობაში ის ელ ეიში ჩამოვიდა, რომ ხანდახან მასთან ერთად მოედანზე გასვლა, თამაში მენატრება. იმედი მაქვს, შაკიც იგივეს ფიქრობს. თუ არა და, ამას დიდი მნიშვნელობა არც აქვს. მთავარია, მას, როგორც მოთამაშეს, ყველა დროის საუკეთესოთა შორის ვასახელებ.

**თითქმის ათეულელები:** კარლ მელოუნი, ჰაკიმ ოლაჯუონი, დევიდ რობინსონი, ჯეისონ კიდი, ჯეიმს უორთი, მოუზეს მელოუნი, ჯონ სტოქტონი, ჯორჯ გერვინი, კლაიდ დრექსლერი.

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
"ოფთალმიჯი"
ერთადერთი კლინიკა 8
ფილიალით და ერთი მოძრავი
საოპერაციო ბლოკით ბლოკით
SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში
ოფთალმოქირურგიული ტექნიკის
უკანასკნელი მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80


TEGETA TRUCK & BUS
MAN Nutzfahrzeuge AG-ს ოფიციალური პარტნიორი საქართველოში
MAN
სენსაციური ფასები
MAN-ის ახალი სატვირთო ტექნიკა გერმანიიდან
38 000 ევროდან
ProfiDrive
დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ. 891 280–280, 244–744 244–744

PREMIERE URGENCE
AIDE HUMANITAIRE INTERNATIONALE

UNHCR
The UN Refugee Agency

**ტენდერი ცხადდება სხვადასხვა ნივთების შეძენაზე და ემსახურება მიახლოებით 700 შემოსავლების გენერირების პროექტის განხორციელებას ზუგდიდსა და გორის რეგიონში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირებისათვის.**

**[Ref: TF/PU/GEO/HCR/09022/TE0405/002]**

საერთაშორისო ჰუმანიტარული არასამთავრობო ორგანიზაცია პრემიერ ურჯენსი, რომელიც მოქმედებს საფრანგეთის კანონმდებლობით და ფინანსდება გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ (UNHCR), იწვევს მოტივირებულ რეგისტრირებულ კომპანიებს მიიღონ მონაწილეობა ტენდერში და მოგვაწოდონ თავიანთი წინადადებები ქვემოთ ჩამოთვლილი დარგებისათვის განკუთვნილი ნივთების მოწოდებაზე.

- ✓ **სკები სრული ფუტკრის ოჯახებით - გორის რეგიონი (ლოტი 1)**
- ✓ **ელექტრო ხელსაწყოები (ლოტი 2):** კუთხის სათლელები ("ბალგარკები"), ელექტრო ბურღები, ელექტრო ხელის ხერხები ("ლობზიკები"), ელექტრო ფრეზები, ელექტრო ბურღი პერფორატორები და ა.შ.
- ✓ **ბენზინის ჯაჭვური ხერხები (ლოტი 3)**
- ✓ **შედუღების ხელსაწყოები (ლოტი 4):** ელექტრო შედუღების აპარატები, ელექტრო შედუღების აპარატები ("კემპი"), არგონის შედუღების აპარატები.
- ✓ **ჰაერის კომპრესორები (ლოტი 5)**
- ✓ **ავტო-მომსახურების მოწყობილობები (ლოტი 6):** საბურავის დასაშლელი აპარატები, საბურავის ბალანსირების აპარატები, ჰიდრავლიკური ამწეები, საბურავის დასაკერებელი პრესები და ა.შ.
- ✓ **ავტო-სამრეცხაოს მოწყობილობები (ლოტი 7):** მაღალი წნევის წყლის აპარატები, მტვერსასრუტები.
- ✓ **მაცივრები (ლოტი 8)**
- ✓ **ვერტიკალური მინიანი მაცივრები ("წვენების") (ლოტი 9)**
- ✓ **დახლმაცივრები (ლოტი 10)**
- ✓ **ჰორიზონტალური მინიანი მაცივრები ("სანაყინე") (ლოტი 11)**
- ✓ **ელექტრონული ტექნიკა (ლოტი 12):** კომპიუტერები, ფოტო კამერები, პრინტერები, კოპირების აპარატები და ა.შ.
- ✓ **სამკერვალო მოწყობილობები (ლოტი 13):** საკერავი მანქანები, საკერავი მანქანები "ავერლოკები", საქსოვი მანქანები და ა.შ.
- ✓ **სადალაქო მოწყობილობები (ლოტი 14):** სავარძლიანი თმის დასაბანი ნიჟარები, მაკრატლები, თმის ელექტრო საპარსები, თმის გასასწორებელი უთოები, თმის დასახვევი უთოები, სავარცხლები და ჯაგრისები, თმის საშრობი ფენები და ა.შ.
- ✓ **სადურგლო / ავეჯის წარმოება (ლოტი 15):** მაღაზიის დახლები, თაროები, მაგიდები, კომპიუტერის მაგიდები და ა.შ.

დაინტერესებულ - ლიცენზირებულ კომპანიებს შეუძლიათ მიიღონ სათანადო დაწვრილებითი ინფორმაცია და ინსტრუქციები მხოლოდ **2009 წლის 05 ოქტომბერს , ორშაბათს და 06 ოქტომბერს, სამშაბათს, 09:00-დან 18:00 საათამდე**

**-პრემიერ ურჯენსის თბილისის ოფისში** : ზანდუკელის ქ. № 5,
ტელ.: (822) 98 24 56. საკონტაქტო პირი - ნელი დათუკაშვილი
**-პრემიერ ურჯენსის გორის ოფისში:** ბესარიონ ჯუღაშვილის ქ № 4,
ტელ.: (8270) 7 96 25. საკონტაქტო პირი: დავით კურტანიძე
**-პრემიერ ურჯენსის ზუგდიდის ოფისში:** გამსახურდიას ქ № 197,
ტელ: (812 315) 5 42 20. საკონტაქტო პირი: ბიძინა ქარჩავა

# განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე**

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

· ნეიროფიზიოლოგიის განყოფილება:
1. მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული;
3. მეცნიერ თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული;

· ქცევისა და კოგნიტიური ფუნქციების განყოფილება:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული; 3. მეცნიერ თანამშრომელი - 5 საშტატო ერთეული;

· ნეიროანატომიის განყოფილება:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი -2 საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 3. მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;

· თავის ტვინის სისხლის მიმოქცევისა და მეტაბოლიზმის განყოფილება:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 3. მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;

· ბიოქიმიის განყოფილება:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 3. მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;

· ძილისა და ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიის ლაბორატორია:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული; 3. მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული;

• მემბრანოლოგიის ლაბორატორია:
1, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული 2. უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული 3. მეცნიერ თანამშრომელი - 2 საშტატო ერთეული;

2. კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.

3. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს საკონკურსო კომისია.

4. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

· განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
· კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
· დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
· გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
· ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
· სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

5. კონკურსის საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 4 წლის ვადით;

6. საბუთები მიიღება სსიპ ივანე ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, მისამართი: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, ოთახი „ 213.

7. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა ერთი თვე , 29 სექტემბრიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით;

9. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა №14, II სართული, ოთახი №213

e -mail - secretary@biphysiol.ge, ტელ: 37 12 31; 37 11 65.

პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე არკადი სურმავა

## შპს "საქართველოს რკინიგზა"-ის მიერ შპს „საქართველოს რკინიგზის" სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოების პროექტირების შესახებ სატენდერო პროცედურების შეწყვეტა

შპს „საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 2009 წლის 16 სექტემბრს გამოცხადებული იქნა საერთაშორისო ტენდერი **შპს „საქართველოს რკინიგზის" სარკინიგზო ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოების პროექტირების შესახებ**.

შემსყიდველი ორგანიზაცია საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, მიმდინარე წლის 29 სექტემბრიდან წყვეტს ზემოაღნიშნულ სატენდერო პროცედურებს.

**სატენდერო კომისია**

## მუდმივმოქმედი არბიტრაჟი , დავების განმხილველი ცენტრი" DDRC-ს სასამართლო

მხარისათვის შეტყობინების მიზნით
სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით
DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი „რესპუბლიკა"-ს
საარბიტრაჟო პრეტენზია ი.მ. „ემალა მამედოვას'' და ფარი მამედოვას მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 12 ოქტომბერს 13:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „დავების განმხილველ ცენტრში'' შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71, 1-ლი სართული.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ი.მ. ემალა მამედოვა მცხოვრები გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალარი, ქ. თბილისი, ისნის რ-ნი, კახეთის გზატკ. 122, ფარი მამედოვა მცხოვრები გარდაბნის რ-ნი, სოფ. ყარაჯალარი.

**თბილისის 113-ე სკოლის დირექცია აცხადებს კონკურსს**
**სასკოლო ბუფეტის იჯარით გაცემის თაობაზე.**
**განცხადებები მიიღება 25 ოქტომბრამდე.**
**მის: ცოტნე დადიანის 86. ტელ.: 69 52 13; 877 93 00 57**

# განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის -**
**არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის**
**სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად.

საკონკურსო თანამდებობებია:

**ქართველური ენების განყოფილება**

**ქართული** საშტატო ერთეული

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 3
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 4
მეცნიერი თანამშრომელი 2

**სვანური**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 2
მეცნიერი თანამშრომელი 3

**ზანური**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი( 0,5) 2X0.5

**მთის იბერიულ-კავკასიური ენების განყოფილება**

**აფხაზურ-ადიღური ენები**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 2
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 0,5

**ნახური ენები**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 0,5
მეცნიერი თანამშრომელი 1

**დაღესტნური ენები**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 2

**ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება**

**ზოგადი და იბერიულ-კავკასიურ ენათა ფონეტიკა**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 1

**სემანტიკა**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 1

**სოციოლინგვისტიკა**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 1

**ლექსიკოლოგიის განყოფილება**

**ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 2
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 3
მეცნიერი თანამშრომელი 6
მეცნიერ თანამშრომელი(0,5) 4X0.5

**ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 2
მეცნიერი თანამშრომელი (0.5) 2X0.5

**სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება**

**სამეცნიერო ტერმინოლოგია**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 2

**თარგმნითი ლექსიკონები**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 2
მეცნიერი თანამშრომელი(0.5) 2X0.5

**მეტყველების კულტურის განყოფილება**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 3

**ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება**

**კორპუსის ლინგვისტიკა**

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 2
მეცნიერი თანამშრომელი (0.5) 2X0.5

**კომპიუტერული ლინგვისტიკა**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი 1
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი 1
მეცნიერი თანამშრომელი 1

**თანამდებობრივი სარგო:**

მთავარი მეცნიერი თანამშრომელი - 212 (ორას თორმეტი) ლარი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 190 (ას ოთხმოცდაათი) ლარი
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 0,5 შტატი - 95 (ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი
მეცნიერი თანამშრომელი, სრული შტატი - 170 (ას სამოცდაათი) ლარი
მეცნიერი თანამშრომელი, 0,5 შტატი - 85 (ოთხმოცდახუთი) ლარი

მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს აკადემიური ხარისხი/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ავტობიოგრაფია (CV-ის ნიმუში იხ. www.ice.ge);
დ) სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;
ე) ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს;
ვ) ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;
ზ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში საგრანტო პროექტებში მონაწილეობის შესახებ;
თ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ.

ვ), ზ) და თ) პუნქტების მიხედვით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ოფიციალურად დამოწმებული უნდა იყოს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულების მიერ.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე დადგინდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კონკურსის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება.

გასაუბრების მიზანია დასაკავებელ თანამდებობასთან კონკურსანტის პროფესიული კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა სათანადო განყოფილების მუშაობის სპეციფიკისა და სამეცნიერო კონცეფციის მიხედვით.

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას, სამეცნიერო პუბლიკაციებს, სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას.

საბუთების მიღება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწარმოებს 29 სექტემბრიდან. საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 29 ოქტომბრის 17.00 საათი.

გასაუბრება ჩატარდება 2009 წლის 2, 3, 4 ნოემბერს.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 5 ნოემბერს.

საბუთები სასურველია წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ფორმითაც.

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას N8, ოთახი N 304.

დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია შეიძლება წარმოადგინოთ კომპაქტდისკით ან გააგზავნოთ შემდეგ მისამართებზე: contact@ice.ge baqari@bk.ru

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: www.ice.ge

---

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი

# მოთხოვნა ინტერესის გამოხატვისთვის

საქართველომ მიიღო სხვადასხვა ვალუტაში 6,100,000 ნასესხობის სპეციალური უფლების ეკვივალენტური სესხი სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან (IFAD) მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად და აპირებს აღნიშნული სახსრების ნაწილის გამოყენებას პროექტირების წინამდებარე კონტრაქტებით გათვალისწინებული ნებადართული ხარჯების დასაფინანსებლად, კერძოდ:

***I პაკეტი (ონის რაიონი)- ონის რაიონში სოფელ უწერაში ხიდის რეაბილიტაცია.***

***II პაკეტი (შუახევის რაიონი)- შუახევის რაიონში ქვაფთას უბანში (მდინარე უჩამბას წყალზე) ახალი ხიდის მშენებლობა.***

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი იწვევს უფლებამოსილ კონსულტანტებს აღნიშნული მომსახურების მოწოდების ინტერესის გამოსახატად.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია იმის დასადასტურებლად, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება აღნიშნული მომსახურების მოთხოვნებს, კერძოდ:

- ძირითადი საქმიანობა და მუშაობის ხანგრძლივობა;
- კვალიფიკაცია დავალების სფეროში;
- ტექნიკური და მენეჯერული ორგანიზაცია;
- ძირითადი შტატის ზოგადი კვალიფიკაცია და რაოდენობა;
- ანალოგიური დავალებების კონტრაქტების ღირებულება;

კონსულტანტები შეიძლება გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მოცემულ მისამართზე 11.00-დან 18:00 საათამდე:

ინტერესის გამოხატვა უნდა მოხდეს 2009 წლის 13 ოქტომბრამდე.

სსიპ — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის მისამართი:

თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი 6, მე-3 სართული. ოთახი N307.
საკონტაქტო პირები:
ვახტანგ ჯალიაშვილი, შესყიდვების სპეციალისტი, ტელ: 37 66 89: 37 66 48.
ელექტრონული ფოსტა: vakhtang.jaliashvili@adpcc.org.ge

დავით აროშიძე, შესყიდვების ოფიცერი.
ელექტრონული ფოსტა: david.aroshidze@adpcc.org.ge

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 12) აცხადებს ტენდერს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოდა-თეთრიწყაროს საავტომობილო გზის კმ.10-11 მონაკვეთის და ასურეთის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს.

2 სამუშაოების შესრულების ვადა – 2009-2010 წლების განმავლობაში, მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ანგარიშის №200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302007800, სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისათვის. მითითებული იქნას ობიექტის დასახელება). სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე, დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შეეძლებათ შემსყიდველ ორგანიზაციაში. სატენდერო დოკუმენტაციის, როგორც გატანა, ასევე გაცნობა შესაძლებელია 2009 წლის 29 სექტემბრიდან 2009 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით (სამუშაო დღეებში და საათებში) მისამართზე: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მე-4 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

4. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2 ეგზემპლიარად, დედანი და ასლი ცალ-ცალკე დალუქული კონვერტებით 2009 წლის 27 ოქტომბრის $9^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე და 2009 წლის 28 ოქტომბრის $9^{00}$ საათიდან $12^{00}$ საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი ალ. ყაზბეგის 12, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მეოთხე სართული, საქმისწარმოების განყოფილება.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მოთხოვნების თანახმად დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს დეპარტამენტის სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად დააბრუნებს უკან.

მიიღება მხოლოდ იურიდიული სტატუსის მქონე პირების განცხადებები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

ბ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

გ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

დ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობა საგადასახადო სამსახურიდან დავალიანების შესახებ.

გ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან წერილობითი დადასტურება, რომ იგი არ არის შესული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

**შენიშვნა:** უცხო ქვეყნის იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა ცნობები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან.

5.1.3 როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანა-მექანიზმების შესახებ.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი, სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა-მექანიზმების და დანადგარების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა. იჯარის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულებები |
|---|---|---|---|---|---|
| 1<br>2<br>და<br>ა.შ. | | | | | |

ბ) ინფორმაციას პრეტენდენტი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.

პრეტენდენტი პირის ძირითადი სპეციალისტების 50% უნდა გააჩნდეს ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი, სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება | ბიოგრაფიული მონაცემები (ინსტიტუტის დამთავრების წელი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ორგანიზაციების დასახელება და ამ ორგანიზაციებში დაკავებული თანამდებობები წლების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ (3 წლიანი უწყვეტი გამოცდილება სავალდებულო არ არის).

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის (საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) სამუშაოები, საერთო ღირებულებით 5 მლნ. ლარის ოდენობით. უშუალოდ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი პირის (ქვეკონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 50%.

ამასთან ამ პერიოდში პრეტენდენტის ან ქვე-კონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ შესრულებული სამუშაოებიდან ერთ-ერთი ობიექტის (საავტომობილო სახიდე გადასასვლელის მშენებლობა, ან/და რეკონსტრუქცია, ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია) ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების ღირებულება უნდა შეადგენდეს 3 მლნ. ლარს.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

-- შენიშვნა: ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულებები |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| და ა.შ. | | | | |

დ) ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოების შესახებ.

-- შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

ა. ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

ბ. შესასრულებელი სამუშაოების დასახელება

გ. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;

დ. ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება (წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს შესრულებული აქვს ანალოგიური სამუშაოები, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქეტებზე ხელშეკრულებების ასლები და სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები–სამუშაოების შესრულების აქტი, ან/და შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

| ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | შესასრულებელი სამუშაოების დასახელება | შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება | ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|
| 1 | | | |
| 2 | | | |
| და ა.შ. | | | |

-- ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

7. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაციები დეპარტამენტის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი პრეტენდენტის მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. სატენდერო განცხადებით მოთხოვნილი ყველა ცნობა და ინფორმაცია გარდა სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტიისა, პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების შერჩევის დროს ექვემდებარება დაზუსტებას.

10. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემული ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

11. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის 9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოკუმენტებს.

შესაძლებელია ალტერნატიული წინადადების წარმოდგენა. ალტერნატიული წინადადება უნდა იყოს დასაბუთებული და სრულყოფილი, შესაბამისი ნახაზებით და გაანგარიშებით, წინააღმდეგ შემთხვევაში დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ ის არ განიხილება.

12. პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების ღირებულების არა ნაკლებ 1% ოდენობით. (სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ძალაში უნდა იყოს 90 დღე, დაწყებული 21.10.2009წ.)

13. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

14. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5% ოდენობით.

